F. 749
1976

სუნთქვა

1976 2

ალეფბეი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთოგბეგის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

ახალი მწვერვალებისაკენ 5

პროზა

უილიამ ფოლკნერი. ცეცხლისწამკიდებელი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანმა 7

ვიქტორ ასტაფიევი. ჩრდილოეთის შორეულ მწვერვალზე. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა გიგი ხორნაულმა 23

კეთრინ მენსფილდი. მოთხრობები. ქარი ქრის. ინგლისურიდან თარგმნა მანანა ამისულაშვილმა 49

ექვსპენსიანი. ინგლისურიდან თარგმნეს ელენე გეგელაშვილმა და ლელი აბულაძემ 53

აჰმედხან აბუ-ბაქარი. თოვლის ადამიანები. რომანი. დასაწყისი. თარგმნა ციალა ჩხეიძემ 59

ივო ანდრიჩი. ხიდი ჟეპაზე. მოთხრობა. თარგმნა თამაზ ფიფიამ 105

მორის დრიუონი. რკინის მეფე. ისტორიული რომანი. გაგრძელება. ფრანგულიდან თარგმნეს თინა კოპლატაძემ და მზია ბაქრაძემ 121

პოეზია

ძმადნაფიცობის ათინათები. ლექსები. რუსულიდან თარგმნა გია მარგველაშვილმა 31

F 4193

2
(11)
მარტი
აპრილი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1976

შინაარსი

როგერტ ბერნსი. ორი ძალლი. **პოემა. ინგლისურიდან**
თარგმნა თამარ ერისთავმა 112

ლიტერატურული მემკვიდრეობა

გლეზ პასკალი. აზრები. **ფრანგულიდან**
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ 164

საუკუნოვანი კამათის ერთი ასპექტი. „ამგავი
იგორის ლაშქროგბისა“ და „ზადონშჩინა“.
ძველრუსულიდან თარგმნა თენგიზ ბუაჩიძემ 191

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნოდარ კაკაბაძე. **თომას მანის მოთხრობების**
პირველი გამოცემის გამო 210

ტატიანა ციავლოვსკაია. მარია ვოლკონსკაია და
პუშკინი. **რუსულიდან თარგმნა გიორგი ბაქანიძემ** 219

უცხოური იუმორი. 232

სხვადასხვა ამგები 234

ერთხელ 238

გარეკანზე: პეტროვ-ვოდკინი. „დედა“

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

XXV

ახალი მნვერვალებისაკენ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ ჩვენს ხალხს მიზნად დაუსახა ახალი ამოცანები კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე, მოუწოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, არ დაიშურონ ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს წინაშე კეთილშობილური ვალის მოსახდელად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ მთელი საბჭოთა ინტელიგენციის, მათ შორის მთელი ჩვენი მრავალეროვანი მწერლობის ყურადღება მიიპყრო. ასე იყო მუდამ: როცა კი პარტია ჩვენი წინსვლისა და განვითარების გზებს სახავდა, ქვეყნის განვითარების პრობლემებით ღრმად დაინტერესებული საბჭოთა მწერლობა მგზნებარე მხატვრული სიტყვითა და საქმით ერთ-ერთი პირველთაგანი ეხმაურებოდა პარტიის დიადი მიზნის განხორციელების საქმეს.

პარტიის ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით აღნიშნა შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში და მადლობით მოიხსენია საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების ოსტატთა თავდადება და უანგარო მოღვაწეობა. ეს ჩვენ ბევრს გვავალებს: პარტიის მზრუნველობას, მის დიდ სიყვარულს და დაფასებას უნდა ვუპასუხოთ კიდევ უფრო თავდადებული შრომით, ჭეშმარიტი შემოქმედებითი მგზნებარებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას არა მხოლოდ საბჭოთა ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხები კითხულობენ უდიდესი გულისყურით. ამ დიად ფორუმზე სიტყვით გამოსული მოძმე ქვეყნების პარტიათა წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ დიდ ღვაწლს, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიუძღვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. აღინიშნა, რომ „... განვლილ წლებში კიდევ უფრო გააქტიურა საქმიანობა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. ეს დადებითი, ცხოველმყოფელი პროცესი, ბუნებრივია, აისახა სოციალისტური რეალიზმის იმ ახალ ნაწარმოებებში, უკანასკნელი წლების მანძილზე რომ შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში. ისინი სულ უფრო ხშირად და, რაც მთავარია, უფრო ღრმად ეხმაურებიან იმ ძირითადს, არსებითს, რითაც ქვეყანა ცხოვრობს, რაც საბჭოთა ადამიანების პირადი ბედის ნაწილი გახდა“.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენების იმ ნაწილში, თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს რომ მიეძღვნა, გამოყოფილია რამდენიმე თემა, რაც განსაკუთრებით აღელვებდა ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას ბოლო წლებში და სულ უფრო წამყვან ადგილს იკავებდა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

დღეს ახალი საბჭოთა ადამიანი განასახიერებს ყოველივე საუკეთესოს, რაც საუკუნეთა მანძილზე საკაცობრიო მორალს ჩამოუყალიბებია. შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება, ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ბუნება, კეთილშობილება და ჰუმანიზმი, ყოველივე ამაღლებულის, პოეტურის ღრმა განცდა, სულიერი სილამაზე, ზნეობრივი სისპეტაკე საბჭოთა ადამიანის ხასიათის მთავარი განმსაზღვრელი ნიშნებია. საბჭოთა მწერლობაც ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, ეძიებს ჭეშმარიტად ადამიანურს, მისი ბუნების ყველა საუკეთესო თვისებას, იმას, რაც ამაღლებს ადამიანს. ჩვენი მწერლობისათვის უცხო და პრინციპულად მიუღებელია ადამიანის დაკნინება. ადამიანის განდიდება, ადამიანურის გამოხატვა მაღალი მხატვრული ფორმით საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ აითვისა მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობიდან, განავითარა და დროის შესაფერ ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ლიტერატურა და ხელოვნება ადამიანის სულის გამომხატველია, მომავალზე ადამიანის ოცნებას განასახიერებს. ადამიანზე ფიქრი და ზრუნვა იქცა სწორედ პარტიის XXV ყრილობის მთავარ თემად. ის უდიდესი გეგმები, რასაც მეათე ხუთწლედისათვის ყრილობა ისახავს მიზნად, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობაზე ფიქრის გამოხატულებაა. სწორედ ამიტომ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკი უფრო თავდადებით, მეტი შემოქმედებითი მგზნებარებით უნდა ამოუდგეს მხარში ჩვენს ხალხს, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს მეათე ხუთწლედის — მშვიდობის, ეფექტურობისა და ხარისხის ხუთწლედის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

□

უილიამ ფოლკნერი

ცეცხლისწამკიდეგელი

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანმა

•

ოთახში, სადაც მომრიგებელი მოსამართლე საქმეებს არჩევდა, ყველის სუნი იდგა. ტევა არ იყო, იმდენ ხალხს მოეყარა აქ თავი. ბიჭს, ერთ პატარა, წამოქცეულ კასრზე რომ მოკუნტულიყო იქვე კუთხეში, ყველის სუნის გარდა კიდევ რაღაც სხვა სუნი სცემდა. აქედან იგი ხედავდა თაროების წყებას, ზედ თუნუქის დაბალ-დაბალი, ფართო, მრგვალი ქილები რომ ჩარიგებულიყვნენ. მათ იარლიყებს იგი უმალ კუჭით კითხულობდა, რადგან ზედ გამოყვანილი ასოები მის გონებას არაფერს ეუბნებოდნენ. სულ სხვა იყო თევზის მორკალური ბოლოების წითელი და ვერცხლისფერი გამოსახულებანი; ყოველივე ეს — ყველისა და კიდევ საგულდაგულოდ დახუფულ-დარჩილულ ქილებში ჩალაგებული ხორცის სუნი, მის კუჭს რომ აღიზიანებდა, — დროდადრო, თუმცა მცირე ხნით ავიწყებდა მას იმ სხვა სუნსა თუ გრძნობას, მუდამ რომ თან სდევდა, — არა, შიშის კი არა, — უმალ საზოგადოებისა და წუხილის გრძნობას, რაც პირველად როდი უმღვრევდა სისხლს. ბიჭი ვერ ხედავდა მოსამართლის მაგიდას, სადაც იდგნენ მამამისი და მისი მტერი.

„ჩვენი მტერი, — ფიქრობდა ბიჭი საზოგადოებით. — ჩემი და მისი. ეს ხომ ჩემი მამაა!“ ბიჭს კარგად ესმოდა მათი ლაპარაკი, — უკეთ რომ ვთქვათ, სამთაგან ორისა, რადგან მამამისს ჯერ ერთი სიტყვაც კი არ ეთქვა.

— თქვენ რა დამამტკიცებელი საბუთები გაქვთ, მისტერ ჰარის?

— აკი მოგახსენეთ. მისი ლორი ჩემს ყანაში გადმოვიდა. მე დავიჭირე და პატრონს დავუბრუნე. მას კი შემოლობილიც არა აქვს პირუტყვის სადგომი. ერთხელ გავაფრთხილე, მეორედ კი მისი ლორი დავამწყვდიე. როცა იგი ლო-

რის წასაყვანად მოვიდა, მე მას მავთულის გორგალი მივეცი, ქართა გააკეთე-მეთქი. მერე თვითონ მივედი მასთან. ვხედავ, რომ ჩემი მავთული ხელუხ-ლებლად გდია ეზოში. ვუთხარი: ღორს დაგიბრუნებ, თუ ერთ დოლარს გადა-იხდი, ყანა სულ გამიოხრა-მეთქი. სალამოს ზანგი გამომიგზავნა. მან დოლარი მომცა და ღორი წაიყვანა. სხვისი ზანგი იყო. ასე მითხრა: „ნაბრძანები მაქვს, გადმოგცეთ, რომ ხეს და თივას ცეცხლი კარგად ეკიდებაო“. მე შევეკითხე: „რა-მეთქი?“.

„რა და ისა, რომ ასე მიბრძანეს გადმომეცა თქვენთვის: ხე და თივა კარ-გად იწვისო“. და სწორედ იმ ღამეს დაიწვა ჩემი ბოსელი. საქონლის გამოყვა-ნა ძლივს მოვასწარი, ბოსელი კი დაიწვა.

— სად არის ახლა ის ზანგი? დაიჭირეთ?

— ხომ გითხარით: სხვისი ზანგი იყო, არ ვიცი, მერე რა დაემართა.

— მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ამტკიცებს. თქვენ რა, არ გესმით ეს?

— ბიჭს ჰკითხეთ. ბიჭმა იცის.

თავდაპირველად ბიჭმა იფიქრა, რომ მის უფროს ძმაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჰარისმა თქვა:

— არა, მაგას არა, უმცროსსა ჰკითხეთ.

მობუზული, თავის ასაკთან შედარებით ტანმორჩილი, დაბალი და მამა-სავით ჩასკვნილი იყო ბიჭი. დაძონძილი, გახუნებული ტანსაცმელი ეცვა, რაც დიდი ხანია დაპატარავებოდა. ჰქონდა შოლიო, დაუვარცხნელი წაბლის-ფერი თმა. ჭროღა, ველურ თვალებს საავდრო ცასავით აკვესებდა. ბიჭმა დაინახა, რომ მაგიდას ჩამოფარებული ხალხი აქეთ-იქით მიდგა და ანაზდად იმასა და მოსამართლეს შორის პირქუში ადამიანების ხეივანი გაჩნდა. ამ ხეივ-ნის ბოლოში იჯდა მოსამართლე — ჩია, გაჭაღარავებული, სათვალიანი კაცი. მას საყელო არ ჰქონდა პერანგზე. მოსამართლე ბიჭს მაგიდასთან უხმობდა. ბიჭი შიშველ ფეხებქვეშ ვერ გრძნობდა იატაკს; ისე მიდიოდა, თითქოს მძი-მე ტვირთად აწვა იქ მყოფთა პირქუში მზერა. მამა გაჭიმული იდგა მოსამარ-თლის წინაშე, თავის შავ საგარეო სერთუკში გამოწყობილი; ეს სერთუკი მან საგზაოდ ჩაიცვა, იმისთვის კი არა, რომ სასამართლოში უნდა მისულიყო; ბიჭისთვის არც კი შეუხედავს. „მას უნდა, რომ მე სიცრუე ვთქვა, — გაიფიქრა ბიჭმა და კვლავ შეიპყრო დარდმა და სასოწარკვეთილებამ, — მეტი რა გზა მაქვს, უნდა ვიცრუო“.

— ბიჭო, რა გქვია, შენ? — შეეკითხა მოსამართლე.

— პოლკოვნიკი სარტორის სნოუპსი, — ჩაილუღლუღა ბიჭმა.

— რას მეუბნები! — გაიკვირვა მოსამართლემ. — ხმამაღლა ილაპარაკე. მაშ, პოლკოვნიკი დაგარქვეს, არა? მე მგონია ის, ვინც პოლკოვნიკ სარტორი-სის საპატივცემულოდ მის სახელს ატარებს, ტყუილის თქმას არ იკადრებს.

სარტი დუმდა.

„მტერი! მტერი!“ — გაიფიქრა მან. წამით ვერაფერი დაინახა, ვერ დაინახა, რომ მოსამართლეს კეთილი თვალები ჰქონდა, ვერც ის შეამჩნია, რომ მას ხმა შეუკრთა, როდესაც იმ კაცს, ჰარისს რომ ეძახდნენ, შეეკითხა:

— მაშ, თქვენ გინდათ, რომ მე ეს ბიჭი დავკითხო?

ხალხით გაჭედილ ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ მშვიდი, დაძა-ბული სუნთქვა ესმოდა ბიჭს; ასე იყო ერთხელაც, როდესაც იგი მაღლარის ლერწზე ჩამოკიდული გაქანდა ხრამის თავზე და სწორედ მაშინ, ჰაერში გატ-

ყორცნილს, უეცრად დაეუფლა მარადისობასავით უსასრულო წამი, გამაოგნებელი რომ იყო თავისი მნიშვნელობით, თითქოს ჟამთა სრბოლიდან ამოვარდნილაო.

— არა, — ფიცხლად და გაბოროტებით თქვა ჰარისმა. — ჯანდაბას მაგის თავი! გაუშვით შინ.

დრო ტალღასავით წამოვიდა, კვლავ დაეძგერა მას; ყველისა და თუნუქის ქილებში ჩალაგებული ხორცის სუნით გაბრუებულ ბიჭს კვლავ მიეზვირთა ხმები, შიშიც, სასოწარკვეთაც და ისევ ის ძველისძველი ტკივილიც.

— სარჩელზე უარი ეთქვას მომჩივანს. სნოუპს, მე მიმაჩნია, რომ ბრალდება თქვენს წინააღმდეგ არ მტკიცდება, მაგრამ მაინც გირჩევთ: წადით აქედან და ნუღარასოდეს დაბრუნდებით.

პირველად ახლა ალაპარაკდა მამა. მისი ხმა ცივი და მჭახე იყო. დინჯად, უღიმღამოდ ლაპარაკობდა.

— მეც მაგას ვაპირებ. აქ რა დამარჩენს, ამათთან, ამ... — და მან უწმაწური, უხეში სიტყვები მიაყოლა, თუმცა ეს სიტყვები კერძოდ არავის მისამართით არ უთქვამს.

— ძალიან კარგი! — უთხრა მოსამართლემ. — დაუდეთ ურემს თქვენი ბარგი-ბარხანა და დილით თქვენი ფეხი არ იყოს აქ. სხდომა დამთავრებულია.

მამა სწრაფად შებრუნდა. ბიჭი კვალდაკვალ მიჰყვა მის დაკუნთულ ზურგს, უხეშ შავ სერთუკში რომ იკვეთებოდა. მამა ყოველგვარი სინანულის გარეშე, აუჩქარებლად სტოვებდა იმ ადგილს, სადაც ოცდაათი წლის წინათ მოპარულ ცხენზე შემჯდარი ემალებოდა სამხრეთელი საველე ჟანდარმის ტყვიას, ბოლოს და ბოლოს მაინც რომ მოხვდა ქუსლში; ახლა უკვე ბიჭი მიჰყვებოდა ორ შავ ზურგს, რადგან საიდანღაც მისი უფროსი ძმა გაჩნდა უეცრად. იგი მამის სიმაღლე იყო, მაგრამ უფრო ჩასკვნილი; პირი მუდამ გამოტენილი ჰქონდა საღეჭი თამბაქოთი. დუქნიდან გამოსვლისას მამამ ჩაუარა პირქუშ ადამიანთა წყებას, გაიარა ძველი დერეფანი, დაეშვა მორყეულ საფეხურებზე, მერე გზაზე გავიდა, მაისის მტვერი რომ ედო სქლად, ძაღლებსა და მოზარდებს გაუარა გვერდით. უეცრად ბიჭმა ყური მოჰკრა, რომ ვილაცამ ჩაისისინა:

— აი, ცეცხლისწამკიდებელი!

თვალები აუჭრელდა: მოწითალო ბურუსში ძლივს გაარჩია მთვარესავით პირმრგვალი, მასზე ოდნავ დაბალი ბიჭი, დამცინავად რომ იღიმებოდა. იგი თავგამეტებით შეიჭრა წითელ ბურუსში, ვერ გრძნობდა დარტყმებს, ვერც ის იგრძნო, როგორ წააქციეს, როგორ დაენარცხა მიწაზე; მერე ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე და კვლავ დაეძგერა იმ ბიჭს, ისევ და ისევ შეუტია, დარტყმებსა და სისხლის გემოს კი ვერ გრძნობდა. ისევ დაეცა, ისევ წამოდგა ფეხზე, ის კი გარბის, თვითონაც გამოეკიდა, მაგრამ უცბად ვილაცამ უხეშად შეანჯღრია და მჭახე, ცივი ხმით ჩასძახა:

— აბა, ადი ფორანზე!

ფორანი გზის პირას იდგა, აკაციებსა და თუთის ხეებს შორის. საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი მისი ჩასუქებული დები და უხეში ტილოს კაბებითა და ქუდებით შემოსილი დედა და დეიდა უკვე ისხდნენ ძველი ნივთების გროვაზე, სულ ცოტა—თორმეტჯერ მაინც რომ გადაეტანათ ადგილიდან ადგილზე, რაც ბიჭს თავი ახსოვდა. ერთმანეთზე დაეწყოთ ჩაჭყლეტილი ღუმელი, დამტვრეული საწოლები და სკამები, სადაფით მოჭედილი დედისეული

მზითვის საათი, როდის-როდის რომ გაჩერებულიყო სამის თოთხმეტ წუთზე. დედა ტიროდა, მაგრამ დაინახა თუ არა ბიჭი, სახელოთი თვალები ამოიწმინდა და შეეცადა ფორანიდან გადმოსულიყო.

— იჯექი! — უთხრა მამამ.

— შეხედე, როგორ უცემიათ. მე წყალს მოვიტან და...

— ადგილიდან არ გაინძრე, — გაუმეორა მამამ.

უკანა საფეხურიდან მამაც ავიდა ფორანზე. იგი კოფოზე დაჯდა, უფროსი ვაჟიშვილის გვერდით, და ორჯერ ძლიერად, მაგრამ არა გაბოროტებით გადაუჭირა ჯორებს ტირიფის წნელი. სიფიცხე არ ჩანდა ამაში. უბრალოდ იგი ისე მოიქცა, როგორც შემდეგში მისი მემკვიდრე-შოფრები იქცეოდნენ ხოლმე, როდესაც ადგილიდან უცბად დასძრავდნენ მანქანას და მაშინვე ამუხრუჭებდნენ; მან ერთდროულად სადავეც მოსწია და წკეპლაც გადაუჭირა ჯორებს. ფორანი ადგილიდან დაიძრა. უკან მოიტოვა დუქანიც, მდუმარე და პირქუშად მომზირალი ბრბოც, და აი უკვე მოსახვევში თვალს მიეფარა.

„ერთხელ და სამუდამოდ, — გაიფიქრა ბიჭმა, — იქნებ ახლა მაინც იკმაროს, ახლა, როდესაც...“ — და უმალვე შეწყვიტა ფიქრი, რადგან საკუთარ თავსაც ვერ გაუმჟღავნებდა ამას. დედამ ხელი მხარზე შეახო.

— გტკივა? — შეეკითხა იგი.

— არა, — უპასუხა მან. — რის ტკივილი, რა ტკივილი. მომეშვი.

— სისხლი მაინც ჩამოგებანა, სანამ ზედ შეგახმებოდეს.

— საღამოს დავიბან, — უთხრა მან. — გეუბნები, თავი დამანებე-მეთქი.

ფორანი მირახრახებდა. ბიჭმა არ იცოდა, სად მიდიოდნენ. არც არავინ იცოდა არასდროს და არც არავინ კითხულობდა, რადგან სადაც მოხვდებოდათ, გაჩერდებოდნენ; ორი-სამი დღის სავალზე ყოველთვის ელოდათ სადმე ცარიელი სახლი. ალბათ. მამა ამჯერადაც გაურიგდა ვინმე ფერმერს, რომ პურს მოუმკის სანახევროდ, სანამ... და ბიჭმა კვლავ შეწყვიტა ფიქრი. მამა ყოველთვის ასე იქცეოდა. მის მგლურ სიხარბესა და მამაცობაში იყო რაღაც ისეთი, რაც სხვების პატივისცემას იწვევდა. თითქოს მისი თავშეკავებული, მაგრამ მძინვარე სიშმაგე არამცთუ იცავდა მის დამოუკიდებლობას, არამედ სხვებსაც შთააგონებდა, რომ მისი მგზნებარე რწმენა საკუთარი სიმართლისა სიკეთეს მოუტანს ყველას, ვინც კი მას მხარში ამოუდგება.

ღამის გასათევად წყაროსთან გაჩერდნენ, მუხნარში. ღამით ჯერ კიდევ ძლიერ ცივდა, მაგრამ მათ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ: ვიღაცის ლობიდან სარი ამოაძრეს, წვრილ-წვრილად დააპეს, მერე მოხერხებულად, მომჭირნედ დაალაგეს და პატარა კოცონი გააჩაღეს; დიდ კოცონს ბიჭის მამა საერთოდ არ ანთებდა, ყინვაშიაც კი. ბიჭი ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, შეამჩნევდა ამას და გაუკვირდებოდა კიდეც, რატომ უფრო დიდ კოცონს არ აჩაღებდა მამა, რატომ არ სწვავდა ირგვლივ ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა, ის კაცი, ვინაც არა მარტო თავის ზურგზე გადაიტანა ომის ბედუკულმართობა, დაუნდობლობა და დაუზოგველობა, არამედ ვინაც პატარაობიდანვე შეისისხლხორცა დაუოკებელი ზიზღი ყოველივე იმისა, რაც კი სხვებს ეკუთვნოდა? უფრო მოგვიანებით, შესაძლოა, მეტსაც მიხვედრილიყო — ეს ჩვეულება შეიძლება მამამ სწორედ იმ ოთხ წელიწადში შეიძინა, როდესაც ღამღამობით თავის ცხენებიანად (იგი მათ ნაალაფარს უწოდებდა) ემალებოდა ტყეში ყველას, ვისაც კი ლურჯი თუ ნაცრისფერი ფორმის ტანსაცმელი ეცვა. ხოლო როცა გაიზრდებოდა, შესაძლოა, მას აღმოეჩინა ნამდვილი მი-

ზეზი, მიხვედრილიყო, რომ თვით ცეცხლის სტიქია ეხმაურებოდა მის სულში ღრმად ჩამარხულ რაღაც გრძნობას, ისევე როგორც სხვა ადამიანის სულს თოფის წამლისა და ფოლადის სტიქია ეხმაურება. ცეცხლის მეშვეობით იგი ლამობდა, რომ გადაერჩინა ის, რაც მას ეკუთვნოდა, რაც სანუკვარი, ძვირფასი იყო მისთვის, ურომლისოდაც სიცოცხლეს ფასი არ ექნებოდა. აი, რატომ სცემდა მამამისი თაყვანს ცეცხლს, რატომ იჩენდა ასეთ მოთმენობას და სიძუნწეს, როცა კოცონს ანთებდა.

მაგრამ ახლა იგი ამაზე არ ფიქრობდა. აქამდე ასეთი უბადრუკი კოცონების მეტი არაფერი ენახა. მას წინ ედგა თავისი რკინის თეფში და უკვე თვალი ელულებოდა, როდესაც მამამ დაუძახა. და იგი კვლავ უკან გაჰყვა მამას, კვლავ ხედავდა მის უხეშ ზურგს, ხედავდა მამას, გოროზად რომ მიათრევდა მტკივან ფეხს. სერზე ადიოდნენ, ვარსკვლავებით განათებულ გზას მიჰყვებოდნენ; იქ კი, ზემოთ, როცა მამა შემოტრიალდა, მთლად მოჩვენებას დაემგვანა ვარსკვლავების შუქზე, თითქოს არც სახე აქვსო და არც სხეული. შავ ლანდად, ბრტყელ, სისხლდაშრეტილ ლანდად ქცეულიყო იგი. თითქოს თუნუქისაგან არისო გამოჭრილი, — ისე ჩანდა სერთუკის რკინისებურ ნაოჭებში, ნათხოვარივით რომ ედგა ტანზე. მამამ თუნუქივით ცივი და უხეში ხმით თქვა:

— შენ გინდოდა გეთქვა მათთვის? ეტყოდი?

ბიჭმა არ უპასუხა. მამამ მაგრად ჩაარტყა თავში, თუმცა გულმოსული არ იყო. ზუსტად ასე გადაუჭირა ჯორებს სახრე დუქანთან, სწორედ ასევე გადაუჭერდა სახრეს ზურგზე, რომ მათთვის ბორა მოეგერიებინა. მამას არც ხმა ჰქონდა სასტიკი და ბრაზმორეული.

— შენ მალე კაცი იქნები. უნდა გესმოდეს ეს. მხარი უნდა მისცე შენიანებს, ღვიძლ ადამიანებს, რომ შენც მხარში ამოგიდგნენ. შენ ფიქრობ, რომ სასამართლოში ვინმე გამოგესარჩლება? განა არ გესმის, რომ მათ უნდოდათ ყელში მწვდომოდნენ, რადგან ხვდებოდნენ, რომ მე გავაცურე ისინი. გაიგე?

მოგვიანებით, ოცი წლის შემდეგ, ამას რომ იხსენებდა, ბიჭი ფიქრობდა: „მე რომ მეთქვა, ისინი მხოლოდ ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ეძიებენ-მეთქი, მამა კვლავ ჩამარტყამდა“. მაგრამ მაშინ ბიჭს არაფერი უთქვამს. არც უტირია. იგი ჩუმად იდგა.

— აბა მიპასუხე, — უთხრა მამამ.

— ჰო, — ჩაიჩურჩულა ბიჭმა.

მამამ ზურგი შეაქცია.

— წადი, დაიძინე. ხვალ მივალთ იქ.

მეორე დღეს ისინი მივიდნენ ადგილზე. სადილობის დროს ფორანი გაჩერდა ორთახიან შეუღებავ პატარა სახლთან, წყლის ორ წვეთივით რომ ჰგავდა სხვა მრავალ ასეთსავე სახლს, სადაც კი უცხოვრია ბიჭს თავისი სიცოცხლის ათი წლის მანძილზე, და ამჯერადაც, როგორც ბევრჯერ წინათ, ბიჭის დედა და დეიდა ჩამოხტნენ ფორანიდან და შეუდგნენ მის გადმოცლას, ხოლო დებს, ძმასა და მამას ხელიც არ გაუნძრევიათ.

— საღორესა ჰგავს, თუმცა საღორედაც არ გამოდგება, — შენიშნა ერთ-ერთმა დამ.

— შენთვის სწორედ ზედგამოჭრილია. ღორებს მოაშენებ და კიდევაც გაიხარებ, — უთხრა მამამ. — აბა, ხელი გაანძრიეთ, დედას მიეხმარეთ!

გახამებული ბამთების შარიშურით წამოიზლაზნენ სავარძლებიდან ზორ-

ზოხა, ზოზინა დები. ერთმა დაჭმუჭნულ ქვეშაგებიდან გამოათრია შეჭყლეტილი ფარანი, მეორემ ხელი დაავლო გაქუცულ ჯაგრისს. მამამ სადავე უფროს ვაჟს გადასცა და ისე, რომ წელში არ მოხრილა, ფორნის თვალზე გადმოვიდა.

— როდესაც ფორანს დაცლიან, ჯორები თავლაში წაიყვანე და ქერი აჭამე! — მერე დაუმატა (პირველად ბიჭს ეგონა, რომ მამამ უფროს ძმას მიმართა): — წავიდეთ!

— მე მეუბნები? — როგორც იქნა მიხვდა ბიჭი.

— ჰო, შენ! — უთხრა მამამ.

— აბნერ! — დაუძახა დედამ.

მამამ უხმოდ შეხედა ქალს მკაცრი, უაზრო თვალებით, ჭაღარაშერეულ, ხშირ, შეჭმუხნულ წარბებს ქვეშოდან.

— ერთი სიტყვა მაინც უნდა ვუთხრა იმ კაცს, ვინც მე მთელი რვა თვით მიყიდა დედაბუდიანად.

ისინი კვლავ გამოვიდნენ გზაზე. ერთი კვირის წინ, გუშინ საღამომდეც კი, ის ალბათ იკითხავდა, სად მივდივართო, მაგრამ ახლა ვერ გაებედა. წინათაც, გუშინდელ საღამომდე, მამა სცემდა მას, მაგრამ საჭიროდ არასოდეს არ მიაჩნდა, აეხსნა, თუ რისთვის სცემდა; ახლა კი თვით დარტყმაც და მშვიდი, შეურაცხმყოფელი ხმაც, ამ დარტყმას რომ მოჰყვა, ჯერაც ესმოდა, ყურებში ედგა, თუმცა კი არაფერს არ ეუბნებოდა, არაფერს არ უხსნიდა, შესაძლოა, გარდა ბავშვობის აუტანელი თვისებისა — მისი ასაკის უმნიშვნელო ტვირთისა, რაც უკვე ხელს უშლიდა მოწყვეტოდა იმ სამყაროს, სადაც ჩაეგდოთ იგი, მაგრამ არ იყო საკმაო იმისათვის, რომ მაგრად დამდგარიყო ფეხზე, წინააღმდეგობა გაეწია ამ სამყაროსათვის და რაღაც შეეცვალა მასში.

მალე ბიჭმა დაინახა მუხების, კედრებისა და კიდევ სხვა აყვავებული ხეების კოროში და ხშირი ბუჩქნარი. კოროს იქით, ეტყობა, სახლი უნდა ყოფილიყო. ისინი ღობეს მიჰყვებოდნენ, წერწა და ასკილი რომ მოსდებოდა, მერე აგურის დიდ სვეტებზე ჩამოსმულ ფართოდ გაღებულ ჭიშკარში შევიდნენ და ხეივანს გაჰყვნენ. ბიჭმა პირველად ნახა ასეთი სახლი და წამით გადაავიწყდა მამაც, თავისი შიშიც და სასოწარკვეთილებაც; და მაშინაც კი, როდესაც მამა გაახსენდა, წინ შეუჩერებლად რომ მიაბიჯებდა, შიშსა და სასოწარკვეთილებას მეტად ალარ შეუპყრია. მათ ხომ ძალიან ბევრი უვლიათ, მაგრამ აქამდის ამ ღარიბ მხარეს, პატარა ფერმებს, მწირ მინდვრებსა და ქოხმახებს არ გაშორებიან, და ბიჭს არასდროს არ უნახავს ასეთი სახლი. „რა დიდი სახლია, პირდაპირ სასახლეა," — გაიფიქრა ბიჭმა ისე მშვიდად, რომ თვითონაც არ მოელოდა. აქ გაბატონებული სიმშვიდისა და სიწყნარის გამოხატვას სიტყვებით იგი ვერ შეძლებდა; ამისათვის ის ძლიერ პატარა იყო. „მათ მამაჩემის არ ეშინიათ. ასეთ სიმშვიდესა და სიდიადეში მცხოვრები ადამიანები მისთვის მიუწვდომელია. მამა მათთვის თითქოს აბეზარი კრაზანაა; ჰო, ერთხელ უკბენს, მოარჩა და გათავდა; ეს სიდიადე და სიმშვიდე დაიცავს ბელლებსაც, ფარდულებსაც და თავლებსაც მისი ხარბი, ყოვლისმშთანთქმელი ცეცხლისაგან..." და უმალ სიმშვიდე და სიხარული გაქრა, როდესაც მან კვლავ შეხედა მამის უხეშ, შავ ზურგს, მის მტკივან ფეხს, გოროზად რომ მიათრევდა იგი, მის ალნაგობას, რაც ვერ დაჩრდილა სახლის სიდიდემ; ახლაც, უშფოთველად მდგარი სვეტების ფონზე, მამა ჰგავდა თუნუქისაგან გამოჭრილ ბრტყელ, უსულო საგანს, გვერდით რომ არც კი დააფენდა ჩრდილს. ბიჭმა

შეამჩნია, რომ მამა პირდაპირ მიდიოდა, ოდნავადაც არ გადაუხვევია გვერდზე. დაინახა, რომ ის ფეხი, რომელიც არ ეხრებოდა, პირდაპირ ჩადგა ნეხვის გროვაში. ისე კი მამას სულ ადვილად შეეძლო გვერდი აევლო მისთვის. ამ ფიქრმა ბიჭს წამით გაუელვა თავში, მას არც ახლა შეეძლო გამოეხატა ეს სიტყვებით; მერე კი ისევ მოიხიბლა სახლით. — ნეტარება იქნება ასეთ სახლში ცხოვრებაო! — ეს ისე ინატრა, რომ არც შური უგრძვნია, არც სინანული და, რასაკვირველია, არც ის დამაბრმავებელი, შურიანი გახელება, რაც მისთვის უცნობი იყო, მაგრამ რაც ახლა მის წინ მიაბიჯებდა შავი სერთუკის რკინისებურ ნაჭებში გახვეული. „იქნებ მამაც ასე ფიქრობს; იქნებ შეცვალოს ამ ფიქრმა, სულ სხვა ადამიანად აქციოს იგი, თუნდაც თვითონ არ უნდოდეს ეს“.

მათ გაიარეს სვეტების მწკრივში. ახლა მას ესმოდა, თუ როგორ მძიმედ ადგამდა მამა ქვის ფილებზე ფეხს, და მისი ნაბიჯების ხმა საათივით მკაფიოდ ისმოდა. ეს ხმა არ ესადაგებოდა არც ამ სახლისა და არც აქ მოსულთა სიდიდეს, ხმაურსაც არაფერი არ ახშობდა, თვით მათ წინ აღმართული თეთრი კარიც კი; თითქოს მიაღწიეს რაღაც ბოროტი და მტაცებლური დაძაბულობის ზღვარს, დაძაბულობისა, რომლის შენელება არაფერს შეეძლო, და კვლავ მის წინ იყო ბრტყელი, ფართოფარფლებიანი შავი ქუდი, უხეში მაუდის სერთუკი, ოდესღაც ისიც შავი, მაგრამ ახლა პრიალა, ხარაბუზას მომწვანო ფერი რომ გადაკრავდა, წინ გაწვდილი ხელი, ბრჭყალებიანი თათის მსგავსი, და ერთობ განიერი სახელოები, იდაყვზე რომ ეჩაჩებოდა მამას. კარი ისე სწრაფად გაიღო, რომ ბიჭი მიხვდა, ზანგი თავიდანვე უთვალთვალებდა მათ; ჭალარა, ხუჭუჭთმიანი მოხუცი ზანგი, ტილოს ქურთუკი რომ ეცვა, კარებში იდგა და თავის სხეულით გზას ულობავდა მოსულებს:

— ფეხი გაიწმინდეთ, თეთრკანიანო ბატონო. თქვენ წესიერ ოჯახში შედიხართ. მაიორი ახლა შინ არ არის.

— გზა მომეცი, ყარაჩო, — მშვიდად, აუღელვებლად უთხრა მამამ.

ზანგი გვერდზე მისწია, კარი ფართოდ გაიღო და შიგ შევიდა, ისე რომ შავი ქუდი არ მოუხდია. ბიჭმა დაინახა, როგორ დააჩნდა ნეხვის კვალი ჯერ კარის ზღურბლს, მერე კი ლია ფერის ხალიჩას. თითქოს მანქანა ყოფილიყოს, ისე აჩნევდა კვალს მამა თავისი კოჭლი ფეხით, გაორკეცებული სიმძიმით რომ აწვებოდა ზედ. ზანგი მისდევდა მამას და თან ყვიროდა:

— მის ლუელა! მის ლუელა!

მერე ბიჭი თითქოს აიტაცა ნოხებდაფენილი კიბეების, მოელვარე ჭაღებისა და შანდლების, დაბინდული, მოოქრული ჩარჩოების მსუბუქმა, თბილმა ტალღამ; მან გაიგონა ჩქარი ნაბიჯები და დაინახა მანდილოსანი (ასეთი ქალები წინათ არასოდეს არ უნახავს). მას მაქმანის საყელოიანი ნაცრისფერი სადა კაბა ეცვა, წელზე წინსაფარი ეკეთა და სახელოები აეკაპიწებინა. დარბაზში შემოსვლისას ცომში დასვრილი ხელები პირსახოცზე შეიწმინდა. თითქოს არა სჯერაო, გაკვირვებული უყურებდა მამას კი არა, სუფთა ნოხზე დაჩენილ ნაფეხურებს.

— მე არ ვუშვებდი! — გაიძახოდა ზანგი. — მე ვეუბნებოდი, რომ...

— აქედან გადით, გეთაყვა, — ქალმა აკანკალებული ხმით უთხრა მამას. — მაიორი დე სპეინი შინ არ არის! გადით, გადით...

მამას ხმა არ ამოუღია. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ქალისათვის არც კი შეუხედავს, გაუნძრევლად იდგა შუა ნოხზე. ქუდს არ იხდიდა. ხშირი, ქოლი წარბები შეეჭმუხნა და რაღაცნაირი ზიზღნარევი ყურადღებით ავლებდა ფო-

ლადისფერ თვალებს სახლის მთელ დიდებულ მოწყობილობას. მერე სწრაფად შემობრუნდა იმავე ზიზღნარევი დაუდევრობით. ბიჭმა დაინახა, როგორ დაეყრდნო იგი ჯანმრთელ ფეხს, მეორე გაშეშებული ფეხით კი შემოხაზა ნახევარწრე და ნოხზე დასტოვა ნეხვის გრძელი გამოსათხოვარი ზოლი. მამას არც კი დაუხედავს ნოხისათვის, ისე გამოვიდა სახლიდან. ზანგს კარი ხელით ეჭირა. გამოვიდნენ თუ არა ისინი, კარი მაგრად მიაჯახუნა, რამაც დაახშო გამწარებული ქალის კივილი, სახლიდან რომ მოისმა. მამა კიბის ზემო საფეხურზე შეჩერდა და გულმოდგინედ გაიწმინდა ნეხვით მოსვრილი ჩექმა. ჭიშკართან ისევ შეჩერდა, წამით მძიმედ დაეყრდნო მტკივან ფეხს და პირი სახლისკენ იბრუნა.

— რა თეთრია, ქათქათა! ლამაზი! — თქვა მან. — და მაინც ოფლი არის შიგ ჩალვრილი, ზანგის ოფლი. იქნებ ზანგის ოფლი საკმაოდ თეთრი აღარ არის ასეთი სახლისათვის. იქნებ ჩვენი ოფლიც სჭირდება...

ორი საათის შემდეგ, როდესაც ბიჭი შეშას აპობდა სახლის უკან, სადაც ახლა დედა და დეიდა (არა, დები არა; მან იცოდა ეს — აკი შორიდანაც იგრძნობოდა მათ მაღალ და უსიცოცხლო ხმებში, კედელი რომ ახშობდა, უსაშველო სიზარმაცე) ქურასთან ფუსფუსებდნენ და სადილს ამზადებდნენ, მან გაიგონა ცხენის ფლოქვების თქარუნი და დაინახა ტილოს ტანსაცმელში გამოწყობილი, ლამაზ წაბლა ფაშატზე მჯდომი მხედარი; ბიჭი მიხვდა, ვინც იყო იგი, ჯერ კიდევ მანამ, სანამ შეამჩნევდა დახვეულ ნოხს, ნაპატივებ ლაფშაზე შემჯდარ ზანგის ბიჭს რომ შემოედო წინ; ბრაზისაგან ალეწილმა მხედარმა ჩაიქროლა და სახლის კუთხეს მიეფარა, იქ, სადაც ჩამტვრეულ სკამებზე ისხდნენ მამა და უფროსი ძმა; და იმავ წამს, მოქნეული ნაჯახის ძირს დაშვება ვერც კი მოასწრო ბიჭმა, რომ კვლავ გაისმა ფლოქვების თქარუნი და წაბლა ფაშატი ისევ გზაზე გაიჭრა ჭენებით. მერე მამამ ერთ-ერთ დას დაუძახა; ისიც მალე გამოვიდა ზურგშექცევით სამზარეულოდან, თან დახვეულ ნოხს მოათრევდა მიწაზე, მეორე და კი გულგრილად მოჰყვებოდა მას უკან.

— რაკი წამოღებაში არ გინდა მომეხმარო, ქვაბი მაინც დადგი ცეცხლზე, — ბუზღუნებდა პირველი.

— ეი, სარტი! — დაიძახა მეორემ. — ქვაბი მოამზადე!

ამ დროს კარებში გამოჩნდა მამა, იმდენადვე გულგრილი გარემომცველ უბადრუკობისადმი, რამდენადაც გულგრილი იყო იგი დე სპეინის კარმიდამოს მჭლე სიდიადისადმი; მის ზურგს უკან მოჩანდა დედის დარდიანი სახე.

— აქეთ შემობრუნდით! — დაუძახა მამამ. — გაშალეთ ნოხი!

ზორზოხა და დანდლო დები ნოხისაკენ რომ დაიხარნენ, ერთობ განიერი ქვედაკაბები აუფრიალდათ. ჭრელმა ბაფთებმა გაიშრიალეს.

— რაკი მოიფიქრეს ასეთი ნოხის შეძენა, მისი ჩამოტანა თვით საფრანგეთიდან, მაშინ არც უნდა დაეგოთ ისეთ ადგილას, სადაც გაფუჭდებოდა, — ბუზღუნებდა პირველი.

მათ აიღეს ნოხი.

— აბნერ! — თქვა დედამ. — მიმიშვი, მე გავაკეთებ.

— შენ წადი და სადილი მოამზადე, — უთხრა მამამ. — ამას მე მოვუვლი.

შეშის პობით გართული ბიჭი საღამომდე ადევნებდა მათ თვალს. ნოხი მიწაზე იყო გაფენილი მდუღარე ქვაბის ახლოს. დები უგულოდ, ზანტად დაბორიალობდნენ, პირქუში, ულმობელი მამა კი მათ თავზე ადგა და მშვიდად, ხმის აუმაღლებლად აჩქარებდა. ბიჭს შინ დამზადებული საპნის მძაფრი

ბიჭი ფარდულისაკენ გაიქცა; აი ის, ჩვეულების ძალა, ძველი სისხლი, რომლის არჩევაც მისთვის არავის უკითხავს; სისხლი, უნდოდა თუ არა, მემკვიდრეობით რომ მიიღო, სისხლი, მის გაჩენამდე რომ ჩქეფდა მრავალი ადამიანის ძარღვებში და იღვრებოდა, ვინ უწყის სად, რა ძალადობის, მხეცობისა თუ ვნებათა ღელვის ჟამს. „მე შემეძლო არ დავბრუნებულიყავი, — ფიქრობდა ბიჭი. — აი, სულ რომ ასე ვირბინო და ვირბინო, აღარასოდეს მოვიხედო უკან, აღარ ვნახო მისი სახე, მაგრამ მე არ შემიძლია...“ და დაჟანგული ბიდონი უკვე ხელში უჭირავს, უკვე თქაფუნობს სითხე ბიდონში, თვითონ ბიჭი კი ისევ სახლისაკენ გარბის, სადაც უკანა ოთახიდან მოისმის დედის ქვითინი, და ბიჭი ბიდონს აწვდის მამას

— თქვენ ისიც კი არ გინდათ, რომ ზანგი გაგზავნოთ! — იყვირა ბიჭმა.— წინათ თქვენ ზანგს მაინც გზავნიდით...

ამჯერად მამამ არ დაარტყა მას. ბიჭმა თვალიც კი ვერ შეასწრო, როგორ გაუშვა მამამ მაგიდაზე მდგარ ბიდონს ხელი, ელვის სისწრაფით სწვდა ბიჭს პერანგის საყელოში და ისე აქაჩა, რომ ბიჭი ფეხის ცერებზე შედგა; იგი მხოლოდ მამის გაყინულ, ულმობელ პირისახეს ხედავდა და ესმოდა მისი ცივი, უსიცოცხლო ხმა. მაგიდაზე დაყრდნობილ უფროს ძმას, კევს რომ ღეჭავდა და უცნაურად იქნევდა ყბებს, თითქოს ძროხა ყოფილიყოს, მამამ უთხრა:

— აქედან დიდ ბიდონში გადაასხი და წადი! მე დაგეწევი.

— ჯობია საწოლზე მიაბა ბიჭი, — უთხრა უფროსმა ვაჟმა.

— გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან, — მიუგო მამამ.

მერე ბიჭმა იგრძნო, რომ უხეშ ხელს ჩაუბღუჯავს მისი პერანგი, მაღლა ექაჩება, ფეხის თითებით ძლივს ეხება იგი იატაკს, მაგრამ ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში კი გავიდა. დებიც აქ არიან, უშნოდ გაშხლართულან სავარძლებში, ჩამქრალი კერიის წინ. საწოლზე დედა და დეიდა სხედან. დეიდას ხელი მოუხვევია მხარზე დედისთვის.

— დაიჭი, — თქვა მამამ. დეიდა გაქანდა მათკენ.

— არა, შენ არა, — უთხრა მამამ. — ლენი, დაიჭი, შენ იცი, აბა, არ გაუშშვა! — დედამ ბიჭს მკლავში მოჰკიდა ხელი.

— არა, უფრო მაგრად დაიჭირე. თუ გაგეშვა, იცი, რას იზამს? მათთან გაიქცევა, — მამამ თავით გზისკენ მიუთითა.

— იქნებ ჯობდეს, რომ გავკოჭოთ.

— მე მაგრად დავიჭერ, — ჩაიჩურჩულა დედამ.

— აბა, ეცადე, არ გაუშვა.

მერე მამა წავიდა კოჭლობით. მძიმე, დინჯი ნაბიჯების ხმა შეწყდა.

მაშინ ბიჭმა ხელიდან გასხლტომა სცადა. დედამ ორივე ხელი შემოხვია მას, ის კი ისევ იქაჩებოდა, გაქცევას ლამობდა. — არა უშავს, მაინც დავუსხლტები ხელიდან. — მაგრამ დრო აღარ ითმენდა.

— გამიშვი, — იყვირა ბიჭმა. — არ მინდა, რომ რამე გატკინო!

— გაუშვი, — უთხრა დეიდამ. — ეგ თუ არა, მაშინ მე წავალ მათთან!

— ნუთუ არ გესმის, რომ მე არ შემიძლია, — ატირდა დედა. — სარტი! სარტი! ნუ იზამ! ლიზი, მოდი, მომეხმარე!

მაგრამ ბიჭი უკვე გაუსხლტა ხელიდან. დეიდამ სცადა შეეჩერებინა იგი, მაგრამ გვიან იყო. ბიჭი შურდულივით გავარდა გარეთ. დედამ წაიფორხილა, მუხლებზე დაეცა, ისლა მოახერხა, რომ ერთ-ერთ დას გასძახა:

— დაიჭი, ნეტი, დაიჭი!

მაგრამ უკვე გვიან იყო. დები ტყუპები გახლდნენ, იმსისქეები იყვნენ, რომ თვითეულისაგან ორი კაცი გამოიჭრებოდა. ნეტიმ სავარძლიდან წამოწევაც ვერ მოასწრო, მხოლოდ პირსახე მოიბრუნა, ზედ გაკვირვებაც რომ არ ეტყობოდა.

ბიჭი კი სქელი მტვრით დაფარულ გზაზე გაიჭრა. პირისახეში სცემდა წერწას სულისშემხუთავი სუნი. ძლივს დაილია გზის მკრთალი ზოლი. ბოლოს, როგორც იქნა, ჭიშკარიც გამოჩნდა; სულ ცოტაღა დარჩა იქამდე. გული მაგრად უცემს, ფილტვები ლამის დაუსკდეს; აი უკვე ხეივანშია, განათებული სახლისკენ გარბის. მას კარებზე არც კი დაუბრახუნებია, ისე შევარდა შიგ. სული ეხუთებოდა, კრინტი ვერ დაეძრა. მან დაინახა ტილოს ქურთუკიანი ზანგი, გახევებული რომ იდგა; ბიჭი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, საიდან გაჩნდა იგი აქ.

— დე სპეინი! — დაიყვირა მან, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. — სად არის დე სპე... — და დაინახა ის თეთრკანიანი კაცი, დარბაზიდან რომ გამოდიოდა.

— ბელელი! — ყვიროდა ბიჭი, — ბელელი!

— რაო? — ჰკითხა თეთრკანიანმა, — ბელელი?

— ჰო, — ყვიროდა ბიჭი. — ბელელი!

— დაიჭი, არ გაუშვა! — დაიყვირა თეთრკანიანმა.

მაგრამ ამჯერადაც დააგვიანეს; ზანგი მის პერანგს მისწვდა, მაგრამ მხოლოდ ბევრი რეცხვისაგან გაცრეცილი პერანგის სახელო შერჩა ხელში, ბიჭი კი გარეთ გავარდა.

ზურგიდან მოესმა ძახილი:

— ცხენი! ჩქარა ცხენი!

ბიჭმა ერთი კი გაიფიქრა, პარკს გადავჭრი, ღობეზე გადავხტები და პირდაპირ გზაზე გავალო, მაგრამ მან პარკის ასავალ-დასავალი არ იცოდა, არც ის იცოდა, რამსიმაღლე იყო ღობე, ზედ სვია რომ მოსდებოდა; გადახტომა ველარ გაბედა. ხეივანში მირბოდა. საფეთქლებში სისხლი აწვებოდა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. აი გზაც; ბიჭი ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა; გაჭენებულმა ცხენმა კინაღამ გადათელა, ის კი სულ გარბოდა და გარბოდა, თითქოს საცაა უზომო მწუხარება და აღტკინება ფრთებს გამოასხამსო. სანამ შეეძლო, გზიდან არ გადაუხვევია, მხოლოდ მაშინ ჩაგორდა სარეველამოდებულ თხრილში, როცა ძალიან გაუჭირდა. წამით ვარსკვლავებს აეფარა ყალყზე შემდგარი, გავეშებული ცხენის ლანდი, გამაყრუებელი თქარათქურით რომ ჩაუქროლა გვერდზე; ბიჭი წამოვარდა, გზაზე გაიჭრა; იცოდა, რომ ძლიერ გვიან იყო, მაგრამ მაინც გარბოდა, მაშინაც კი, როდესაც სროლის ხმა გაიგონა. მას კიდევ ორი გასროლა მოჰყვა. მერე, თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ შეჩერდა და დაიყვირა: „მამა! მამა!“ — და კვლავ გაიქცა. ვერც კი გრძნობდა, რომ კვლავ გარბოდა. რამდენჯერმე წაიფორხილა, ხან რას წამოედო და ხან რას, თვითონაც არ იცოდა, სად მიძვრებოდა, შეუჩერებლივ გარბოდა, არც მაშინ გაჩერებულა, როცა უკან მოიხედა და ცაში ავარდნილი ალი დაინახა; წარამარა ხეებს აწყდებოდა, ლამის სიბნელეში რომ არ ჩანდა. სულს ძლივს ითქვამდა, ზლუქუნებდა: „მამა! მამა!“.

შუალამისას ბიჭი ბორცვის თხემზე იჯდა. მან არ იცოდა, რომ უკვე შუალამე იყო, არც ის იცოდა, თუ სად იმყოფებოდა, მაგრამ უკან აღარ ჩან-

და დაფიონი. ბიჭი ზურგშექცევით იჯდა იმისაგან, რაც სულ ოთხი დღის წინათ მისი სახლი იყო. ბნელი ტყეებისაკენ მიუქცევია პირი, მას რომ შეიფარებენ, როცა იგი მოიკრებს სულის მხნეობას, მთლად აკანკალებუბული, გაცრეცილი, დაფლეთილი პერანგის ამარა შევა შიგ და ჩამოწოლილი წყვდიადი შთანთქავს. მხოლოდ სასოწარკვეთილებასა და მწუხარებას იგრძნობს, — არა შიშსა და ძრწოლვას, — არამედ მხოლოდ სასოწარკვეთილებასა და მწუხარებას. „მამა! მამაჩემი“, — ფიქრობდა იგი.

— ის გულადი იყო! — ანაზდად წამოიყვირა მან. თუმცა კი არ წამოიყვირა, ხმამაღალი ჩურჩულით თქვა: — იგი გულადია. ომში იბრძოდა. პოლკოვნიკ სარტორისის ცხენოსან ჯარში იყო! — ყვიროდა ბიჭი. მან არ იცოდა, რომ მამამისი მოხალისედ წავიდა ომში, ისევე როგორც ევროპელი ლანდსკნეხტები მიდიოდნენ წინათ. მამამისი არ ატარებდა ფორმას, თავის უფროსად არავის თვლიდა, თავისი თავი არ მიაჩნდა შებორკილად რომელიმე არმიის ან დროშის ერთგულებით. იგი ომში წავიდა იმავე მიზნით, რა მიზნითაც ოდესღაც წავიდა მალბრუკი: ნადავლის ხელში ჩასაგდებად. ხოლო თუ ვის გაძარცვავდა — მტერსა თუ მოყვარეს, — მისთვის სულერთი იყო.

ნელა, შეუმჩნევლად მოძრაობდნენ ცაზე ვარსკვლავები. მალე ირიჟრაჟებს, მზე ამოიწვერება, ბიჭი შიმშილს იგრძნობს, მაგრამ ეს ხვალ იქნება, ახლა კი მას მხოლოდ სცივა და სიარული გაათბობს. მან ცოტათი სული მოითქვა და გადაწყვიტა წასულიყო, მერე კი მიხვდა, რომ ჩასძინებოდა, რადგან თვალი რომ გაახილა, თითქმის გათენებულიყო. ღამე მიიწურა. ამას ადასტურებდნენ თხიწოვიები. ახლა ყველგან, ჯერ ისევ ჩაბნელებულ ხეებში, ისმოდა მათი ხმა, მომაბეზრებელი, გულის გამაწვრილებელი. ბიჭი ფეხზე წამოდგა, გათოშილი ფეხები ვერ გამართა, მაგრამ არა უშავს, სიარულში გათბება; მზე ხომ მალე უნდა ამოიწვეროს. იგი ბორცვიდან დაეშვა ქვემოთ, შავად აქოჩრილი ტყეებისაკენ, საიდანაც ისმოდა ჩიტების ჟრიამული, მათი ვერცხლივით წკრიალა ხმები — ხშირი, ძალუმი ძგერა გაზაფხულის ღამის ამღერებული გულისა. ბიჭი უკან არ იხედებოდა.

□

ვიქტორ ასტაფიევი

ჩრდილოეთის ფორეულ მწვერვალზე

ფოთხრობა

რუსულიდან თარგმნა **გიგი ხორნაულმა**

•

Оგი საათობით იდგა ხოლმე გაუნძრევლად, ქარ-წვიმისაგან ჩამორეცხილ ნაშალი მთის ლოდზე, თხელი ნისლი რომ შემოხვეოდა. ვეებერთელა ლოდი იყო, შავი და სიპი, შუასაუკუნეთა ციხე-კოშკის ნანგრევებს მოგაგონებდა. ლოდის ირგვლივ მთელ ორ კილომეტრზე გაბნეულიყო ორსართულიანი სახლისოდენა ქვები, ლოდებშუა კი ეყარა მათი ნაშალი. რუხ ფარას ჰგავდა ქვა-ღორღიც, კლდეების ძირას ჭანჭრობ მინდორზე საბალახოდ რომ გამოიშლება ხოლმე თოვლის მოსვლამდე.

ბლომადაა აქაც, დიდ ქედზე, ლოდები, ქაჩალგორები, ნაშალი, ქარისაგან გამოფიტული კლდეები. თითქმის ყველას აქვს შერქმეული სახელი იმისდა მიხედვით, რისთვისაც მიუმსგავსებია იგი ბუნებას: „დათვი“, „კარავი“, „სამკბილა“, „მასრა“, ასე გასინჯეთ, „ჯავშნოსანი მატარებელიც“ კი.

მან რატომღაც „მასრა“ ამოირჩია. ახლაც, ცისკენ შემართული, მის ქიმზე იდგა, ველს გადმოსცქეროდა. რქები რომ არა, ეს დატოტვილი ქორბუდა რქები, ქარ-წვიმებისაგან გამოფიტული მთის წვერო ეგონებოდა კაცს, ისე შერწყმოდა იგი ამ ათას ვერსზე გაშლილ ქუშსა და მდუმარე სამყაროს.

ლოდზე მაშინ წამოდგებოდა ხოლმე, როცა მზის ჩასვლის წინ მთები ლურჯ პირბადეს მოიცილებდნენ და თვალსაწიერზე ყველაფერი კარგად მოჩანდა.

ვინემ მთლად ჩაესვენებოდა მზე, ერთხანს მოიკალათებდა, ნებივრობდა მის რქებში, როგორც საალერსოდ გაშლილ მკლავებში. მერმე ცეცხლის ბურთი მძიმედ ჩამოუგორდებოდა ზურგზე, გაუბრწყინებდა რქის ყველა ტოტს, გაახვევდა ცისფრად მორიალე ზღაპრულ სხივებში და წამით კაშკაშა პლანეტას დაამსგავსებდა, დიდ ქედზე შემომჯდარს. ირგვლივ ყველა ცხოველი და ფრინველი გაი-

რინდებოდა, მფრთხალად იბრუნებდნენ თავს იქით, სადაც უკვე ეს რამდენი საღამოა უკვამლოდ იწვოდა და აღარც იწვოდა ხარირემი.

ორიათასიანი ჯოგი ძოვა-ძოვით მიუყვებოდა დიდ ქედს მშობლიური კოლმეურნეობისაკენ დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ჯოგის წინამძღოლი ხავსს მიეძალა, ოდნავ ჩამორჩა ჯოგს; გლეხურად გააბოძიძგა ძარღვიანი ფეხები, იმ ლოდს მიაჩერდა, სადაც ესოდენ შემაშფოთებლად ბრწყინავდა და ელვარებდა ირემი.

ცხვირის ნესტოები აუცახცახდა ჯოგის წინამძღოლს, დაძაბულობისაგან ოფლმა დაასხა მთელ ტანზე, სისხლი მოაწვა, ყურებმა შუილი დაუწყო. თავი გაიქნია, თითქოს უნდაო მოიშოროს ეს გამაყრუებელი, დამრეგში მომშლელი ხმაური.

წინამძღოლს ფართო გულმკერდი ჰქონდა, ჯმუხი იყო, მრისხანე. ძლიერთა კანონმა ამძლავრა იგი ირმების ჯოგზე. წინამძღოლად სცნეს არა მარტო ირმებმა, მეირმე-მწყემსებმაც, ნდობით რომ ესაუბრებოდნენ და ერთგული სამსახურისათვის ქვამარილით ანებივრებდნენ. არაერთხელ გადაურჩენია ირმების ჯოგი ჩრდილოეთის ვერაგ და ულმობელ მგელთაგან, მსხვერპლს რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებოდნენ. წინამძღოლი იყო, ხავსს რომ პოულობდა ამ ქვაღორღიან, უდაბურ, გავერანებულ ქედზე; ის გრძნობდა, სად ჩამოწვებოდა ზვავი, და ამჩნევდა მოწითალო ხავსით დაფარულ ჭანჭრობებს. მის სმენას არ გამოეპარებოდა ყელფერღენა მთის დათვის კატასავით მსუბუქი ნაბიჯები. სხვაც ბევრი რამ იცოდა წინამძღოლმა ირმებისა თუ ადამიანების სასარგებლოდ. მხოლოდ ერთში იყო უძლური, არ ძალუძდა ჯიშის გაგრძელება, არ ძალუძდა ბრძოლით მოეპოვებინა სიყვარული.

ადამიანებმა იხსნეს ამ მარადიული აუცილებლობისაგან. ადამიანებმა გახადეს ასე თვინიერი, მორჩილი, მათ ჩაუქრეს ის ცეცხლი, არა ერთი ირმის გული რომ დაუფერფლია, მაგრამ ბევრი კი ქარივით სწრაფი და გულადი, თავგანწირული და ამაყი გაუხდია.

იმას კი, იმ ლოდზე მდგომ ირემს, შერკინება ეწადა. იდგა ამაყად, ზვიადად, ქარის პირისპირ შეემართა რქები, ფეხი მოეკეცა და ისე გამომწვევად იყურებოდა, გეგონება, სადაც არის ყვირილით შეძრავს ცისქვეშეთს, შეაზრიალებს და გამოალვიძებს მთებს თეთრი ძილისაგან, მერე აქაფებულ ნაკადულს დაჰყვება თავქვე დამღუპველი, მაგრამ ნეტარი ჟინით დაბრმავებული და გამძვინვარებული.

წინამძღოლი აფორიაქდა. ჯოგი სწრაფად გააცილა „მასრას“, კარგა შორს გაიტაცა იქიდან. ლოდზე შემდგარი ირემი ბუზის ტოლაღა მოჩანდა. და მაინც ჩრდილოეთის უსასრულო დაისში, რკალად რომ ერტყმოდა ქედს, ცეცხლივით ბრიალებდა გარეული ირემი, მის რქებზე დაშვებული მზე აგიზგიზებდა ცეცხლის ენად. ამოდიოდა ცაზე ჯერ არნახული პლანეტა, მერე კი ნაცრისფერ ბინდბუნდში ნელ-ნელა ეხვეოდა. ჯოგი უკვე ისე შორს იყო, რომ ძლივს გაარჩევდა თვალი, როგორ ატორტმანდა „მასრა“ სივრცეში, მერე თითქოს მიწას მოსწყდა, ცას შეერწყა და შიგ ჩაინთქა.

წინამძღოლს კუნთები უნებურად მოეშვა, მშვიდად გაწვა ხავსმოდებულ, გაშლილ მინდორზე. დაღლილ თვალებზე ხშირი, თეთრი წამწამები ჩამოეფარა. წინამძღოლის ნაცვლად ჯოგს აქეთ-იქიდან ორი ძლიერი ხარირემი ამოუდგა, თავაწეულნი, მთრთოლვარე ნესტოებით ჰაერს ყნოსავდნენ, შიგ ჩახლართულ საიდუმლო ძაფებს ხსნიდნენ, თითქოს რთულსა და მხოლოდ მათთვის გასაგებ, და-

უმთავრებელ წარწერებს კითხულობენო. მწოლიარე წინამძღოლის შორიახლოს ნაზად ყელშეღერებული ყურპანტურა ფურირმები დაირხეოდნენ.

წინამძღოლი მილულული, კმაყოფილი თვალებით შესცქეროდა მათ და თან წვნიან ხავსს იცოხნიდა.

დილით ძაღლების ყეფითა და გნიასით ჩამოიარეს მწყემსებმა, ცოტა ხანს შეჩერდნენ, წინამძღოლს ქვამარილი აალოკინეს (კარგად იხდიდა თავის ვალს) და „უნაგირას“ გადაღმა, უქარო ადგილას, კლდეზე გადმოკიდებულ ჩანჩქერთან გაშალეს კარავი. წინამძღოლი ორი-სამი დღის შემდეგ მოიყვანდა ჯოგს მწყემსების ბინასთან, მწყემსები გააცილებდნენ ჯოგს, მერე კვლავ გადაუსწრებდნენ და სადმე წინ გაშლიდნენ კარავს. ასე თანდათან გადაივლიდა ქედს ირმების ჯოგი. ხავსით მოსუქებული ჯოგი საზამთროდ ბარად ჩამოვიდოდა, კოლმეურნეობაში, და დაიწყებოდა მშვიდი, უზრუნველი ცხოვრება.

ეს თავაწყვეტილი მეამბოხე, ეს ტყიური კი აქ დარჩება მარტო, ისევ მგლის ხროვა თუ გამოიგდებს წინ ზამთარში და მანამ სდევს, სანამ ყინული ცხვირის ნესტოებს არ ამოუჭედავს და, სულშეხუთული, განწირული, ღრმა თოვლში შეჩერდება. მგლები მაშინვე შემოეხვევიან, ყელში სწვდებიან, გაგლეჯენ და ნაწილ-ნაწილ დაითრევენ. ქვებზე დარჩენილ სისხლის წვეთებსაც კი ალოკავენ მშიერი მგლები.

საიდან გადმოვარდა ეს უშიშარი სტუმარი? რისთვის მოვიდა?

უკვე რამდენი წელია ამ ადგილებში გარეული ირემი აღარ უნახავთ; ხალხმა დააფრთხო ისინი და უფრო ჩრდილოეთით, ქარიანი, უდაბური, პოლარული წრის გადაღმა გადარეკა. იქნებ შინაური ირმების ჯოგს ჩამოშორდა და გაველურდა ეს ხარირემი? იქნებ მყვირალობის ჟამს, ფურირმების დევნით გონდაბინდული და გახელებული, აღმოჩნდა ამ ადგილებში? იქნებ ფურირემს დაეძებს ქედზე, სიყვარულსა და სიყვარულისათვის ბრძოლას მოწყურებული?

მაგრამ მას ჰყავდა ფურირმები. ორი ფურირემი. მხოლოდ მან ერთმა უწყოდა, როგორ იპოვა ისინი ნამზღვლევ, ჩამოღორღილ ხეობებში, დაბაჯღულ, მეჩხერ ტყეში; მოზვერი იყო, პირველი საქორწინო შემოდგომა დაუდგა ახლა. ველური მარალისა და ძეწნასავით მოქნილი ჩრდილოეთის ფურირმის ნაშიერი სიყვარულშიაც შმაგი იყო და კიდევ და კიდევ დაეძებდა ფურირმებს. თუმცაღა სიყვარულზე მეტად ბრძოლა სწყუროდა, ბრძოლა ფიცხელი, რათა მოჭარბებული ძალა დაეხარჯა და გულში აბობოქრებული ცეცხლი გაენელებინა. მაგრამ ამ დიდ, თვალუწვდენ ქედზე აღარსად ჩანდნენ მაღალფეხება ფურირემნი და გავეშებული ხარლაღნი. ის გაჰყვიროდა, მოუხმობდა მათ, ხოლო რაღაც სასწაულით მოვლენილი ფურირმები ყურდაცქვეტილნი უსმენდნენ ამ მრისხანე, მბრძანებლურ ხმას, მორჩილად მიჰყვებოდნენ სულ შორსა და შორს, სამხრეთის ტყიანი ფერდობებისაკენ, სადაც ათასნაირი ხიფათი იმალებოდა. დედობის სურვილი შიშზე ძლიერი იყო. ამიტომაც ხარირემს არ სცილდებოდნენ. ის კი იყნოსავდა შემოდგომის ქარისაგან მოტანილ სანუკვარ, საამო სურნელს და შეუპოვრად მიემართებოდა ირმების დიდი ჯოგისაკენ.

მივიდა კიდეც.

და იდგა ლოდზე ერთი, ორი, სამი საღამო... ელოდა, როდის მოვიდოდნენ მასთან შესაჭიდებლად მასავით ამაყი, მძვინვარე ქორბუდები. თან ისე ჰყვიროდა, რომ დაბლა ლოდებში გასუსული უტყვი, მომთმენი და მოსიყვარულე ფურირმები შიშით კრთებოდნენ.

არავინ გაეხმიანა ტყიურს, არც შესაჭიდებლად მოსულა ვინმე. მას შეეძლო თავად მიჭროდა ჯოგს და ისეთი ბუღრაობა დაეწყო, ქვები ჰაერში აეზუზუნებინა, ბალახისა და ხავსის კორიანტელი დაეყენებინა, ბრძოლის ცეცხლი დაენთო ირგვლივ, მაგრამ კვამლის, ძაღლებისა და კიდევ რაღაცა მყარი, გაზულუქებული სიმშვიდის სუნი აფრთხობდა.

იქ, ქვემოთ, ადამიანის სუნი იდგა. ადამიანის შიში კი მყვირალობის ჟამსაც არ სტოვებდა ტყიურს.

მაინც იმძლავრა ჟინმა და, როგორც კი ჯოგმა ქედი გადალახა ჩრდილოეთის მდინარის სათავესთან, ისიც კვალს მიჰყვა. დევნის, ბრძოლის ჟინითა და შეუცნობელი გრძნობით გულაღგზნებული ნადირი თანდათან უჩქარებდა ფეხს. აჩრდილებივით მსუბუქად მიქევქევებდნენ ფურირმები და თან არყის ბუჩქებიდან ჩინჩხვარივით გაფანტული ფოთლებისა და ყვავილებიდან დაბერტყილი ცვრის ლურჯ კვალს მიიყოლებდნენ.

ხარირემი ჯოგს ქედის ფერდობზე დაეწია. იქ აღარ იყო ხავსი, ტყე იწყებოდა. წაღმაუკუღმა ჩათელილი, მოუთიბავი ბალახი ტალღებად გაწოლილიყო ველებზე.

შუაგულ ველზე გამოვიდა იგი და დადგა მავთულივით მაგარღეროიან თავსისხლას ბარდებში, ტოტებღუნღულა თხაწართხალებსა და წყლის ივლიანებში, სიცივეების წინ მძაფრი სურნელი რომ ასდიოდა. მუქარით დაიფრუტუნა და თან მიწა მოფხოჭნა ძლიერი ჩლიქით. ბალახებს შეაკანკალა, ხმელი თესლი დასცვივდა, კლდეებიდან კრიახით წამოიშალა კაკბების გუნდი, წვიმის შხეფებივით გაიბნა თავსისხლას წვრილ-წვრილი ნაყოფი და წითელ ტალღებად გადაევლო ჩათელილ ბალახს. ხარირემმა მრისხანე და მბრძანებლური ხმით შეჰბღავლა, ბუღრაობა დაიწყო, დაიბრიშა. სულ უფრო ძირს ხრიდა ვეებერთელა თავს, თვალები წითელმა ნისლმა დაუბინდა.

მას უნდოდა თან მოყოლილი ორი ფურირმისთვის, ამ თვინიერი, წესრიგის მორჩილი ჯოგისათვის, ამ ცისა და ბრისთვის, ამ ქვეყნისათვის დაემტკიცებინა, რომ უფლება აქვს სიყვარულისა და ან ბრძოლით მოიპოვებს სიყვარულს, ან მოკვდება!

ჯოგს გამოეყო წინამძღოლი და ისე დადგა, თითქოს მკერდით ჩამოეფარაო თავისიანებს. ძრწოლვა და გაუბედაობა ეტყობოდა წინამძღოლს. რქააყრილი ირმები მოკრძალებით შეჯგუფდნენ წინამძღოლის უკან, მეომრებივით რამდენიმე რიგად დაეწყვნენ, ხოლო სულ უკანა რიგში კისრებს იწვდიდნენ ქალებივით ცნობისმოყვარე ყურაცქვეტილი ფურები.

ხარირემმა კიდევ შეჰყვირა და ჩლიქებით მოფხოჭნა და მოფხოჭნა მიწა. ალბათ ოდესღაც ცეცხლოვან, მაგრამ ახლა გაციებულ ლავას დაჰკრა ბოლოს ჩლიქი, ისეთი ნაპერწკლები ამოიყარა იქიდან. წინამძღოლი ადგილიდან არ იძროდა. იდგა მკერდგანიერი, ჩასკვნილი, მაგრად დაყრდნობოდა მოუხეშავ დიდრონ ჩლიქებს, ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა გახელებულ ვაჟკაცს და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

წინამძღოლს ყურებმა დაუწყო შუილი, სხეული დაუმძიმდა და თავი გაიქნია, რათა მოეშორებინა ეს მომაბეზრებელი სიმძიმე, აღარ გაეგონა ეს შუილი. ქორბუდამ კი ეს გამოწვევად მიიღო და დანასკვული კუნთების თამაშ-თამაშით, ახალგაზრდული სიცქაფით თავაღერილი წამოვიდა წინამძღოლისაკენ.

ირმების ჯოგი მფრთხალად გაისუსა რაღაც გაურკვეველ მოლოდინში. ტყი-

ური ფურირმები მიხვდნენ, რაც მოხდებოდა, იქვე ახლოს, ველზე გავიდნენ და ისე დაუწყეს ხავსს წიწკნა, თითქოს მათ სულაც არაფერი არ ეხებოდათ და არც არაფერი ჰქონდათ საერთო იმ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებასთან, აქ რომ უნდა მომხდარიყო.

მოსული ნელ-ნელა უახლოვდებოდა წინამძღოლს, ღირსეულად და მოხდენილად. კიდევ უფრო მძლავრად ყვიროდა, ყვიროდა ხანგამოშვებით, რათა გაეგო ყველა ფურირემს, მის თანმხლებსაც და ტყესავით ამართულ რქების უკან მდგართაც, როგორ თუხთუხებს ბრძოლის წყურვილით აღგზნებული მისი ხმა, ეხილათ, როგორი მოხდენილი, ძლიერი და შეუდრეკელია იგი, ეგრძნოთ, რა ცეცხლი იმალება მის ახალგაზრდულ, ჯერ ძალადაუხარჯავ სხეულში.

ახლა ის გამარჯვებაზე აღარ ფიქრობდა.

ახლა იგი არაფერზე აღარ ფიქრობდა. სხეულში ცეცხლი უბობოქრებდა, ისეთი ცეცხლი, რომ ვერა ამქვეყნიური ძალა ვერ შესძლებდა ვერც მის შეჩერებას, ვერც გონს მოყვანას. წამით დაოკდა და კეთილშობილურად შეჩერდა წინამძღოლის წინ, რა დაინახა, იგი ბრძოლისთვის მზად არ არისო. ხოლო როცა წინამძღოლშიაც იფეთქა ნახევრად მიძინებულმა ინსტინქტებმა და დავიწყებულმა სიფიცხემ, როცა თავი დახარა, რქები შეარხია და დაიფრუტუნა, მაშინ ტყიურმაც დასცხო რქები.

ამ მყიფე ჯახანის ხმაზე, როგორსაც კაჟის კაჟზე დარტყმა თუ გამოსცემს მხოლოდ, შებოჟირდა ჯოგი და ფეხები ააბაკუნა. ირმებმა შეწყვიტეს ხავსის ცოხნა და უაზრო გაოცებით მიაშტერდნენ ხარირმების ბრძოლას.

ქორბუდა წინ წადგა, მეორე დაჯახებისთვის მოემზადა. სისხლმოწოლილი თვალები ვეღარ ხედავდნენ მოწინააღმდეგეს, მხოლოდ თანდაყოლილი გრძნობით მოიანდევა და ახლა უფრო საშინელი ძალით დაატაკა რქები წინამძღოლის რქებს. იგრძნო, როგორ ზამბარასავით შეიკუმშა მოწინააღმდეგის კისერი და თავი უკან გადაუვარდა. მიწას დაბჯენილი იდგა ქორბუდა, რქები რქებს ჩახლართული და სიპრიპელებით მოფენილ ჭაობში მუხლამდე ჩაფლული. ერთ ადგილას ფეხი გადაყვლეფოდა ქვაზე და ტყავი წინდის ყელივით შემოხვეტოდა. იქიდან მოუჩანდა სიმებივით დაჭიმული ძარღვები და გავარვარებული ფოლადივით წითელი კუნთები.

ტყიური საშინელი დაძაბულობისაგან სისხლიან ქაფსა ჰყრიდა ნესტოებიდან.

წინამძღოლი დაჰყვა, ნელ-ნელა გადახარა თავი. ორივე ყალყზე შედგა. უკანა ფეხებით ფაშვამდე ჩასვეს ერთურთი ჭანჭრობ მიწაში, ფხვრიალით ასუნთქებდნენ ერთმანეთს ცხვირ-პირში და თან სისხლიანი ქაფი გადმოსდიოდათ. წინამძღოლი ძლიერია, ღონიერია, მაგრამ უკვე მთვრალივით ბანცალებს, საცაა ზურგზე დაენარცხება, რიყის ქვებზე დაელეწება რქის წვერები, ხოლო ჩრდილოეთის შორეული მწვერვალიდან მოვარდნილი ირემი გამარჯვებისას შეჰყვირებს, ამცნობს ამ მთებს, ამ მიწას, ამ ცას, რომ სამართლიან ბრძოლაში მოიპოვა მან უფლება სიყვარულისა.

მაგრამ წინამძღოლმა ერთბაშად თავი გააქნია, ელვისებური მოძრაობით გაინთავისუფლა რქები და ტყიურის წინ ჩაიჩოქა ატალახებულ ჭანჭრობში. ის თითქოს მოტყდა, არაქათი გამოეცალა, დანებდა. მხოლოდ მისი სუფთა, აუმღვრეველი თვალები დაძაბულად მისჩერებოდნენ თავზეხელაღებულ ახალგაზრდა ირემს.

წამის მეასედი, სულ რაღაც წამის მეასედი იდგა ტყიური ცისკენ შეყალყული, მერე ლაღად დაიფრუტუნა და ზემოდან დააცხრა დამხობილ მეტოქეს.

ვერც კი იგრძნო, როგორ შეესო მსუბუქი ხრაშუნით წინამძღოლის ზუსტად დამიზნებული რქის წვერი მკერდში, როგორც ჯარისკაცის ხიშტი; გრილი წვერი შეეხო იმას, რაც ზამბარასავით იკუმშებოდა და იშლებოდა, რაც ახლა გული კი არა, ღადარი იყო და საცაა მკერდს გაგლეჯდა გამარჯვების აღტაცებული შეგბღავლებით.

გარეულ ირემს ნესტოებში დაჰკრა მჩქეფარე სისხლის სუნმა და უცებ გაუნელდა ცეცხლი, თვალებიდანაც გადაეწმინდა წითელი ლიბრი. როგორც მოკამკამე მდინარის სარკეში, ისე მკაფიოდ დაინახა მოშორებით შეჯგუფული ირმები, მათ უკან მდგომი დიდყურა, შემკრთალი ფურირმები; დაინახა ის ორი ფურირემიც, თავისი ხვედრის მოლოდინში უშფოთველად რომ ბალახობდნენ შორიახლოს; დაინახა თეთრქუდიანი მწვერვალი, უცებ რომ აქანავდა და თავდაყირა გადმოეკიდა; ნაკადულთა სათავეებიც თავქვე მოექცა, შიშველ ქედზე აქა-იქ გაბნეული ბაჯაჯღა ნაძვებიც კენწეროებზე დადგა.

მოკვდა ისე, რომ ვერ მოასწრო გამარჯვების ყვირილით შეეძრა არემარე. დაღებული პირიდან ხმა აღარ ამოუვიდა, თვალებში კი გაოცება და სიყვარულის წყურვილი შეაცივდა.

წინამძღოლმა მოიცილა ერთბაშად მომჩვარული მისი ლეში და ზიზღით გააქნია თავი. სისხლის სუნმა შეაღონა და გააღიზიანა. მივიდა ხავსურას რუხი ბებკით დაფარულ ლოდთან და დიდხანს გულმოდგინედ უბახუნებდა რქებს, სისხლს იწმენდდა. მერე უკანმოუხედავად გაიქცა თავისი ირმებისაკენ და, გაჯავრებულმა, მკერდისა და რქების ცემით შერეკა ჯოგში აქეთ-იქით გაბნეული ფურირმები.

შინაური ირმების ჯოგს „სამკბილასთან“ შემოაღამდა, ამ მთებშიაც კი ყველაზე დიდი სამწვერა კლდე რომ იყო. ირმების ჩლიქებით ჩაფშვნილი კლდის ნაშალში გორა-გორად იდგა ერთი ხის ფესვებივით ძმურად ჩახვეული ირმების რქები.

ზოგი უკვე ჩანაცრებული იყო, ზოგი ჩაშავებული და ტოტებშემომტვრეული, ზოგიც ქარს, თოვლსა და გაზაფხულის ღვართქაფებს გამოეთეთრებინა. რქებს შორის ბალახი ამოყრილიყო, ჩამხმარ ყვავილთა გვირგვინები ტკაცანტკაცუნით სკდებოდა და ქვათა ნაბზარებში ცვიოდა თესლი.

თუმცა წინამძღოლი და მისი ჯოგის ხარირმები აღარ იცვლიდნენ რქებს — რქებს ადამიანები ახერხავდნენ, რა არის ცხოველებს აღარ დასჭირებოდათ მომქანცველი შორი გზის გავლა ამ მწუხარე ვალის მოსახდელად — მაინც რაღაცა იზიდავდათ და აჩერებდათ „სამკბილასთან“, რაღაც სუსტი, მეხსიერების ძირში დალექილი მოგონება, რაღაც წმიდათაწმიდა გრძნობა ცოცხლდებოდა წინამძღოლისა და სხვა ირმების გულში ამ ადგილის დანახვაზე.

ჯოგი მთელი ღამე „სამკბილასთან“ დარჩა, ვერ ბედავდა ძოვასა და ხმაურს. მზის ამოსვლამდე საპატიო ყარაულში იდგნენ ირმები რქებით ჩახერგილ ნაშალთან და მათი ნესტოები თრთოლვით, ცახცახით იყნოსავდნენ ჩამპალი ძვლების სუნს.

წინამძღოლი მთელი ღამე სულ რაღაც მოუსვენრად იყო, ვერ მშვიდდებოდა. ეჩვენებოდა: ამ შემაზრზენ დამპალ სუნში შეუპოვრად, მძაფრად მოედინებაო იმ ხარირმის სუნი, გუშინ რომ მოკლა.

იგი მწუხარედ ხრიდა თავს სულ დაბლა და დაბლა. ელანდებოდა, როგორ მოჰქონდა ახალგაზრდა ხარირემს თავისი პირველი რქები ძველისძველ სასაფლაოსთან, როგორ მოვარდა იგი შორეულ, ადამიანისთვის მიუვალ ჩრდილოეთის მწვერვალიდან, ყინვაში ნაწრთობი პიტალო ლოდებიდან, ქვემოთ ჯუჯა არყები და ქონდარა ბუჩქები რომ გართხმიან.

მან გადმოლახა მდინარეები და მრისხანე ღვარცოფები, ლავის ქვაყრილები და გაუვალი ჭაობები. გამოარღვია თოვლის ზვავები, გამოიარა ათასი ჭირი და უბედურება, გადაურჩა მგლების ხროვას და, როცა მოიტანა რქები, წვალებითა და ტკივილით მოიყარა თავიდან. როცა მისი ტოტები ჩაეხლართნენ წინაპართა ტოტიან რქებს, თვალთაგან ორი მსხვილი მოლურჯო ცრემლი ჩამოუვარდა. ფაქიზი წკრიალით ჩაგორდნენ ეს ცრემლები რქათა ნაზარდებზე, იქიდან კი ცივ, უალერსო, მაგრამ მაინც მშობლიურ მიწაზე.

მერე ერთხანს სამკბილას შორიახლო იწვა ტკბილი მწუხარებით განმსჭვალული, გულმოშვებული და გულნათელი ეს ახალგაზრდა ირემი, და დიდი ხარირმის სიბრძნემ, ყოველწლიური განახლების სიხარულმა დაისადგურა სამუდამოდ მის სულში.

განთიადის წინ წინამძღოლს შემოესმა, როგორ შეფრთხა ირმების ჯოგი. მან უკმაყოფილოდ მოიბრუნა თავი და, თუმცა უმთვარო, მრუმე ღამე იყო, მთებიდან ჩამონაქროლი ნიავისაგან მოტანილ სუნზე, ოდნავ რომ დაჰკრავდა ჩრდილოეთის თოვლის სურნელი, მიხვდა, ჯოგში მოვიდნენ ფურირმები, ისინი — ორნი.

წინამძღოლმა არ განდევნა ისინი და განთიადისას ჯოგი სამკბილადან წაიყვანა.

ხარები და ფურირმები წყნარად მიირწეოდნენ გზაზე. უკან რჩებოდა მთიანი, ხავსიანი ტუნდრის გადაძოვილი, გადათქერილი ველტყიანები, სადაც წლობით ვეღარ წამოიწევდა ხავსი. შიგადაშიგ უკან მოიხედავდნენ და ნესტოების თრთოლვით გასცქეროდნენ სამკბილას.

წინამძღოლი ნაბიჯს არ უჩქარებდა და არც თავის ირმებს აჩქარებდა.

რამდენიმე განთიადის შემდეგ, როცა მწყემსებმა დიდი ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, ტყეში გაშალეს კარავი, ხოლო ჯოგი ტყიანი ტუნდრის შებალახებულ საზღვარს მოუყვებოდა, გარეულმა ფურირმებმა ნელ-ნელა იწყეს ჯოგიდან განაპირება.

დღისით ველებში გამოდიოდნენ საძოვარზე, შეფიფქულ ქონდარა ბუჩქებში წვებოდნენ და ახლოს აღარ იკარებდნენ მსხვილფეხება ხარირემთ, სიყვარულში რომ განურჩეველნი იყვნენ და არც მიძალება სჩვეოდათ. ღამღამობით კი მაინც ჯოგში ერეოდნენ, თბილ ჯოგში, ასე რომ შეეთვისნენ. თუმცა ისე ხვნეშოდნენ, როგორც მხოლოდ ძროხებმა და ფურირმებმა იციან, — ხმამაღლა, გაბმით და მწუხარედ.

დღითიდღე სულ უკან და უკან რჩებოდა ორი ფურირემი. ერთხელაც ღამით აღარ მოვიდნენ ჯოგში.

თრთვილისაგან გადაქათქათებულ ერთ სხივიან დილას წინამძღოლმა გამოიყვანა თავისი ჯოგი თვალუწვდენელ, უსიერ ტაიგაში; უკან დარჩა კაშკაშა, თუმცა უკვე ძალადაკარგული მზის სხივებით გაბრწყინებულ მთათა მწვერვალები, ლოდები და უღელტეხილები.

ვინემ ამ ხევხუვებიან მთიან ტუნდრას მომავალ ზაფხულამდე დატოვებდა,

წინამძღოლმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი დიდ ქედს, ქონდარა ბუჩქნარით გაბარდულ ფერდობებს, მწიფე შავხილას, ცელმიუკარებ ბალახს და ნაშალ შავ კლდეებს, საუკუნეების მანძილზე გაციებულ გულში რომ იხვევს ხოლმე პირველ სუსხსა და ყინვას. მერე ეს სუსხი და ყინვა ნელ-ნელა ძალას იკრებს, მძვინვარდება და ხან წვრილ-წვრილ სიპრიპელებად ჩამოშლის ამ კლდეებს, ხან ვეებერთელა ლოდებად ჩამოანგრევს და თავის გზაზე ყველაფერს გაანადგურებს.

ცაში ფოლადისფრად მოლაპლაპე სამკბილას თხემზე წინამძღოლმა დალანდა ორი წვრილფეხა, ყურებაცქვეტილი ლანდი. ისინი მანამ იდგნენ იქ ერთურთს მიკრულნი, დაობლებულნი და დამწუხრებულნი, ვინემ ჯოგის უკანასკნელი ირემიც არ შეეფარა ზამთრისა და თოვლის მოლოდინით გარინდულ ტყეს.

არც წინამძღოლი დარჩენილა, ჯოგის ბრძენი და მზრუნველი მამაც შეერია ტყეს, წავიდა. გარეული ფურირმები დაღამებამდე აცეცებდნენ თვალებს, სუნს იყრიდნენ, მაგრამ ამაოდ. ირმების სუნიც ქედ-ქედ გააბნია მომძლავრებულმა ნიავმა. დაღამებულშიღა ჩამოვიდნენ ისინი დაბლა და მანამ დაჰყვეს სამკბილასთან, ვინემ ღელეში რქების გროვა თოვლმა არ დაფარა, ვინემ ყინვამ არ ჩააყუჩა იმ მეამბოხე მომხდურის სუნი, იმ ხარლაღისა, თავისი პირველი რქები რომ მოიტანა აქ.

ფურირმებმა ჩამოიწიეს დიდი ქედის დასავლეთ ფერდობზე, მეჩხერი ტყის ზოლამდე. გაზაფხულისთვის ისინი მიაღწევენ იმ ადგილს, ადამიანები კუნძულს რომ ეძახიან. დიდ მთათა შორის არის ასეთი კუთხე, სადაც საფრთხის დროს თავს აფარებენ ცხოველები; გარეული ფურირმები, თხები, ცხენირმები აქ აჩენენ შვილებს, აქვე აფარებენ თავს ავადმყოფი თუ დაჭრილი ნადირ-მხეცნი და არასოდეს არც ერთი მხეცი, არც დამშეული და არც გაბრაზებული, თავს არ დასხმია აქ მეორეს.

ამ მთებისათვის არც ისე დიდი ტაფობი — სიგრძით ხუთი კილომეტრი და სიგანით ერთი — ტყით, ქაცვითა და მოცვით გაბარდული, ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია უამრავი, ადამიანისათვის მიუდგომელი ნამზღვლევი ქვებით, მიუდგომელი იმ არსებისათვის, ვისაც მთელ ამ უზარმაზარ დედამიწის ზურგზე ვერ უპოვია ასეთი უსაფრთხო ადგილი.

ამ ვეება თუ პატარა ლოდებში, ხვრელებსა თუ საძრომებში, სადაც გველი თუ გაძვრება მხოლოდ, დაქსელილია ნადირთა უამრავი ბილიკი.

როცა დრო მოვა, ერთ-ერთ ამ ბილიკს ფრთხილად, პარვით ამოუყვება ორი ფურირემი და მოცვითა და სელშავით მოჩითულ რბილ ხავსზე, ფუთქურით ტანმორთული ჯუჯა ნაძვებისა და სოჭების ძირში მოიგებენ ნუკრებს იმ დანაკლისის შესავსებად, ბუნებამ რომ განიცადა შემოდგომაზე.

ორი წლის შემდეგ კი დიდ ქედზე, ჩრდილოეთის შორეულ მწვერვალზე კვლავ შეჰყვირებს ნდომით გახელებული ტყიური ირემი და მოითხოვს სამართლიან ბრძოლას იმისათვის, რასაც ადამიანები დასაბამიდან სიყვარულს ეძახიან...

□

ძმაღნაფიცობის პოეტები

ლექსები

რუსულიდან თარგმნა გია მარგველაშვილმა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ციკლიდან „ვლადიკავკაზი — თბილისი“

როგორც კი ფეხი დავადგი კავკასს —
უმალ ვიგრძენი, რომ ვარ ქართველი.
იალბუზს, ყაზბეგს და მწვერვალს ათასს
მინდა გავძახო ჩემი სათქმელი.
... ვიცი, სამოთხე — მონაგონია,
და თუ უმღერდნენ მაინც დალოცვილს,
რომ ეგულისხმათ, არა მგონია,
სხვა კუთხე, გარდა საქართველოსი.

სერგეი ესენინი

კავკასიაში

დასაბამიდან ჩვენი პარნასი
ნატრობდა ხილვას უცხო მხარეთა,
მაგრამ ყველაზე მეტად კავკასი
გვასულდგმულებდა და გვახარებდა.

პუშკინმა აქაც ლექსს არ დააკლო
მარად დევნილი სულის სინაზე:
„ნუ დაამღერებ, ახალ-აღნაგო,
საქართველოს დარდს სევდიან ხმაზე“.

და ლერმონტოვმაც დაგვისურათა
ზნე აზამატის — დახეთო ამ ბიჭს!
ერთი ულაყის საფასურადო
გადაულოცა ღვიძლი და ყაზბიჩს!..

ვაგლახ, პოეტი და ოფიცერი
მეგობრის ტყვიამ დაასამარა,
თუმც ღირსი იყო სხვა ბედისწერის,
შთენილი დიდი დარდის ამარა.

აქ განისვენებს გრიბოედოვიც,
დატირებული ზურნა-თარითა,
მთაწმინდამ ზრუნვა არ აარიდა
მსხვერპლს უმეცრების და ძნელბედობის.

მეც შემიკედლებს დღეს შენი მრევლი,
თუმც რად გეახლე — თავად ვერ მივხვდი:
სანუკვარ ცხედარს ვაფრქვიო ცრემლი,
თუ ვუდარაჯო საკუთარ სიკვდილს!

ძველები ახლა საფლავში სდუმან,
მე კი მაწვალებს ერთი ზმანება:
ყველა ისინი განკურნა უმალ
შენი მთა-ბარის ახმოვანებამ.

აქ გამოექცნენ დღეებს უარესს,
მტერს და მოყვარეს, კეთილს და ბოროტს,
ოღონდ ეგემნათ შენი ალერსი,
შენი სიმაღლე ეხილათ ოღონდ.

მეც შენთან იმავ მიზნით მოვედი,
აღარ ვარ წყეულ ხმათა გამგონი,
რადგან მომწიფდა ჩემში პოეტი —
ეპიურ თემის ბატონ-პატრონი.

მიყვარს რუსული ლექსის ზარხოში,
ჰქუხს მაიაკოვსკი, სხვებიც ანცობენ,
მაგრამ ეგ მათი გულადი ყოჩი
თავს აკლავს მოს-სელ-პრომის საცობებს!

ან კლიუევი — ეგ დიაკვანი,
მისი ხმა გვათბობს როგორც საბანი,
მაგრამ მის ლექსთა ვცადე გამოთქმა
და ჩიტს — მგალობელს სული ამოხდა!

სხვებს სათვალავში ვერც კი ჩაგდებ —
ამ ნელთბილ მზეზე რა დაადუღებთ!
გადასაჯლაბნად ქაღალდის ნახევს
არ მივანდობდი მაგ უბადრუკებს.

მათი ხსენება, მათი ძაგება
შემინდე — არც კი გსმენია თითქოს.
გვედრებ, ასწავლე ჩემს რუსულ სტრიქონს
შინდის წვენივით აციაგება!

რათა მოსკოვში შინმისულს მეყოს
ძალა — ვეკვეთო ახალ პოემას,
გამოვიტირო გზა საცალფეხო,
გამოვესალმო ბედკრულ ბოჰემას.

რათა სამშობლოს მეც არ დავაკლო
განშორების ჟამს სულის სინაზე:
„ნუ დაამღერებ, ახალ-აღნაგო,
საქართველოს დარდს სევდიან ხმაზე“.

1924

ნიკოლოზ ტიხონოვი

* * *

მე საქართველო ვიცი ამგვარი
და გულში ვმალავ, როგორც თვალისჩინს:
ზვავი ხარხარებს ყალყზე ამდგარი,
ჯიხვნი ტორავენ მინდვრის ხალიჩებს.

ალმასწყარონი ჰქრიან ნებივრად,
და ამ განცხრომის მეთვალყურენი —

ბორის პასტერნაკი

ტალღები

ფრაგმენტი პოემიდან

1

ვცან საქართველო! შევადნოთ მტკიცედ
ჯაფა — სინაზეს, სამოთხე — ქვესკნელს.
ყინულს კვარცხლბეკად სათბური მივცეთ —
და საქართველო დაიძვრის ჩვენსკენ.
მაშინ თუ ვიგრძნობთ, რარიგ ნატიფად
შერწყმია მიწას და ზეცის მიჯნას
შრომის და ნიჭის გამონათება,
ქვეყნად ქართველი კაცი რომ იშვას.
რამდენი ჭირი უნდა ეთმინა,
გამკლავებოდა რა ძალას მტრისას,
რომ თვისი არსი გამოევლინა,
როგორც ალმასის დროგამძლე კრისტალს.

2

თურმე აქვე ხარ სოციალიზმის
შორეთო, თუმცა რაღა შორეთო!
შენ გამიღვიძე წინსვლის ხალისი
და ჩემი საჭეც შენ ერთს მოგენდო.
ჭორმა და ცილმა ველარ შეგრისხა,
თეორიათა ჯანღში კიაფობ,
ვით შუქი, ზღვაზე ბინდს რომ მიაპობს
ან როგორც მლეთით ქართლში შეხიზვნა.
შენ ხარ ვენახი, სადაც დიაცთა
არ უწერიათ ცრემლი და კვნესა.
და ჩემი ლექსიც მიტომ მიაწყდა
მათს ხვედრს, მათს იმედს, მათს ნეტარ დღესა.
შენ ხარ ქვეყანა, სადაც მე ხურდად
არ მიბრუნებენ ნიჭსა და გარჯას,
ვმდიდრდები, რადგან არავის ვქურდავ,
ჩემია — რასაც გავცემ და ვხარჯავ.
სადაც სიახლეს მუდამ ასეთი
ახლავს ციაგი არნახულ წესთა
და ჩანგიც ბავშვის სიკისკასეთი
მეხმაურება მომავლის ბჭესთან.

1935

რკალიდან „მგზავრის ჩანაწერები“

1

არ მომხიბლავდა სამოთხე
ალერსით ნიავქარულით,
მე სულ სხვა ეშხით მახოტბებს
სვებედნიერთა მამული.
განა არ სახლობს წალკოტთან
ყრუ-მუნჯი, ბრმა და ქიქია,
ქართველს კი მარად ამკობდა
გზნების მეხუთე სტიქია.
ღობემონგრეულ ქოხმახებს
შეალამაზებს ოცნებით,
გასაჭირს თავს არ მოგახვევს,
ლხინში თვითონვე მოგძებნის.
გასწვდება იმერ-ამიერს
ენამზე სიტყვაწრფელობით
და დასჭექს მრავალჟამიერს,
შემკობილს სადღეგრძელოთი.

2

რაკი არ გვმართებს წარსულის კილვა
ნაძალადევად და უთავბოლოდ
და მეც მომწყურდა კვლავ შენი ხილვა —
ამ ლექსში მაინც შევხვდეთ, პაოლო!
სქემის კარნახით მოძმეთა მიმართ
სიტყვის მისხალიც არ დამცდენია,
შენ მომევლინე ცხადად თუ სიზმრად
პირველ ტრფიალად, კეთილ გენიად.
ძველი უბნების ეშხმა დამდაგა,
თუ სხვა რამ განძის გავხდი მხილველი —
შენვე იყავი ჩემი ქადაგი
ჩემი მეგზური გასაკვირველი.
ნეტავ რა ნიჭმა უნდა უკვდავყოს
ნათელხილვანი, ჩვენ რომ მოგვდევდნენ!
ამით ვზომავდი მე შენს მონაყოლს —
საარაკოს და გამაოგნებელს.
არც კი ვიცნობდი ჯერ შენს სტრიქონებს,
მაგრამ მათს წყაროს ნაზიარებმა
უსიტყვოდ ვიგრძენ და შევიგონე
პწკარედთა გაისს ახმიანება.

3

ნაბილიკართა აღმართ-ჩაღმართი,
ტყე — ნამეხარი, ნაგრიგალევი,
გაშლილ სუფრაზე შუქ-ჩრდილის ხლართი,
ღვინო, სანთლები და ვარსკვლავები.
როგორც ნაკადმა დითირამბულმა,
ხან ჩანჩქერმა და ხან ცისარტყელამ,
ათინათებით ამოლამბულმა
ტიციან ტაბიძემ დაჩრდილა ყველა.
ის ახლა სიტყვას მოავარაყებს
ქადაგის მრავალსახეობითა
და სათქმელს ბღუჯად ამოალაგებს
სავსე პეშვებით ამ ხეობიდან.
თუთუნს აბოლებს გაფაციცებით,
ხან თვინიერი და ხან პირბასრი,
მკაფიო, როგორც ბარელიეფი,
ანკარა, როგორც თვალი ძვირფასი.
არც უკვდავია, არც მთისოდენა,
ყმაწვილკაცივით ფიცხი ხანდახან,
მაინც ისეთი, როგორც როდენმა
ერთხელ ბალზაკი მოაქანდაკა.
ის თითქოს ქვაში ჩასახლებულა,
რომ ათასგვარი სახესხვაობით
მუდამ ანაზდად და ახლებურად
იშვას ლმერთკაცის გამბედაობით.
უზომო ნიჭი და გაქანება
მცირე კელაპტრად ააკიაფა,
რაკი სერობის კანონს თავნებას
ბედითი ბედი თვითვე მიაბა.

1935

რკალიდან „მ ხ ა ტ ვ ა რ ი“

გიორგი ლეონიძეს

1

მყუდროა ბინა, მაგრამ გადაჰკრავ
თუ არა ღვინოს — იელვებს ხილვა
და მყისვე აქცევს სარდაფს — ჩარდახად,
ფარდაგის მღილს კი — სადაფის ღილად.

კაბის შრიალი, კითხვა-პასუხი
მიჩუმდა, მიწყდა, ვით ჰანგი სიმზე
და მხოლოდ ნიჭის გამონაშუქი
დაეპატრონა ოთახის სივრცეს.
მასპინძლის ბანი ბატონკაცური
ჰქუხს და გადმოდის შენთან ალავერდს,
ლითონს დაადნობს, კლდეს დააცურებს,
გამოგჩარხავს და მოგაკალავებს.
სახელს, დიდებას, ქებას პირუთვნელს,
ქვეყნად ყველაფერს დათმობს, თუ ერთხელ
მშობლიურ მიწის მადლი და სუნთქვა
შთაბერა სიტყვას გრძნეულს და მეტყველს.
ეს შეიძლოს და რას არ იღონებს!
სინდისს, გონებას, ქონებას, სახლკარს
ცეცხლად შეუნთებს ჯიუტ სტრიქონებს,
დარდს და სიხარულს გულშივე ჩაკლავს.
რითმის ზოდები სთუთქავენ ოსტატს,
დულს შენადნობი და ალღობს ბორკილს.
... საწოლ ოთახში შევა და ლოცავს
მძინარე ბავშვებს ამ წმინდა ორთქლით.

2

აი, წამოდგა და დროთა ციაგს
შეავლო მზერა: ელავს ტაძარი!
ნეტავ, ვინ დასძრა გელათის წიაღ
ძაბრისქუდიან სპათა ლაშქარი?
კვლავ დრონი, დრონი... გამოსცდა წარსულს,
მომავლის ცისკარს შეხსნა ურდული
და მის გულისყურს, სიშორით დახშულს,
შეეხმიანა წრფელი ჩურჩულით.
— ცხოვრება ჩემი არა ჰგავს ნარკვევს,
ვინმე ბეცმა რომ მისტამბ-მოსტამბა.
ვიცი, ლირსეულ სახელს დამარქმევ,
დამიცავ ტუტუც კრიტიკოსთაგან.
განა ეპოქას ბოქლომი ადევს?
საყდარია თუ ციხე-სიმაგრე,
ზვდ მის ჭიშკართან მოვწევ სადავეს,
ცხენს შევაყენებ სურვილისამებრ.
რევოლუციავ, სასწაულს ავლენ,
და რადგან ერთად ყოფნა გველირსა,
მეც უფრო წრფელად შემოგესალმე,
ვიდრე პოეტურ ჭაპანწყვეტისას.

არც ყურმოჭრილი მონობა მინდა,
არც ყურმოკრულის გაზიარება...
მერწმუნეთ მხოლოდ გულის სიღრმიდან
გკადრე ცნობა და აღიარება.
არ ვარ ენაბლუ და არცა ყბედი,
ჩემი მერანიც სივრცეს მიაპობს,
რათა ვიხილო, თუ შენი ბედი
ჟამთა ბრუნვაში როგორ კიაფობს.
თავდავიწყებით გავინავარდე,
ამხედრებულო, მე შენს კრებულთან,
ვეკვეთე სივრცეს და სილაჟვარდეს,
ჯერ კიდევ წყვდიადს შეფარებულთა.
ვიცი მოიცავ ქუხილის გზნებით
ბედიღბალს, სიკვდილს, სიცოცხლეს მჩქეფარს
ანუ გონების მიწიერ გზნებით
უკვდავებაში თქმულებად შეხვალ.
ლაშქრობა შენი შეცვლის გარემოს,
სადაც კი დაჰკრავ ფლოქვებს ჭენებით —
უჩუმარ დარდთა განსაქარვებლად
აზღვავდებიან დედაენები.
ყოველი სახლის ქვა და კარიბჭე,
ყოველი ქოხის ზღურბლი და ეზო
უჩინმაჩინის ქუდსაც გაგიჩენს,
გულსაც გაგიფენს საასპარეზოდ.

1936

* * *

სანამ ვუტევთ და ვეპოტინებით
კავკასიონის მიუვალ სივრცეს,
მტკვარიც დუდუნით და რონინებით
იხუტებს არაგვს და გვერდში იწვენს,
სანამ მკათათვის ზეცას მოჭედილს
ეტმასნებიან ყანყრატოებით
თავმოკვეთილი ციხე-კოშკები,
სულს რომ ღაფავენ განმარტოებით,
სანამ მე ვლანდავ და ვეფერები
ფრთიან ქონგურთა ქარავანს აშლილს,
ის კი მიაპობს ყელმოღერებით
ცისფერ მორევს და ინთქმება ჯანღში,
სანამ გაურბის ტყეთა არტახებს
თმააქოჩრილი თხემის მიტკალი, —

რას ჩამჩურჩულებ, რას მიკარნახებ,
კავკასიონო, რა ვქნა, მითხარი!
ათასი მკლავით მოუმკლავებო,
რამ განამტკიცა ზეიმი შენი?
ცალთვალა დევო, ვის უთვალთვალებ,
ყაზბეგო, რისთვის შეიხსენ ბჭენი?
როცა სიმაღლე სუნთქვას გვიმოკლებს
და გუნდრუკს გვიკმევს მთათა საკმელი,
ნუთუ გგონია, ჩემო სიცოხცლევ,
რომ შემომაკლდა შენთვის სათქმელი?
და იქ, ალპების სილაჟვარდეში,
სადაც ასტეხეს ჯახანი კლდეთა,
(ოღონდ აქაურს არ ჰგავს არც ერთი)
შენ ფიქრობ, მარცხი შემოგეფეთა?
მე კი მივენდე ცხოვრების ღვართქაფს,
მოდგმათა ნაკადს რომ ერეკება,
და მიმძიმს ბედის ხელახლა ხლართვა,
როგორც სიმღერის გადამღერება.
ნუ უფრთხი სიზმრებს, რა გაქვს საფრთხილო?
მიყვარხარ, გეძებ, ვჯიუტობ, ვნანობ.
ხომ ხედავ: წყალნიც ველარ გაყრილან,
ნაზიარებნი ზეგარდმო კანონს.

1931

მიხეილ დუდინი

ძმადნაფიცობის ათინათები

საოცარია ათინათები
მოშაირეთა ძმადნაფიცობის!..
ლექსად აჰკინძა გულისნადები —
სიმონ ჩიქოვანს ასე ვიცნობდი.

მანვე გამანდო ქართული სიტყვის,
ქართული ცის და მიწის მშვენება
და დამაჯერა: მათს ეშხს და სიტკბოს
არ უწერია გადაშენება.

პოეტის სული ბრწყინავდა, როგორც
მთის ნაკადული, კლდეებს მომსკდარი,
გზნებით იკვლევდა გზას ოღრო-ჩოღროს
და ქადაგებდა როგორც მოძღვარი.

შეფარებულმა მთაწმინდის კალთას,
მაღალმა, როგორც იგი მთა წმინდა,
გადაულოცა ჭაბუკ არწივთა
მადლი სტრიქონთა გულთამხილავთა.

ნიკოლოზ ზაგოლოცკი

ღამე ფასანაურისა

ბრწყინავდა ღამე, აჟღერებდა თავისთვის ფანდურს,
მთვარე შუქს ჰფენდა არემარეს, ვნებით აღსავსეს,
ფასანაურის ბაღებში კი ტკბილად და სათნოდ
კვლავ მიმღეროდნენ ბულბულები ორთავ არაგვზე.

ჯვრის უღელტეხილს, სადაც სუსხი სჩვევია მაისს,
გამოვაღწიე გადაღლილმა ზვიად ბუნებით
და ქანცგაწყვეტილს აღარ მგვრიდა უკვე სიამეს
არც ეს ზღაპრული სილამაზე, არც ბულბულები.

არაგვის პირას წამოვწექი და გავინაბე
მერე გავშიშვლდი, წყალმაც ტალღა არ დამიშურა
და შმაგი ზვირთი, ვით ავხორცი ვინმე დიაცი,
შემომეტმასნა და ჩამიკრა მკერდში გიჟურად.

ასე ვიწექი... რიყის ქვებში ჩაბღაუჭებულს
ვნებააშლილი ნიაღვარი მახლიდა ტალღებს.
ბორგავდნენ ქვები, ცას აწვდიდნენ ღაღადს და ჩურჩულს
და ისევ ნაპირს ასკდებოდნენ ჩემს ფერხთით, თავქვე.

ვხედავდი გაღმა მბჟუტავ სანთელს და მაინც აქაც
ეფინებოდა მისი ჩრდილი ნაპირს განბანილს.
ნაპირიდან კი მდინარისკენ ვეება ნაგაზს
მიჰქონდა ტანი ზვიადი და ამპარტავანი.

და ამოვედი მეც ნაპირზე, როგორც მებრძოლი —
მიწიერი და ღონიერი, ცივი და მკაცრი.
ნაგაზმა მიცნო, მოკალათდა იქვე მეზობლად
და გაინაბა უდრტვინველად, როგორც ღმერთკაცი.

ფასანაურის წალკოტებში იმ გრძნეულ ღამით
პირველყოფილი ჩანჩქერების გავხდი მხილველი
და შევაგებე გულს ფანდურის პირველი ჰანგი,
ვითარცა სიყრმის გარიჟრაჟზე — კოცნა პირველი.

ალექსანდრე მეჭიროვი

ქართული ცეკვა ხმლებით

ამიერიდან უკუნისამდე
შენ დამიფარე, ცეკვავ!
შენ განმარიდე ხუნდს და სიმდაბლეს —
რომ ვთქვა, რაც უნდა მეთქვა!
შემომატარე
ბედნიერ ხვედრით შემკული მთა და ბარი,
რომ გაზაფხულის სიმივით ჟღერდეს
ჩემი გული და ქნარი,
რომ მკერდით ძგერდეს
გულცხელი პწკარი!
ცეკვავ, ფრთიანო,
ცად ამიტაცე,
გადამატარე
ქედს უნაპიროს
და ისე დამსვი
დედამიწაზე —
ეკლების დაშნამ
ველარ განმგმიროს,
თან თუ დაირას შემოჰკრავ ფიცხელს —
ცას და ვარსკვლავებს გადამავიწყებ.
მოსაგონებლად, დე, შემრჩეს მხოლოდ
ეგ სხივმოსილი მიწა,
დღეს რომ ვიხილე და საამსოფლოდ
მისი მშვენება მიცავს.
ოღონდაც გულში აღბეჭდილ იყოს
ეგ ნაღდი მიწა, დღეს რომ ილიკო

ფეხისწვერებზე უვლის და აქვე,
მის შუბლთან ხმალი
ნაპერწკლებს აფრქვევს!
ღობის მიღმა კი თვლემენ ცხენები
და ლაგამს კვნეტენ განაწყენები.
ნაგაზნიც ღრღნიან ჟანგიან ჯაჭვებს,
გახშირდა გულის ფეთქვა,
გაჩაღდა ცეკვა
სულ უფრო მარჯვედ —
შენ შემოგევლე, ცეკვავ!
გარს შემომევლე, შემომესალტე
აწ და განკითხვის დღემდე,
გადამაფარე მფარველი კალთა,
მალირსე სიტკბო შენმიერ ძალთა
და მენდე, —
ვით მე გენდე!

გალაკტიონის თარგმანზე მინაწერი

მტკვარი მოღალა და გააყრუა
დღის ღრიანცელმა და ცას გასცქერის.
გალაკტიონის ქალაქს დაჰყურებს
მთვარე,
თუ ათოვს სხივთა ნამქერი.
და ისევ ცისფერ ბურუსის წიაღ
ჰქუხს პოეზიის თავნება ზვირთი —
ელტვის თარგმანს და ამაყად მიაქვს
მშობლიურ ენის უკვდავი ტვირთი.

მიხეილ ლუკონინი

ქართველ მგოსნებს

... ძმებო, ქართული ლექსის მორევი
ჩემთვის ზღვასავით არის ულევი.
მის უკვდავებას ვეამბორები
და ვსუნთქავ მისი ასულდგმულებით.

დიდებულია, რომ საუკუნის
ქარტეხილებს და ქარიშხალს უჩვევს
არ წაულეკავს ლექსის გუგუნი,
სიტყვის მადლი და ენის საუნჯე.

ბევრის აღმოფხვრას იქნებ ვნატრობდეთ,
იქნებ უკვალოდ ბევრი რამ გაქრეს,
მაგრამ უბადრუკ ესპერანტოზე
ჩვენი მემკვიდრე ლექსს არ დაამტვრევს!

ხალხის გულისთქმას ვერ მოსპობს კვერთხი,
ვერც კალმის მოსმა, ვერც ფიქრი მტკნარი,
ენა მარადის აღსდგება მკვდრეთით,
როგორც ვოლგა და ვითარცა მტკვარი.

... დიდებულია, რომ საუკუნის
ქარტეხილებს და ქარიშხალს უჩვევს
ჩვენ შევუთანხმეთ ლექსის გუგუნი,
სიტყვის მადლი და ენის საუნჯე,
რომ დედა ენა არ დავამუნჯეთ!

ევგენი ევტუშენკო

* * *

ქართულიდან თარგმანთა გამო

ჩემს თავისუფალ თარგმანს ნუ ჰკიცხავთ —
სიყვარული შობს თავისუფლებას!
მაგრამ მუსიკას თუ დავივიწყებთ —
აზრიც და გრძნობაც დაიღრუბლება.

თაღლითს სტრიქონსაც ნუღარ დავუთმობთ, —
ჩვენ კი ეს ხვედრი ჯილდოდ გველირსა!
განა შეგირდთა სიზუსტეს უღვთოს
არ სჯობს სილაღე შემოქმედისა?

არც ჯამბაზს ვენდოთ, არც შეგირდს ულირსს,
ვიწამოთ ჰანგი და ბედისწერა.
მე მჯერა ლექსის — ლექსია თუ კი,
მტკნარი თარგმანი — არ მწამს, არ მჯერა!

1959

გელა ახმადულინა

სიმონ ჩიქოვანს

ეახლე დილით ჩრდილოეთის ქათქათა ბალნარს,
როდესაც ზამთარს დიდთოვლობის სიუხვე ახლავს,
ამოისუნთქე თავისუფლად, მიენდე ალღოს.
თოვლის სიჭარბე დაგიოკებს გუშინდელ წყლულებს,
მტკნარი ყინულის სასმისს შესვამ, მოიკლავ წყურვილს,
რომ კვლავ ღიმილი შეაგებო ფიფქების ალლუმს.
რაც შენ გწყურია — შენშივეა. შესვი მირონი!
და გაფიქრების უმალ ნახავ: მოდის სიმონი!
მოჰყვება ბილიკს, თითქოს ყინვით ნაფერმკრთალევი.
ღმერთო, ამ სუსხში ჩემს გონებას ძალა ელევა,
და ვით ვირწმუნო დღევანდელი საკვირველება,
ვით ვკითხო სიმონს: რას ხედავენ ჩემი თვალები?
ან როგორ გავხარ, ჩემო სიმონ, ასე უდავოდ
სამშობლოს შენსას, სადაც ერთხელ და სამუდამოდ
თვალცრემლიანი ჩემი ლანდი კრთის და კიაფობს?
სადაც მტკვრისა პირს, ღვთიურ მადლით მოცულ მცხეთაში,
იანვრის დამდეგს დავსეირნობთ კვლავაც მე და შენ
და გვესმის ბავშვთა ტკბილქართული — „აი, იაო“.
და თუ შენ აქ ხარ, მაშინ ვინღა მიაპყროს მზერა
დაცლილ მოედანს, ცის კაბადონს, შორეულ მწვერვალს,
ვინ უალერსოს ცირკის გუმბათს და ღამის უკუნს?
ო, შენი სახლის, შენი საყდრის წრფელი თქმულება,
ტუჩებთან ღვინის და ჩურჩულის ასულდგმულება,
ტალღად რომ ერთვის აზვირთებულ სიმღერის გუგუნს!
მაგრამ დღეს სივრცე აღარ თიშავს ზამთარს და ზაფხულს,
ექვსი თვის მანძილს სულ ორ საათს ანდომებ ზღაპრულს,
რომ აგვისტოდან გადმოფრინდე იანვრის ზღურბლთან.
და მე ვეხვევი ისევ სიმონს, ვუკოცნი თვალებს,
შეხვედრა ჩვენი აღტაცებულ სასწაულს ავლენს
და მართავს ზეიმს თავისუფალ და ამაყ გულთა.
მაშ ყოველივე თავისთავად მოხდეს ამიერ!
ხომ თვით მოფრინდა თვითმფრინავი წამით-წამიერ,
თვით წარიმართოს საუბარიც დინჯად და ლაღად.
ნუ დავპატიჟებთ — მეზობელი გვეწვევა მაინც,
თვით ჩამოასხამს სამოვარი ჭიქებში ჩაის
და ჩვენი ხმებიც თვით ასტეხენ ლექსებით ღაღადს.
და ვეტყვი ჩემს თავს: ხომ გეწვია სიმონი სტუმრად?
იხარე! ფერმკრთალ, გამხდარ სახით დატკბი უჩუმრად!
დატოვე შენთან, ნუ გაუშვებ ნურსად, ნურასდროს!

მაგრამ აჟღერდა უკვე ჩემში ეჟვანი შიშის,
კვლავ მოასწავებს განშორება წყურვილს და შიმშილს,
ზამთარიც ზაფხულს ვერ უმალავს მტრობას უაზროს.
დაგემშვიდობე სიტყვაძუნწად, შენც უხმოდ წახველ,
შევრჩი მარტოკა ულიმლამო იანვრის ზრაზვებს,
რომ ძილში მაინც ჩავკლა დარდი და გადავთელო,
რომ სიზმრად მაინც ვენდო იმედს და ავყვე ლოდინს,
ვეახლო ისევ ბაღს გაძარცულს და ხმელი ტოტით
ქათქათა თოვლზე წავაწერო კვლავ: საქართველო.

1964

ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ

ო, საქართველოვ, შენივ მიზეზით,
როდესაც თოვლი ყრუა და მძიმე,
ჩემს დარდს სალხინოდ ეცვლება გზი,
უიმედობაც არ ჰკარგავს იმედს.

მხოლოდ შენით ვარ სვებედნიერი,
შენმა სახებამ დამტოვა სახტად,
შენ არ დამთმობ და პირმშვენიერი
მკურნავ, მამშვიდებ, მისრულებ ნატვრას.

სასიყვარულოდ შენი მზადყოფნა,
გულგახსნილობა, ხელგაშლილობა,
შენი ჩურჩული და შენი კოცნა
მიშუშებს ყველა წყლულს და ჭრილობას.

მაგრამ დღეს თითქოს უცებ მოვბერდი,
ჩრდილოეთსა და სამხრეთს ვერ ვარჩევ,
და, ვით იანვრის წინამორბედი,
უამინდობა მომადგა კარზე.

ხელს მხოლოდ შავი ქოლგა მიმძიმებს,
დაძაბა ქოლგამ შავბნელი ძალა,
სუსხავს ხელისგულს მისი სიცივე, —
დაე გამცილდეს, თუ ასე ვძაგვარ!

გავშალე ხელი, და არც ვუყურებ,
თავისუფლება ვით შეიფერა.
შესმის ოქტომბრის ქართა გუგუნი,
რტოთა ტკაცანი, თოვლის სიმღერა.

და არც კი ვიცი, რამ შემაყოვნა
სხვის კართან... მუხლი მომეჭრა თითქოს...
ხომ არ გიცდიათ სხვის სახლში ყოფნა?
დიდებულია, კაცმა რომ მკითხოს!

დღესაც შემეძლო, ალბათ მარტოსულს
მეთქვა — „ნახვამდის! აწ რალა მიჭირს!“ —
მაგრამ დერეფნის სანავარდოზე
ჭრიჭინობელამ უხშირა ჭრიჭინს

და მეც იმდენად ვიყავ ნაგვემი,
რომ მცირე ალერსს დანატრებულმა
იმ საცოდავის პირით ნათქვამი
უმალ ვირწმუნე ნაადრეულად.

და მასპინძელმაც შეითვისტომა
ესე ამბავი — რომ ორივ კენტი
შვილი ბუნების, ორი შეცდომა —
მის ჭერქვეშ ვცხონდით და მოვილხენდით.

გადაწყდა! დავრჩით... ღამე არ მძინავს,
ვლიღინებ — ბანი მომცეს მზად არი.
ასეა, მაგრამ სიზმრებს გამკინავს
სად მოვუძებნო თავშესაფარი?

ო, რა თქმა უნდა, იქ, სადაც ერთხელ
უზენაესმა ვინმე ჭაბუკმა
ზეგარდმო ნიჭი გადმოაშუქა
კეთილს და ბოროტს, უტყვსა და მეტყველს.

იქ, სადაც — რაკი ასე ინება
მთამ, აღმართულმან მზიურ მცხეთასთან —
მტკვრის და არაგვის წყვილი დინება
ველარც გაყრილა და ვერც შეთავსდა.

სადაც ძველთაგან სვეტიცხოველი
აღასრულებდა ვაჟკაცურ ლოცვას
და იყო მტერთა დამამხობელი
იქ ხოცვა-ჟლეტაც და ხვევნა-კოცნაც.

ჭაბუკი იდგა ჯვრის მონასტერთან,
აჰყვა ფეხდაფეხ ნაკვალევს დევთა
და მიაკვლია მწირის ნატერფალს —
კლდეზე აღბეჭდილ უსაზღვრო სევდას.

ო, უცხო მოყმევ, კაცურო კაცო!
რა ჰქმენ ისეთი, რომ ჩემში აღსდექ
იმ ძველ ტკივილად და ისევ ამცნობ
ამ გულს ნამეხარს წამებას ასკეცს?

სულო ობოლო! იყავ მოწამე,
რომ მზად ვარ ვიქცე შენს ანარეკლად
და, ვით ჭრიჭინამ, გიმღერო რამე
შენთა ვნებათა განსაქარვებლად!

დარჩი ამ მთაზე! ასცდი ოღონდაც
იმ ქვესკნელს, სადაც გადაუდებლად
საბედისწერო წრეს შემოღობავს
შენი უღმერთო თავისუფლება.

დარჩი ამ მთაზე! მე შენს ნაკვალევს
გავყვები, გნახავ მცხეთასთან, მზესთან,
გულში ჩაგიკრავ, ლოცვას აღვავლენ
და შეგავედრებ ამ კეთილ ზეცას!

დარჩი ამ მთაზე!.. მაგრამ, რაც უფრო
სათნოა მისი უცხო არსება,
მით უფრო გიხმობს შენი საუფლო
დედა-სამშობლოს გაკაპასება.

□

ილო პატაშური

გუდამაყრელი მწყემსები



ომარ ჩუბინიძე

შემოდგომა

რას შვრება — ძირიანად გლეჯს ყვავილებს, უშნოდ ღუნავს, გრეხს ღეროებს და გააკეებული ფეხებს აბაკუნებს.

— ღვთის გულისათვის, სადარბაზო კარს ნუ გააღებ! უკანა კარიდან გადი, — ყვირის ვიღაც. მერე ბოგეის ხმა შემოესმა:

— დედი, ტელეფონთან გეძახიან, ტელეფონთან-მეთქი, დედი. ყასაბია.

რა აუტანელია ცხოვრება... ახლა ზონარიც რომ ასწყდა ქუდზე! ასწყდებოდა, აბა რა... ძველ ბერეტს დაიხურავს და უკანა კარიდან გაიპარება... მაგრამ დედამ დაინახა.

— მატილდა, მატილდა, დაბრუნდი ახ-ლა-ვე! ღმერთო კი მომკალი, ეს რა დაგიკოსებია თავზე? ან ეგ ფაფარი რად ჩამოგიყრია შუბლზე?

— ვერ დავბრუნდები, დედა, გაკვეთილზე მაგვიანდება.

— ახლავე დაბრუნდი!

არ დაბრუნდება, არ დაბრუნდება. მას სძულს დედა. — ჯანდაბას შენი თავი, — ყვირის მატილდა და უკანმოუხედავად გარბის.

ქუჩაში საშინელი კორიანტელი დგას. მტვერი, ყვითელი ფოთლები და ნამჯა ერთმანეთში არეულა. ხის ტოტებში ქარი ზუზუნებს. ქუჩის ბოლოს, მისტერ ბულენის ჭიშკართან მდგომს ესმის ზღვის ოხვრა. მისტერ ბულენის სასტუმრო ოთახში კი ისეთი სიჩუმეა, როგორც გამოქვაბულში. ფანჯრები დახურულია, ფარდები ნახევრად ჩამოშვებული... არა, მატილდას არ დაგვიანებია. იმ გოგონამ, მასზე ადრე რომ აქვს გაკვეთილი, ეს-ეს არის დაიწყო დაკვრა. მისტერ ბულენმა ერთი კი შეავლო თვალი მატილდას და ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა.

— დაბრძანდით, — ეუბნება იგი, — დივანზე დაბრძანდით, პატარა ქალბატონო.

რა უცნაური ვინმეა. თითქოს დაგცინის, თან არც დაგცინის. ვერაფერს გაუგებ... ოჰ, რა სიმშვიდეა აქ. მას მოსწონს ეს ოთახი. ოთახში სარეის, ქრიზანთემებისა და თამბაქოს მძიმე სუნია. იგრძნობა, რომ ხელოვანი ცხოვრობს აქ... ბუხარზე, რუბინშტეინის ნაჩუქარი ფოტოსურათის უკან — à mon ami Robert Bullen * — ქრიზანთემებით სავსე დიდი ლარნაკი დგას. შავი პრიალა პიანინოს თავზე „განმარტოება“ ჰკიდია — სევდით შეპყრობილი შავგვრემანი ქალი, თეთრი სამოსი მსუბუქ ნაკეცებად რომ ეფინება სხეულზე, კბოდეზე ზის, ნიკაპით ხელებს დაყრდნობია.

— არა, არა! — ამბობს მისტერ ბულენი. იგი დაიხარა, გოგონას მხრებზემოდან გადასწვდა კლავიშებს და აჩვენა, ასე უნდა დაუკრაო ეს ადგილი.

რა სულელია მატილდა — როგორ გაწითლდა! სასაცილოა.

აი უკვე წავიდა გოგონა, მატილდას მოსვლამდე რომ აქვს გაკვეთილი. საღარბაზო კარი გაჯახუნდა. მისტერ ბულენი ოთახში დაბრუნდა. იგი მსუბუქად დააბიჯებს წინ და უკან, მატილდას ელოდება... მაგრამ რა მოუვიდა მატილდას! თითები ისე უკანკალებს, რომ ნოტების ჩანთა ვერ გაუხსნია. ქარია, ქარი... და გული გამალებით უცემს, ლამის საგულედან ამოუვარდეს. მისტერ ბულენი ხმას არ იღებს. პიანინოს წითელი, გახეხილი სკამი იმსიგანეა, ორი კაცი თავისუფლად დაეტევა. მისტერ ბულენი მის გვერდით ჯდება.

— გამები დავუკრა? — ეკითხება მატილდა და თითებს აწვალებს. — სავარჯიშოებიც მქონდა.

---

* ჩემს მეგობარს რობერტ ბულენს (ფრ.).

მისტერ ბულენი არ პასუხობს. ალბათ არც უსმენს... მერე უცბად გადმოიწვდის თეთრ, ბეჭდიან ხელს და ბეთჰოვენის ნოტებს გადაშლის.

— მოდი ერთი, ბეთჰოვენი დავუკრათ, ეს ძველი ჯადოქარი.

ნეტავ რად ელაპარაკება ასე ნაზად — საოცრად ნაზად... თითქოს დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ და ყველაფერი იციან ერთმანეთისა.

მისტერ ბულენმა ფრთხილად გადაშალა ფურცელი. მატილდა თვალს არ აშორებს მის ხელს. რა ლამაზი ხელი აქვს, სუფთა, გეგონება, ეს წუთია დაიბანაო.

— აი, ეს დავუკრათ, — ეუბნება მისტერ ბულენი.

ოჰ, ეს ნაზი ხმა... ოჰ, ეს სევდიანი ჰანგი! აი, პატარა დაფდაფების ხმაც მოისმა...

— გავიმეოროო?

— ჰო, ძვირფასო.

ალერსიანად ჩაესმის მატილდას მისტერ ბულენის ხავერდოვანი ხმა... ნოტები ისე დახტიან, როგორც პატარა შავი ბიჭები ლობეზე. რატომ არის მისტერ ბულენი ასე... არა, არ იტირებს... რა აქვს სატირალი...

— რა მოგვიდა, ძვირფასო?

მისტერ ბულენმა ხელი მოჰკიდა ხელზე. აი, მისი მხარი, რა ახლოა, ლამის თავი მიაყრდნოს მატილდამ. გოგონა ოდნავ იხრება და ლოყით კოსტუმის მკვრივ ქსოვილს ეხება.

— რა აუტანელია ცხოვრება, — ჩურჩულებს იგი, თუმცა სულაც არ ადარდებს ეს. მისტერ ბულენი რაღაცას ეუბნება, დაცდა, ლოდინი არისო საჭიროო, ქალი საოცარი არსებააო... მაგრამ მატილდას აღარაფერი ესმის. რა მყუდროდაა... ოჰ, სულ მუდამ რომ...

მოულოდნელად კარი გაიღო და მერი სვენსონი შემოვარდა ოთახში. ნეტა რა მოარბებინებდა ასე ადრე...

— ცოტა უფრო სწრაფად დაუკარით, — ამბობს მისტერ ბულენი და დგება, ბოლთას სცემს.

— დივანზე დაბრძანდით, პატარა ქალბატონო, — ეუბნება იგი მერის.

ქარი, ქარი... ეშინია ოთახში მარტო ყოფნისა. საწოლი, სარკე, თეთრი დოქი და თასი ხანდახან განათდება ხოლმე, როცა გაიელვებს. საწოლისა ეშინია. აქ წევს იგი, ღრმა ძილს მისცემია... დედას ჰგონია, მატილდა სულ დაუკემსავს ამ წინდებს, გველივით დახვეული რომ აგდია დალიანდაგებულ საბანზე? არ დაუკემსავს, არა, დედი, ვითომ რატომ უნდა დაგიკემსო... ქარი... ქარი!.. ჰვარტლის სუნი ჩამოაქვს ქარს ბუხარში. ნუთუ არავის დაუწერია ლექსი ქარზე?.. „მე მომაქვს ყვავილები თქვენისათვის საპკურად...“ * — რა სისულელეა!

— შენა ხარ, ბოგეი?

— წამო, სანაპიროზე გავისეირნოთ, მატილდა. მეტის ატანა აღარ შემიძლია.

— კარგი, წავიდეთ. ოღონდ პალტოს ჩავიცვამ. რა საშინელი დღეა! — ბოგეისაც ზუსტად ასეთი პალტო აქვს. მატილდა საყელოს იკრავს, თან სარკეში

* მატილდა არასწორად ამბობს ჰ. ბ. შელის ცნობილი ლექსის „ღრუბელი“ დასაწყის სტრიქონს: „ეს მე მომაქვს შხაპუნა ყვავილების საპკურად...“ (ალ. საჯაიას თარგმანი).

იხედება. გაფითრებულია. ორივეს ერთნაირად ანთებული თვალები და მხურვალე ტუჩები აქვს. ოო, ესენი კარგად იცნობენ იმ ორ არსებას, სარკიდან რომ შემოსცქერიან. ნახვამდის, ძვირფასებო, ჩვენ მალე დავბრუნდებით.

— გარეთ ჯობია, არა?

— პალტო შეიკარი, — ეუბნება ბოგეი.

სიარული უძნელდებათ. თავი ჩაუღუნავთ, ერთმანეთს ეკვრიან. დაუძლეველი სურვილით შეპყრობილ ერთ არსებასავით მიიწევენ წინ. მიხვეულ-მოხვეულ ქვაფენილს მიჰყვებიან სანაპიროსაკენ, აქეთ-იქიდან კამა რომ მოსდებია... მოსაღამოვდა — თანდათან ბნელდება. ისეთი ქარია, ძლივს მიიკვლევენ გზას, მთვრალი კაცებივით მიბარბაცებენ... ჯუჯა ბუჩქები საბრალოდ გართხმულან სანაპიროზე.

— წამო, წამო, ახლო მივიდეთ!

ზღვა ყალყზე შემდგარა... მატილდას ჩამოშლილი თმა პირისახეზე სცემს. თმას მარილის გემო აქვს. ერთ დიდ ტალღად წამოსული ზღვა ქვის ჯებირებზე იმსხვერვა, მის ხავსმოდებულ საფეხურებს რეცხავს, წყლის შხეფები ნაპირზე ეცემა. მატილდას ნესტისა და სიცივის უსიამოვნო გემო აქვს პირში.

ბოგეის ხმა ეცვლება ლაპარაკისას, ხან უბოხდება, ხან კიდევ უწვრილდება. როცა უსმენ, გინდა გულიანად გაიცინო... მაგრამ რა საოცრად ესადაგება მისი ხმა დღევანდელ დღეს. მათი ხმები შორს მიაქვს ქარს. სიტყვები წვრილი ლენტებივით მიფრიალებენ.

— ჩქარა! ჩქარა!

ჩამობნელდა. ნავსადგურში გემებზე წყვილ-წყვილად აინთო სინათლე — ერთი მაღლა, ანძაზე, ხოლო მეორე კიჩოზე.

— შეხედე, ბოგეი, შეხედე!

უზარმაზარი გაჩირაღდნებული გემი, ამომავალი კვამლი მარყუჟივით რომ დასდგომია თავზე, ზღვაში გადის. ვერ შეაჩერებს მას ქარი. ღონივრად მიაპობს ტალღებს. წვეტიან რიფებს შორის მიცურავს, ზღვის ღია ჭიშკრისკენ აუღია გეზი... განათებული გემი საოცრად მშვენიერი და იდუმალი ჩანს... ისინი გემბანზე დგანან ხელიხელგაყრილნი.

„. . . ვინ არიან?“

„. . .და-ძმა“.

„შეხედე, ბოგეი, აგერ ჩვენი ქალაქი. რა პატარაა, არა? ფოსტის საათი უკანასკნელად რეკავს. აი, სანაპირო, სადაც ჩვენ ვსეირნობდით იმ ქარიან დღეს. გახსოვს? მე მაშინ მუსიკის გაკვეთილზე ვიტირე — რა დიდი დრო გავიდა მას მერმე! ნახვამდის, პატარა კუნძულო, ნახვამდის...“

ახლა კი ღამემ ფრთა გადააფარა მღელვარე ზღვას. ისინი ველარ ხედავენ იმ ორს გემბანზე. ნახვამდის. ნუ დაივიწყებთ... მაგრამ გემი წავიდა უკვე.

ქარი . . . ქარი . . .

□

ეძვსპენსიანი

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნეს **ელენე გეგელაშვილმა და ლელი აბულაძემ**

ბავშვები შეუცნობელი არსებანი არიან. მოდი და გაიგე, რატომ ხდება, რომ სრულიად უმიზეზოდ ისეთი კარგი, დამჯერი, მოსიყვარულე და გონიერი ბავშვი, როგორიც დიკია, ისე „აიწყვეტს და გადაირევა“, მისი დების თქმისა არ იყოს, ველარაფერს შეასმენ.

— დიკი, მოდი აქ! ეხლავე მოდი! არ გესმის? დედა გეძახის, დიკი!

მაგრამ დიკი არ აპირებს მისვლას. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ეძახიან. პასუხად ისმის ზარივით წკრიალა სიცილი და დიკი მთელი სისწრაფით მირბის გაუთიბავ მდელოზე, იმალება ხის საწყობის უკან, შევარდება ბოსტანში, იჭყიტება ხავსით დაფარული დიდი ვაშლის ხის ტოტებიდან და ხტის, ხტის ველური ინდიელივით.

ჩაის სვამდნენ, როცა ეს ამბავი დაიწყო. შინამოსამსახურე გოგო ასე ჰყვება: თურმე დიკის დედა და მასთან სტუმრად მყოფი ქალბატონი სფერსი სასტუმრო ოთახში მსხდარან და ხელსაქმით ყოფილან გართულნი; ბავშვები მშვიდად შეექცეოდნენ კარაქიან პურსა და ცხელ რძეს. უცებ დიკიმ ხელი სტაცა საპურეს, თავზე ჩამოიცვა და პურის საჭრელი დანა ჩაბღუჯა.

— მიყურეთ! — დაიყვირა მან.

დებმა განცვიფრებით შეხედეს დიკის, ხოლო მსახურმა გოგონამ ვერაკი მოასწრო მასთან მირბენა, რომ თეფში იატაკზე დავარდა და დაიმსხვრა. გოგონებმა ყვირილი მორთეს:

— დედა, ნახე, დიკიმ რა ჰქნა!

— დედა, დიკიმ პურის თეფში გატეხა!

— დედა, უთხარი რამე დიკის!

დედამ მაშინვე მიირბინა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

დიკი სკამიდან ჩამოხტა და აივანზე გავარდა. დედა სახტად დარჩა, იდგა გაოგნებული და თავისდა უნებურად იძრობდა და ისევ იკეთებდა სათითეს, სხვა ვერაფერი მოეხერხებინა.

რა უნდა უყოს? პატარა გოგოსავით გამოედევნოს და ხეებსა და ბუჩქებში ეძებოს?! ეს ხომ სასაცილო იქნებოდა. ეს ხდება სწორედ მაშინ, როდესაც ქალბატონი სფერსი არის აქ. თანაც ქალბატონ სფერსს ორი სამაგალითო ბიჭი ჰყავს.

— მე შენ გიჩვენებ სეირს, დიკი! — დაუყვირა დედამ. — იცოდე, ეს შენ არ შეგრჩება!

— აი, დარდი! — გასძახა დიკიმ და კვლავ გაისმა მისი ზარივით წკრიალა სიცილი.

— არა, ბავშვი სულ მთლად გაგიჟდა...

— ოჰ, ქალბატონო სფერს, არ ვიცი, როგორ მოგიხადოთ ბოდიში, მარტო რომ დაგტოვეთ.

— რას ბრძანებთ, არა უშავს, ქალბატონო ბენდელ, — მიუგო ქალბატონმა სფერსმა დათაფლული ხმით და წარბები ასწია, თავისთვის ჩაიცინა და კაბის ნაკეცებს დაუწყო სწორება. — ასეთი შემთხვევები ხდება ხოლმე დროდადრო. ვიმედოვნებ, საგულისხმო არაფერი მომხდარა.

— დიკი ისევ ცელქობს, — თქვა ქალბატონმა ბენდელმა და თავისი ერთადერთი წმინდა ნემსის ძებნას შეუდგა, თან ქალბატონ სფერსს უყვებოდა, თუ რა მოხდა.

— არ ვიცი, რა მოვუხერხო; როდესაც ის ასე ანცობს, ვერაფერს გააგებინებ.

ქალბატონმა სფერსმა ფართოდ გაახილა თავისი ულიმლამო თვალები.

— არც გაროზგვა შველის? — იკითხა მან.

ქალბატონმა ბენდელმა ტუჩები მოკუმა.

— ჩვენ არასოდეს არ ვროზგავთ ბავშვებს, — უპასუხა მან. — გოგონები ამას არ იმსახურებენ, ხოლო დიკი ჯერ ხომ სულ პატარაა და თანაც დედისერთა, როგორღაც...

— ოჰ, ჩემო კარგო, — თქვა ქალბატონმა სფერსმა და საკერავი გვერდზე გადასდო. — მე ეხლა სრულიადაც არ მიკვირს დიკის ასეთი უსაქციელობა. ნუ გეწყინებათ, მაგრამ უნდა გითხრათ, თქვენ ძალიან სცდებით, რომ ბავშვებს არ როზგავთ. უებარი წამალია, პირადი გამოცდილებით ვიცი, ჩემო კარგო. ადრე რამდენჯერმე ვცადე დასჯის უფრო იოლი ხერხი, — ქალბატონმა სფერსმა ჩაახველა, — მაგალითად, ვუსაპნავდი ბავშვებს ენას ყვითელი საპნით, ხშირად კუთხეში დავაყენებდი, მაგრამ მერწმუნეთ, მამის ხელს არაფერი სჯობია.

გულის სიღრმეში ქალბატონი ბენდელი შეაძრწუნა ამ „ყვითელმა საპონმა“, მაგრამ მისის სფერსს ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ეს მისთვის ჩვეულებრივი რამ ყოფილიყოს.

— მამის ხელი? მაშ თქვენ თვითონ არ როზგავთ მათ?

— არასოდეს! — ამ შეკითხვამ ქალბატონი სფერსი აშკარად შეაცბუნა, — ბავშვების ცემა დედის საქმე როდია. ეს მამის მოვალეობაა. გარდა ამისა, მათ მამის უფრო ეშინიათ.

— ალბათ, — ძლივს გასაგონად მიუგო ქალბატონმა ბენდელმა.

— ჩემი ბიჭებიც დიკისავით მოიქცეოდნენ, მამის რომ არ ეშინოდეთ, — თქვა ქალბატონმა სფერსმა და ღიმილით შეხედა ქალბატონ ბენდელს, — მაგრამ, რადგან მათ ეშინიათ...

— ოჰ, თქვენი ბიჭები სამაგალითონი არიან, — წამოიძახა ქალბატონმა ბენდელმა.

და მართლაც ისინი სამაგალითონი იყვნენ. იშვიათად ნახავდით ბავშვებს, უფროსებთან ასე წყნარად და თავაზიანად რომ სჭეროდათ თავი. ქალბატონ სფერსის სტუმრები ხშირად აღნიშნავდნენ, თქვენს სახლში ისეთი სიჩუმეა, თითქოს აქ სულაც არ არიანო ბავშვები.

ჰოლის წინ, კარებთან, დიდი სურათის ქვეშ, სადაც მდინარის პირას მოთევზავე, მხიარული, ჩასუქებული მონადვნები იყვნენ გამოსახული, ეკიდა დიდი შავი მათრახი, ოდესღაც ბატონ სფერსის მამას რომ ეკუთვნოდა. ბავშვები რატომღაც ამჯობინებდნენ, ამ მათრახიდან რაც შეიძლება შორს ყოფილიყვნენ და სადმე სხვაგან ეთამაშათ — ძალლის ხუხულის უკან ან სანაგვე ყუთთან.

— ბავშვებს ლმობიერად არ უნდა მოექცე, სანამ ისინი პატარები არიან, — ფშუტუნით თქვა ქალბატონმა სფერსმა და საკერავი დაკეცა. — დიდი, დიდი შეცდომაა, მაგრამ სამწუხაროდ ამ შეცდომას ძალიან ხშირად სჩადიან. ეს დიდი უსამართლობაა ბავშვების მიმართ და ყოველთვის უნდა ვვახსოვდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ დიკი დღეს განზრახ იქცეოდა ცუდად. ამით ბავშვმა თავისებურად მიგვანიშნა, რომ მას გაროზგვა სჭირდება.

— თქვენ ნამდვილად ასე ფიქრობთ?

ქალბატონი ბენდელი ლმობიერი, სუსტი არსება იყო და ქალბატონ სფერსის სიტყვებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— დიახ, მე სავსებით დარწმუნებული ვარ ამაში. მამის დროულად ჩარევა გიხსნით მომავალში მრავალი განსაცდელისაგან, — წარმოთქვა ქალბატონმა სფერსმა ამ საქმეში დიდად გამოცდილი ადამიანის კილოთი. — დამერწმუნეთ, ჩემო კარგო! — და მან თავისი მშრალი, ცივი ხელი ქალბატონ ბენდელის ხელს შეახო.

— მე მოველაპარაკები ედუარდს, როგორც კი შინ დაბრუნდება, — მტკიცედ თქვა დიკის დედამ.

ბავშვები უკვე საძინებელ ოთახში იყვნენ ასული, როცა გაისმა ჭიშკრის ჯახუნი და ცემენტის კიბეებს დიკის მამა ამოჰყვა. მას ხელით ველოსიპედი მოჰქონდა. ბატონ ბენდელს ბევრი საქმე ჰქონდა დღეს სამსახურში. შინ ოფლში გაწურული, ერთთავად გამტვერიანებული და დაღლილი მოვიდა.

ქალბატონი ბენდელი ისე იყო გატაცებული ბავშვების აღზრდის ახალი წესით, რომ მოუთმენლად ელოდა ქმრის მოსვლას და თვითონ გაუღო კარი.

— ოჰ, რა კარგია, რომ მოხვედი, — წამოიძახა მან.

— რა იყო? რა მოხდა? — ედუარდმა კუთხეში მიდგა ველოსიპედი და ქუდი მოიხადა. ქუდს შუბლზე წითელი ზოლი დაეტოვებინა.

— წამოდი, სასტუმრო ოთახში შევიდეთ, — სწრაფად დაიწყო ქალბატონმა ბენდელმა, — ენით ვერ აგიწერ, რა უწესოდ იქცეოდა დღეს დიკი. შენ ვერც კი წარმოიდგენ, თუმცა რას წარმოიდგენ, როცა მთელი დღე სამსახურში ხარ, — თუ როგორ იქცევიან ზოგჯერ მისი ასაკის ბიჭები! საშინელებაა! მე მას ველარ ვერევი — სულ წავიდა ხელიდან. რა ღონე არ ვიხმარე, — არავითარი შედეგი! ერთი გამოსავალი დარჩა, — მან ძლივს მოითქვა სული, — გაროზგვა. შენ უნდა გაროზგო ის, ედუარდ!

სასტუმრო ოთახის კუთხეში ლამაზი კარადა იდგა. ზედა თაროს ამშვენებდა ყავისფერი ფაიფურის დათვი, წითელი ენა რომ ჰქონდა. დათვი თითქოს ჩუმ-ჩუმად ელოიჭებოდა დიკის მამას და აქეზებდა:

„ვაშა, ვაშა, აი, სწორედ ამისთვის მოხვედი შინ“.

— კი მაგრამ, რატომ უნდა ვცემო ბავშვს? — შეეპასუხა ედუარდი და დათვს მიაჩერდა. — ჩვენ ხომ ის თავის დღეში არ გვიცემია?

— იმიტომ, რომ — უპასუხა ცოლმა, — მხოლოდ ეს არის ერთადერთი გამოსავალი. მე მას ველარ ვიმორჩილებ...

ქალბატონი ბენდელი ელვისებური სისწრაფით ისროდა სიტყვებს, სიტყვები ედუარდს აცვიოდა დაღლილ თავზე და სულს უფორიაქებდა.

— ჩვენ არა გვაქვს იმის საშუალება, რომ აღმზრდელი დავიქირაოთ, შინა მოსამსახურე გოგო კი ისედაც ვერ ერევა თავის საქმეს. დიკის უსაქციელობამ ამ ბოლო დროს ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. შენ არ გესმის ეს, ედუარდ, შენ მთელი დღე სამსახურში ხარ.

დიკის მამამ ისევ შეხედა დათვს. დათვს წითელი ენა გამოეყო. ბრაზიანი ხმა არ წყდებოდა. ედუარდი დაღლილი დაეშვა სავარძელში.

— რითი ვცემო? — იკითხა მან მისუსტებული ხმით.

— რა თქმა უნდა, შენი ფლოსტებით, — უპასუხა ცოლმა.

მან დაიჩოქა და ქმარს მტვრიან ფეხსაცმელებზე ზონარი შეხსნა.

— ოჰ, ედუარდ, — დაიწყო მან წუწუნი, — რამდენჯერ გითხარი, ველოსიპედის სარჯები მოიხსენი-მეთქი შარვლიდან! პირდაპირ არ ვიცი...

— კმარა, კმარა, — ედუარდი ძლივს იკავებდა თავს, რომ ხელი არ ეკრა მისთვის, — მომეცი ფლოსტები!..

კიბეზე ავიდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ვერაგულ მახეში გაება. ეხლა მას თვითონაც უნდოდა ეცემა დიკი. დალახვროს ეშმაკმა, მას უნდოდა ეცემა ვინმე. ღმერთო ჩემო, ეს რა ცხოვრებაა! თვალები მტვრისაგან ეწვოდა, ხელები დამძიმებოდა.

ხმაურით გააღო დიკის პატარა ოთახის კარი. ბიჭუნა ღამის პერანგის ამარა იდგა შუა ოთახში. შვილის დანახვაზე ედუარდს სიბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა.

— მაშ ასე, ყმაწვილო, იცი, რატომ გეწვიე? — ჰკითხა ედუარდმა.

დიკი სდუმდა.

— მე მოვედი, რომ გცემო.

არც ამჯერად გაისმა პასუხი.

— აიწიე პერანგი.

დიკიმ მამას შეხედა. პირისახე აელეწა.

— პერანგი ავიწიო? — წაიჩურჩულა მან.

— აბა, სწრაფად, — უთხრა ედუარდმა და სამჯერ მაგრად ჩასცხო დიკის ფლოსტი.

— აი, ასე, ახლა ისწავლი ჭკუას, როგორ უნდა მოექცე დედას.

დიკი თავჩაქინდრული იდგა.

— გასწი, ჩაეგდე ლოგინში!

ბავშვი ადგილიდან არ იძროდა. მერე ათრთოლებული ხმით წაიჩურჩულა:

— მე ჯერ კბილები არ გამიხეხია, მამიკო.

— რაო?

დიკიმ თავი ასწია. ტუჩები უკანკალებდა, მაგრამ ტირილს იკავებდა და ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ნერწყვი ჩაყლაპა და ყრუდ გაიმეორა: — მე ჯერ კბილები არ გამიხეხია, მამიკო.

ედუარდმა დიკის შეხედა: თვალი შეავლო მის პატარა ცხვირ-პირს, ასე უმწეოდ რომ გამოიყურებოდა, და დარეტიანებულივით გავარდა ოთახიდან. კიბეები ჩაირბინა და ბაღისაკენ გაეშურა. ღმერთო მოწყალეო! ეს რა ჩაიდი-

ნა? ის ბაღში გავიდა და მესერთან მსხლის ხის ჩრდილს შეაფარა თავი. დიკი ცემა, — ცემა თავისი პატარა ბიჭუნა ფლოსტით, — თუმცა რატომ, თვითონაც არ იცოდა. მოულოდნელად შეუვარდა ოთახში, ეძგერა პერანგისამარა ბავშვს და გალახა. დალახვროს ეშმაკმა! მან დაიკვნესა და მესერს მიეყრდნო. „იმას კი არც უტირია“. ეტირა ან გაბრაზებულიყო მაინც. რა გულსაკლავად თქვა: „მამიკო“! და მას კვლავ მოესმა ბავშვის ყრუ ჩურჩული, ასე უსიტყვო პატიება! მაგრამ თვითონ არასოდეს არ აპატიებს თავის თავს, — არასოდეს. ლაჩარი, სულელი, პირუტყვი, მხეცი! და უცებ გაახსენდა, ერთხელ როგორ ჩამოვარდა დიკი მისი მუხლებიდან და ხელი იღრძო, როდესაც ისინი ერთად თამაშობდნენ. ბავშვს არც მაშინ უტირია. და ასეთი პატარა ვაჟკაცი უნდა გაელახა?

„არა, მე ამას ვერ ავიტან“, ფიქრობდა ედუარდი, როდესაც შინ ბრუნდებოდა. კიბეებზე ავიდა და დიკის ოთახის კარი შეაღო. ბიჭუნა ლოგინში იწვა. ოთახის ბინდბუნდში მისი პატარა თავი, შუბლზე შეჭრილი შავი ქოჩორი მკაფიოდ მოჩანდა თეთრ ბალიშისპირზე. ის ჩუმად იწვა, არც ახლა ტიროდა. ედუარდი ოთახში შევიდა და კარს მიეყრდნო. როგორ უნდოდა დაჩოქილიყო დიკის საწოლთან, ეტირა და პატიება ეთხოვა. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთ რამეს ვერ გააკეთებდა. ის საშინელ უხერხულობას გრძნობდა, გული უტოკავდა და უცნაურად ეკუმშებოდა.

— არ გძინავს, დიკი? — თავს ძალა დაატანა და უდარდელი ხმით ჰკითხა მან.

— არა, მამიკო.

ედუარდი ბავშვის საწოლზე ჩამოჯდა.

— ხომ ყველაფერი რიგზეა? — გაუბედავად ჰკითხა მან.

— კი, მამიკო, — მოისმა პასუხი.

ედუარდმა ფრთხილად აიღო ხელში დიკის პატარა ცხელი თათი.

— შენ, შენ აღარ უნდა იფიქრო იმაზე, რაც მოხდა, პატარა კაცო, — ყრუდ თქვა მან. — გესმის? ყველაფერი დამთავრდა. ყველაფერი დავიწყებულია და არასოდეს აღარ განმეორდება.

— კი, მამიკო.

— ახლა კი რა თავპირი ჩამოგტირის, გაიღიმე, ჰაიტ, შე ძველო, შენა! — თქვა ედუარდმა და თვითონ შეეცადა გაეღიმა. — დაივიწყე ყველაფერი, კარგი? პატარა კაცო, ჩემო ბიჭუნა...

დიკი ისევ ისე იწვა. ეს აუტანელი იყო. ედუარდი წამოხტა და ფანჯარასთან მივიდა. ბაღში უკვე ჩამობნელებულიყო. მოსამსახურე გოგო სირბილით გამოვიდა ოთახიდან და ბუჩქებზე გაფენილი თეთრეულის ჩამოხსნა დაიწყო. უკიდეგანო ცაზე პირველი ვარსკვლავი აციმციმდა, დიდი კაუჩუკის ხე შავად მოჩანდა მკრთალად მოციმციმე დაისის ფონზე და ნაზად არხევდა თავის გრძელ ფოთლებს. მამა მისჩერებოდა ამ სურათს და შარვლის ჯიბეში ხურდა ფულს ისინჯავდა. მერე ფული ჯიბიდან ამოიღო, ამოარჩია ახალი ექვსპენსიანი და ისევ დიკის საწოლთან მივიდა.

— აი, ეს შენ, ჩემო ბიჭუნა. რამე იყიდე, — უთხრა მან ჩუმად და ფული დიკის ბალიშზე დადო.

მაგრამ განა შეეძლო ფულს — თუნდაც ექვსპენსიანს — გამოესყიდა ის დანაშაული, რაც უკვე მოხდა?

□

აჰმედხან აბუ-ბაქარი

თოვლის ადამიანები

რომანი

თარგმნა **ციალა ჩხეიძემ**

პროლოგი

სიტყვა „აულს“ რომ წარმოთქვამ, თითქოს შორეული, გაბმული ძახილი გესმის ადამიანისა, იმ კლდეებსა და ხეობებში რომ ჩაკარგულა, სადაც მარტოოდენ ხმამაღალი გამოძახილი თუ გაეხმიანება ყრუ გუგუნით ამ „აულს“! ეს სიტყვა, ახლა რომ აღარ ხმარობენ, დაღესტანში ქვის რუხ, ხავსმოკიდებულ, ლავაშებივით წივაატყეპებულ ქოხებს ერქვა, რაღაც სასწაულით რომ მიწებებოდნენ მთების დაკიდულ ფერდობებს და ერთმანეთს ისე მიჰყუჟოდნენ, თითქოს შიშს, სასოწარკვეთას და ობლობას, თოშსა და უამინდობას ემალებიანო.

ერთხელ მთებში გზა დამებნა და ჩვენი მოხუცების რჩევას მივყევი, — ცხენს სადავე მივუშვი, სწორ გზას თვითონვე გაიგნებს-მეთქი; ისიც არხეინად მიაჭახუნებდა ნალებს კაჟსა და სიპზე, და ბოლოს აკი რომელიღაც მიყრუებულ ადგილას ამომაყოფინა თავი! თუმცა ჩემი ქურანა უთუოდ კარგა ხანია იცნობდა ამ ზოგან უკვე ბალახმოდებულ, ზოგანაც კლდეებიდან ჩამოზვავებული ქვებითა და მეწყერით დახერგილ ვიწრო, გაუკაცრიელებულ ბილიკებს, დიულთი-დაღას მარადიული თოვლით შემოსილი დიდებული მწვერვალებისკენ რომ მიემართებოდა. ანაზდად ცხენი შედგა, ჩლიქები მიწას დაუბაკუნა, შეშფოთებულმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი, თითქოს თავის თავს რაღაც შეცდომას უსაყვედურებსო.

ირგვლივ მიმოვიხედე. მწვავე ტკივილმა მომიწურა გული.

ასობით ცარიელი ფანჯრის ჩარჩოებით, შავად მზირალი კარის ჭრილებით მომჩერებოდა ადამიანთაგან მიტოვებული აული შუბურუმი. შუ-ბუ-რუმ! თითქოს ცივმა ქარმა დასტვინა გაბმით, ჩამოიღმუვლა საკვამურში, შემზარავად აყმუვლდა მთის მგელი... სულ ახლახან აქ ცხოვრობდნენ ადამიანები, დაცინვით ეს ამბავი მოცლილი კაცის მონაჭორი რიდია; მამაჩემმა მიამბო, როცა მეხი შვილიშვილის აკვანს ვარწევდი.

ზეცის მკვიდრთ რომ ეძახდნენ. ახლა კი მიუგდიათ აული ამ გავერანებულ ბილიკზე, ვით ნახმარი, დაძველებული, დაგლეჯილ-დაკემსილი, თავსხმა წვიმაში მრავალგზის გალუმპული და მზეზე მრავალგზის გამომშრალი ცხვრის ტყაპუჭი.

დგანან სანახევროდ დანგრეული, კედლებდაბზარული თუ სახურავჩაქცეული ქოხები... შუაში მეჩეთია, ზეცისკენ აღმართული მინარეთით, თითქოს სულამომავალს უკანასკნელი ძალ-ღონე მოუკრებია, ხელი აღუპყრია და ალაჰს შევედრებიაო. რა მოხდა აქ? მეწყერი მოვარდა თუ მიწისძვრა იყო? ან იქნებ საზარი რამ ჭირი შემოიჭრა ამ ღრუბლებმიღმა სოფელში და, ვინც კი სიკვდილს გადაურჩა, ყველა შიშმა მოიცვა და მიატოვა აული? ამიტომ ხომ არ კვნესის ასე საწყალობლად ანჯამებიდან ნახევრად აგლეჯილი დარაბები, ამიტომ ხომ არ მოთქვამს ქარი და მიეხვეტება დარჩენილ ნაცარს კერიებიდან, სადაც ოდესღაც ცეცხლს ეფიცხებოდნენ მთიელთა მხიარული ოჯახები. მჭვარტლისაგან ჩაშავებულ თეთრ, რუხ ან ლურჯ კედლებს, თაროებსა და თახჩებს მტვრიანი აბლაბუდა დაჰკიდებია, ქვის იატაკი ნესტს ჩაუშავებია. ვიწრო შუკებში დაძრწის გზააბნეული ქარი. აღარც კვამლია სადმე, აღარც ძაღლი ყეფს, აღარც საძოვრიდან მოდენილი ძროხა ბღავის, აღარც გულამოსკვნით ყროყინებს სახედარი. აღარავინ მღერის იავნანას, აღარ ისმის დროდადრო ჩვილის ტირილი, აღარ კისკისებენ ბალღები და აღარ საუბრობენ უფროსები.

მოშორებით, ძველთაძველ სასაფლაოზე აღმართულა კაცის სიმაღლე ჩუქურთმიანი საფლავის ქვები, თითქოს ერთად შეყრილი და მწუხარებისაგან გაქვავებული წინაპრები არიანო იმ ხალხისა, ვისაც მიუტოვებია ეს ქოხები, მთის ფერდობებზე შეხიზნული ციცქნა მინდვრები, ახლა სარეველას რომ დაუფარავს. დროდადრო გაისმის ძველი ხის კოჭების ჭრიალი და ტკაცანი, დანგრეული სახლიდან ჩამოვარდება კიდევ ერთი ქვა და მიწას დაერეხვება.

მე ვიცი, როგორ კვდება ადამიანი, ბევრჯერ მინახავს, როგორც კვდება მთის ჯიხვი. ახლა კი ვხედავ, როგორ ღაფავს სულს ადამიანთაგან განწირული სოფელი.

დაფეთებული აცეცებს თვალებს ჩემი ცხენი, არ ვიცი, მიტოვებული აულის სევდა გადაედო, თუ თავისი კვიცობის ან თავისი პირველი კეთილი შუბურუმელი პატრონის მოგონების ნაღველი დაეუფლა... ბოლოს დაიფრუტუნა, დააქნია ჩაქინდრული თავი, თითქოს უნდა უნებური ცრემლი ჩამოიბერტყოსო, და... გამობრუნდა.

სადავე მიშვებული მაქვს. აღარ მივერეკები ცხენს, ვიცი, გამოასწორებს თავის შეცდომას და მაინც გაიგნებს სწორ გზას.

შუბურუმის უკანასკნელ დღეებზე ფიქრმა წამიღო...

ნაწილი პირველი

მესაფლავე და წვნიანი კერძი

ყველაფერი კი ხინკლის ბრალი იყო, ცხვრის ახალი ხორცისგან შარშან შემოდგომაზე, ერთ კვირადღეს რომ გააკეთა ხევამ, სოფლის მესაფლავის ჰაჯიბექირის ცოლმა. ეს ის კვირადღე გახლდათ, როცა ქალაქიდან მესამედ ჩამოვიდა რწმუნებული, რათა დაეყოლებინა შუბურუმელები, ამ უნაყოფო მთებიდან

კასპიისპირეთის ბარაქიან და ხალვათ მიწაზე გადასახლდითო, სადაც ახალ-მოსახლეთ ელოდებოდა დიახაც თანამედროვე დაბა. მაგრამ ჯიუტმა შუბურუ-მელებმა არც ახლა ისურვეს მამაპაპეული ძველი ქოხების მიტოვება.

ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა ვიწრო შუკებში; გეგონებოდათ, ვიღაცის ჭიშკარში შედიან, იმ ჭიშკრის მიღმა კიდევ სხვისი ჭიშკარი მოჩანს, იმის იქით — კიდევ სხვისი და ასე დაუსრულებლადო. აუჩქარებლად მიდიოდნენ ბერი-კაცები, თავიანთთვის რომ უკვე შეეკვეთათ საფლავის ქვები (ეგ იყო, გარდაც-ვალების თარიღი არ ეწერა ზედ), თითქოს უნდოდათ თვალი შეევლოთ საკუთა-რი სამარისათვის, რატომღაც სიამაყითა და განდგომილების წმინდა გრძნობით რომ აღავსებდათ; ხმამაღლა მილაპარაკობდნენ გოგო-ბიჭებით გარშემორტყმუ-ლი, შეფიქრიანებული მთიელი კაცები და ქალები. ყიჟინით, სიცილით გარბოდ-ნენ ბალღები, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ქვეყნად არსებობდა სიკვდილი და არც სურდათ სცოდნოდათ, ამისათვის არ ეცალათ: ახლავე, დღესვე ელოდათ უამრავი მხიარული საქმე, ხოლო მომავალში კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასიამო ამბები, და აღტაცებისაგან სული ეგუბებოდათ! ირგვლივ ყველანი ერთ-თავად ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ ხმამაღლა და აღგზნებით — ასეთი ყრუ და მრისხანე გუგუნით ავსებენ ხოლმე ხის ფუღუროს შეშფოთებული ფუტ-კრები, როცა დათვის ბელი შეჰყოფს შიგ ბანჯგვლიან თათს. გზადაგზა ჩერდე-ბოდნენ და ხელების ქნევით უმტკიცებდნენ ერთმანეთს იმას, რასაც უმეტესობა რა ხანია მხარს უჭერდა და რასაც მხოლოდ უმცირესობა თუ ეწინააღმდეგებო-და. თვითეული გულმხურვალედ მხარს უბამდა მოსაუბრეს — ღმერთმანი, ყრუთა ლაპარაკი გაგახსენდებოდათ: „ბაზარში მიდიხარ?“ — „არა, ბაზარში მივდი-ვარ!“ — „მე კი მეგონა, ბაზარში მიდიოდი...“.

ვაი რომ ასე მოსდით ხოლმე ბალღებსა და შუბურუმელებს: ერთბაშად თუ ვერ დაიყოლიებ, მერე, რაც დრო გადის, მით უფრო გაკერპდებიან და გაჯიუტ-დებიან, მით უფრო მეტ საბაბსა და საბუთს ეძიებენ.

— მამა-პაპათა საფლავების მიტოვება უდიდესი ცოდვაა!

— არამც და არამც არ უნდა დავთმოთ. ეს მიწა ჩვენია და ჩვენ ამ მიწის შვილები ვართ.

— ტყუილად კი არ გაიძახოდნენ ჩვენი ბებიები: ღმერთი ფარვიდეს ჩვენს შვილებს ბარში მცხოვრები ურჩხულისგანო!

— ხომ გახსოვთ ჩვენი განთქმული მოჭიდავე, შუბურუმელი მუშლუკი! რაც დედამიწის ზურგზე მოჭიდავე იყო, ყველა წააქცია, მერე კი ბარში პაწია კო-ღომ უკბინა და მოჰკლა! დიახ, დიახ, ციების პაწია კოღომ!

— თუ კასპიისპირეთის მიწა მართლაც ეგეთი კარგია, აქამდე რატომღა დარჩენილა დაუსახლებელი? აქამდე რატომ არავინ გამოჩნდა იოლი და მდიდარი ცხოვრების მსურველი?

— ზღაპრებში მუდამაც თაფლის მდინარეები მოედინება ხოლმე...

მაგრამ მალე ლაპარაკის ხმა მიყუჩდა და ბოლოს მიწყდა კიდეც. კრებიდან რომ ბრუნდებოდა, ჰაჯი-ბექირს გაახსენდა, შინ ცხვრის ხორცის ხინკალი დამ-ხვდებაო. ცხადია, ამგვარ სუფრას ენამრავალი მოსაუბრე და კარგი ღვინო მო-უხდებოდა. ჰაჯი-ბექირმა სოფლის მაღაზიაში სამლიტრიანი ბოცით ღვინო იყიდა და შინისკენ გასწია. გზადაგზა სულ თვალებს აცეცებდა, სტუმრად ვინ დავპატიჟოო?

მაგრამ ვიდრე ჰაჯი-ბექირი სოფლის მაღაზიაში იყო, ხალხი წავიდ-წამო-

ვიდა: ყველას გადაუდებელი საშემოდგომო სამუშაო გამოუჩნდა, თანაც საოცრად მზიანი და თბილი დღე დადგა. ზოგს თავის პატარა მინდორზე მიეჩქარებოდა ქერისა და სიმინდის ასაღებად; ზოგი ღონივრად იქნევდა ცელს და კლდეებს შორის გაწოლილ მწირ მდელოებსა თუ ტყის პირზე ამოსულ ბალახს თიბავდა, რათა ორიოდე ზვინი კიდევ წაემატებინა კოლმეურნეობისათვის, ზოგნიც ბაკებსა და საფრინველეს შესეოდნენ, ზაფხულის საძოვრებიდან დაბრუნებულ რემას ცხენებს ათვინიერებდნენ. ერთი სიტყვით, კოლმეურნეობაში ყველას ჰქონდა საქმე: მხოლოდ დღედაღამ ჯაფით თუ გაიტანს კაცი თავს შუბურუმის მწირ მიწაზე... მაგრამ ჰაჯი-ბექირს ნაკლებ ენაღვლებოდა საკოლმეურნეო საზრუნავი, მან უფრო სარფიანი ხელობა აირჩია: ის მესაფლავეა, მისი საქმეა დაკრძალოს მიცვალებულნი და საფლავის ქვები დაუმზადოს. რა თქმა უნდა, ჰაჯი-ბექირმა კარგად იცის, ეს ვერაფერი სახალისო შრომაა, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს. თან გასამრჯელოც გვარიანია — ვინ ფულს აძლევს, ვინ ყველს, ერბოს, ფართალს, ეგ კი არა, ცხვარიც მიუციათ ხოლმე. თუმცა, ღვთის წინაშე, თვითონ ჰაჯი-ბექირს თავის დღეში არაფერი მოუთხოვია, — რასაც აძლევენ, იმას სჯერდება, სიხარულსაც და წყენასაც გულში იმარხავს.

შედიდურად, ტაატით მიაბიჯებდა ჰაჯი-ბექირი აულში. მისთანა მოსიარულეზე იტყვიან ხოლმე — ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადო! იცოდა თავისი თავის ფასი, იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ყოველი ოჯახი მას მიაკითხავდა. სოფლის მესაფლავე იშვიათად იპარსავდა წვერს: მისი აზრით, გაბანჯგლული პირი უფრო შეეფერებოდა დაკრძალვის მწუხარე სურათს. მოუქნელი, მძიმე კაცი იყო მესაფლავე; შავი თმა თითქმის წარბებიდან აჯაგროდა, პირსახე სალი კლდისაგან გამოჩორკნილს მიუგავდა... მიაბიჯებდა და აქეთ-იქით იხედებოდა. ვერა და ვერ ეპოვა საკადრისი თანამეინახე. აბა, იმ ტუტუც ღრეჭიას, კოლმეურნეობის მონადირე ყარა-ხართუმს ხომ არ დაპატიჟებდა, აგერ ხორხოცით რომ მოათრევს მოკლულ ტახს: მთელ აულში მარტო ეგ ხეთქავს წინასწარმეტყველ მაჰმადისგან შეჩვენებულ ღორის ხორცს. ან აი სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარს, — კი, პატივსაცემი კაცია, მაგრამ რატომღაც ჰაჯი-ბექირი უქნარად, მესუფრიად, თითქმის მუქთამჭამელად მიუჩნევია და გადაჰკიდებია, მაგ შენი უბადრუკი სამუშაოსთვის ბეჭდიანი ქაღალდი აიღეო. აბა სადაური ბეჭდიანი მესაფლავეა ჰაჯი-ბექირი! თანაც სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარი ჩვეულებისამებრ ისე მიიჩქარის, თითქოს სადღაც ხანძარი გაჩენილა. განა ასეთ კაცთან პურისჭამა შეგერგება? მისი სტუმრობის პატივის რა ღირსია ან ის საცოდავი კაცუნა, დალაქი ადამი, ფეხუცა კუზიანი, აგერ მისკენ რომ მოდის, უკან ჯგროდ მოსდევენ ყაჩაღანა ბიჭები და ემანჭებიან? მესაფლავემ ერთი შეუბღვირა — და ბიჭუნები შედგნენ; მესაფლავემ ერთი შეათამაშა ულვაშებივით წარბები — და ბიჭუნებს თითქოს მიწამ პირი უყოო, მოსახვევშიღა მოისმა გაქცეულთა ფეხების ტყაპატყუპი.

— რას მერჩიან! — შესტირა ადამმა, ხერხის ღრჭიალივით გაისმა მისი გაჭყივანი ხმა. — განა რას ვუშავებ!..

— შენც ყურადღებას ნუ მიაქცევ.

— არკი ვაქცევ, მაგრამ ეგენი... გამარჯობა, ჰაჯი-ბექირ! — გონს მოეგო ადამი, გაახსენდა, რომ ჯერ სალამი არ ეთქვა.

— გაგიმარჯოს, ადამ. რასა იქმ? ვისი ქალის დანიშვნას აპირებ? — ჩაიცინა ჰაჯი-ბექირმა.

იცოდა, რომ საცოდავი დალაქი აგერ უკვე ათი წელია ამაოდ დაეძებს ცხოვრების თანამგზავრს შუბურუმსა თუ ახლომახლო აულებში. თვითონ მესაფლავე ამ ორი წლის უკან დაქორწინდა და ძალიანაც ემადლიერება ცოლს, მზრუნველი, მორჩილი დედაკაციაო. არა მგონია, ჰყვარებოდა ხევა, ოღონდ უკვე ისე შეეჩვია, როგორც თავის სამუშაოს, ის კი არა და მოწყენილიც კი იყო, როცა ცოლს სადმე წასვლა მოუხდებოდა. ჰაჯი-ბექირი ისედაც არ იყო მაინცადამაინც ენაწყლიანი — აულში დაცინვით იტყოდნენ კიდეც, მესაფლავესავით ლაქლაქაო, — ცოლთან საუბარი, მით უმეტეს ფიქრის გაზიარება ან რჩევის კითხვა ხომ მთლად უკადრის საქციელად მიაჩნდა. არა, ხელობა უთუოდ თავის კვალს აჩნევს ადამიანის ხასიათს. ან იქნებ ხელობას ხასიათის მიხედვით ირჩევენ?

ჰაჯი-ბექირი ზიზღნარევი ღიმილით მისჩერებოდა ადამს.

— ახლა გაუთხოვრებზე აღარც კი ვოცნებობ, — ამოიოხრა ადამმა, — ნეტავი ქვრივი დამთანხმდებოდეს. არ დამიჯერებ, ძვირფასო ჰაჯი-ბექირ, რა სევდისმომგვრელია ქოხში მარტოკა ცხოვრება: არც ცეცხლი ანთია კერაზე, არც კარდალა ჰკიდია ცეცხლზე... ხმის გამცემიც კი არავინა მყავს.

— სიცოცხლე კი მიდის და ყოველი დღე სამარეს გვიახლოებს!

— მაშ-მაშ, სიცოცხლე მიდის, ახლობელი ადამიანი კი არა ჩანს.

— მებრალები, ძვირფასო ადამ. ხალხი გულქვა შეიქნა.

— არა, გულქვაობა რა შუაშია, — მიუგო დალაქმა. — უბრალოდ არ იციან, რანაირად შევიყვარებდი, რანაირად გავალმერთებდი იმ ქალს, ვინც ჩემს ქოხში ფეხს შემოდგამდა, რა თვალისჩინივით მოვუვლიდი, თავს შემოვევლებოდი! იცი, რამდენი სინაზე დამგროვებია გულში, ძვირფასო ჰაჯი-ბექირ!

და კუზიანმა სევდიანად გაიქნია კომბალა თავი, კვლავ ამოიოხრა და კვლავ გააგრძელა ლაპარაკი, — ვეღარ და ვეღარ გაჩერებულიყო იმ ბულბულივით, რომელსაც არ ენაღვლება, ვის უგალობს — მუხის ჯირკს, აყვავებულ მდელოს, დაღვრემილ კამეჩს თუ აკუნტრუშებულ კვიცს:

— სიმართლე თუ გინდა, ძვირფასო ჰაჯი-ბექირ, მარტოკა უნდა იყო ადამიანი, რომ ქალი დააფასო. ზოგჯერ სიზმრად მომევლინება ხოლმე მშვენიერი უცნობი ქალი და ისე კარგად ვგრძნობ თავს, თითქოს სანთელი ამინთესო. არც შირინივით მშვენიერია და არც ლეილივით, მაგრამ ვერც მას შეამკობ უბრალო სიტყვებით:

არც ტანკენრობა მიყვარს მისი, არც სილამაზე,
არც მაყვალივით თვალ-წარბი და ეშხიანობა, —
შემყვარებია სულიერი მშვენება ნაზი,
ჩურჩულით თქმული საალერსო სიტყვებით ტკბობა.

როცა დალაქი ლექსს ამბობდა, ხმაც უფრო ტკბილი და თითქმის მჟღერი გაუხდა.

— ოჰო, პოეტი ყოფილხარ!

— არა. ეს სტრიქონები სხვისი ხურჯინიდანაა. პოეტებს თუ კითხულობ, ჰაჯი-ბექირ?

— მე მათთან არაფერი მესაქმება, იმათ კიდევ — ჩემთან...

— მშურს პოეტებისა! რაც არ უნდა მახინჯი იყოს პოეტი, ქალებს მაინც უყვართ ხოლმე. ზოგი ადამიანია, გარედან კოკროჭინა კაკალსა ჰგავს, შიგნით კი ფუყეა. პოეტი კი ისეთი კაკალია, თავისი სურნელოვანი გულით კაცს რომ მოარჩენს!

რაკი ფული ჯიბეში ედო, მოლას სული ელეოდა, მალე აღესრულებინა წესჩვეულება და ჩქარა გასცლოდა აქაურობას. ძველი გამოცდილება უკარნახებდა: ნუ დაელოდები, რა ამოვა შენს დათესილზე, ტყუილად ხომ არაა ნათქვამი — რასაც დასთეს, იმას მოიმკიო!

თავდაპირველად ხევას მშობლებს ეწვივნენ. ჰაჯი-ბექირმა, როგორც მთიელს შეშვენის, მოწიწებით მოიდრიკა თავი და პატიება სთხოვა სიდედრ-სიმამრს, მერე ხევას მოუხადა ბოდიში, თუმცა დათუთქული ხორხი ისე ტკიოდა, ერთი სული ჰქონდა მათრახით აეჭრელებინა ცოლი. მაგრამ რას იზამდა? თავი უნდა მოესაწყლა. „მათრახის დროც მოვა, — ფიქრობდა ჰაჯი-ბექირი, — ჯერ დამიბრუნდეს". შაჰნაზარი ენად გაიკრიფა და მოჰყვა, თუ რა საშინელი სასჯელი მოელით საიქიოში ურჩებსა და ჯიუტებს, რამეთუ თქმულა, რომ ქვაბს მჭვარტლი მოყვება, სიავეს — სიავე, კიდევ თქმულა, რომ სიკეთე კაცს ააშენებს, სიავე კი დააქცევს. ერთი სიტყვით, ენა არ გაუჩერებია; იმდენი იქადაგა, წვერი სულ ალმა-დალმა უხტოდა და უცანცარებდა. ბოლოს ხელიც ჩამოისვა ზედ, თითქოს შეაქოო, და ქადაგების დასასრულს არაბულად წარმოთქვა ყურანის სურა, რაც ვერავინ გაიგო და ამიტომაც უფრო მეტად დაფრთხნენ. თავის სიცოცხლეში პირველად გაბედა ხევამ შესიტყვება, მაგრამ მშობლები არ მოეშვნენ და ისიც დაყაბულდა.

სამივენი ადამის ქოხისკენ გაემართნენ.

ჯოგი უკვე დაბრუნებულიყო აულში, ბინდბუნდი იდგა, სახურავებიდან კვამლი ამოდიოდა, სარკმლებში შუქი კიაფობდა. ბალღებსაც მიეტოვებინათ ქუჩა და ვახშმად გაკრეფილიყვნენ. ადამის ქოხი განმარტოებით იდგა აულის განაპირას, თითქოს ხალხისთვის რაღაც დაუშავებია და გაურიყავთო. ქოხთან იმ სოფლის ერთადერთი ხე ხარობდა; განა ჭერმისა, ქლიავის ან ვაშლისა — ერთი უბრალო ალვის ხე იყო. მოხუცთაგან არავის ახსოვდა, რომ ოდესმე ვინმეს ჩამოეტანოს აულში ასეთი უსარგებლო ნერგი. თუ ვინმე იკითხავდა, ეს ალვის ხე საიდან გაჩნდაო, მხოლოდ ხელებს გაშლიდნენ და თვალებს ზეცაში ალაპყრობდნენ, თითქოს ქარაგმულად ამბობდნენ, ამ საქმეში თვით ალაჰის ხელი ურევიაო. ჩაბნელებული ქოხი საცოდავად გამოიყურებოდა. ადამი ხმელა პურზე გადადიოდა, კერაზე ცეცხლს არ ანთებდა, ვახშამს არ იკეთებდა. სოფლის დალაქი გაჩენის დღიდან არ ყოფილა ქალაქად — შემთხვევა არ ჰქონია — მაგრამ გულმოდგინედ კი გამოჰკითხავდა ხოლმე სხვებს იქაურობის ამბავს. ადამს ყველაზე მეტად ის ჰგვრიდა აღტაცებას, რომ იქ თურმე შეგიძლია შინ არაფერი დაამზადო, სადმე წახვიდე, ფული გადაიხადო და მიირთვა, რაცა გსურს — ქათმის აჭრია, რძის ან ლობიოს შეჭამანდი, ხოლო მეორე თავ კერძად — ნაკვერჩხალზე შემწვარი ხორცის კარგა გვარიანი ნაჭერი, ანდა ოსპის ფლავი. სამოთხეა და ეგ არის, ღმერთმანი! რარიგ უნდოდა ადამს იქ დასახლებულიყო, სადაც საუზმეც არის, სასტუმროც, კლუბიც და ყოველ საღამოს (ეგ კი არა, ამბობენ, დღისითაცო!) კინოსურათებს აჩვენებენ. ოღონდ აი მარტოკას კი არ უნდა გადასახლება, თან ეშინია და თან თანასოფლელების მოშორებაც ეძნელება: ავია თუ კარგია, ადამი კი შეეჩვია და. ეგ არის, მხოლოდ ბრაზობს, ჯიუტ შუბურუმელებს რომ არ სურთ ამ თავისი პიტალო კლდეების მიტოვება და ზღვის პირას გადასახლება. როგორც ყოველთვის, ადამი დღესაც ადრე დაწვა დასაძინებლად; უნდოდა მალე დაევიწყებინა **თავისი სიმარტოვე**, გული გაერთო ტკბილი ოცნებებითა და საამო სიზმრებით,

როცა აგრე ხარბად ჰკოცნიდა გასათხოვარ გოგოებს და ქვრივებსაც, ჰკოცნიდა და ბედნიერი იყო! ეს ბედნიერება ალაყაფზე რახუნმა დაუფრთხო. ჯერ იფიქრა, ესეც მესიზმრებაო, მაგრამ ისე დაჟინებით და მაგრად არახუნებდნენ, სიზმარში რომ არ არახუნებენ ხოლმე. ჩათბუნებულმა, ნამძინარევმა ადამმა ჰაიჰარად ჩაიცვა, ფეხი ფოსტლებში გაუყარა და ალაყაფისკენ გაემართა; მიდიოდა და ეჩვენებოდა, რომ იგი ადამი კი არა, ხალხური ზღაპრის გმირი ფალდაქუჩია, ვისაც აი ასევე მიურახუნეს ერთ ღამეს და, როცა ფალდაქუჩმა ალაყაფი გააღო, იქ დახვდა შავთვალა, შავნაწნავა მზეთუნახავი და უთხრა: „შენ მიხმე სიზმრად და მეც მოველო“.

როგორც იქნა, ღრჭიალით გაიღო ალაყაფი. დალაქმა იცნო ნაგვიანევი სტუმრები, და, გაოცებულმა, ქოხში შეიპატიჟა ისინი. როცა ნავთის ლამპა აანთო, მოსულებს თვალწინ წარმოუდგათ აყრილ-დაყრილი, მიულაგებელი და უსუფთაო ოთახი. ძლივს მონახეს დასაჯდომი ადგილი.

მოლა და მესაფლავე ერთმანეთს არ აცლიდნენ, ხელების ქნევით უხსნიდნენ ადამს, რას მოითხოვდნენ მისგან. მალე კუზიანს თავგზა აებნა: შარიათის წესებში გაუწაფავსა და ჯერაც გამოუფხიზლებელს, ვერაფერი გაეგო. ბოლოს იფიქრა, ყველაზე კარგი ის იქნება, თუ ყველაფერზე კვერს დავუკრავ, რასაც ეს დარბაისელი ხალხი მეუბნებაო; და როცა ჰკითხეს: აბა, რას იტყვიო, მანაც დინჯად დაუქნია თავი და მიუგო: ყველაფერი გასაგებიაო!

ყოველი შემთხვევისათვის შაჰნაზარმა და ჰაჯი-ბექირმა რამდენჯერმე კიდევ გაუმეორეს ყველაფერი, შემდეგ კი მოლა შეუდგა ჯვრისწერას. მან გვერდიგვერდ დასვა შეუხედავი ადამი და წარმოსადეგი ხევა — სწორედ ისე, როგორც ამ ორი წლის უკან გვერდიგვერდ დასვა ხევა და ჰაჯი-ბექირი.

— რა გქვია? — იკითხა მოლამ და კრიალოსნის მარცვლას თავი ანება.

— დამცინი, თუ რა ღმერთი გიწყრება? — გაჯავრდა ხევა. — არ იცი, რა მქვია?! დღეს არ იყო, ხინკალი რომ გაჭამე?!

ხინკლის ხსენებაზე მესაფლავეს კვლავ დაუარა ყელის ტკივილმა, დაიღმიჭა და გადააფურთხა. შაჰნაზარმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. აღშფოთებულმა ხევამ კი ხელი ხელს შემოჰკრა:

— ვაჰარაი! არც კი რცხვენია, ამოდენა კაცია და ტყუის! — ხევა ადამს მიუბრუნდა: — გესმის, უარზეა, დღეს რომ ხინკლით გავუმასპინძლდი...

— უარზე არა ვარ, — მიუგო შაჰნაზარმა. — გთხოვ, ნუ მაწყვეტინებ და მიპასუხე, როცა გეკითხები. ასეა საჭირო.

— უპასუხე, რასაც გეუბნებიან! — ჩაერია ჰაჯი-ბექირი.

— შენ კიდევ ბრძანებებს თავი გაანებე, ჩემი ქმარი არა ხარ! — შეაწყვეტინა ხევამ და თვითონვე გაუკვირდა თავისი უკმეხობა. ალბათ ჯერ ისევ არ განელებოდა დაუმსახურებელი განაწყენება.

მოლამ აღარ აცალა ჰაჯი-ბექირს ხმის ამოღება, ერთხელ კიდევ აუხსნა ხევას, შარიათის წესი დარბაისლურად და კეთილსახიერად უნდა შესრულდესო.

— აბა, რა გქვია, ქალო?

— ხევა მქვია! ხე-ვა!

— თანახმა ხარ გახდე ცოლი ამ კაცისა, მორჩილად რომ გიზის გვერდით?

მოლამ ადამზე მიუთითა. კუზიანი ხარბი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ხევას და თვალი ვერ მოეწყვიტა.

— არა, — უთხრა ხევამ.

— ეგრე ნუ ამბობ, შვილო ჩემო... დრო ყველას ძვირად გვიღირს! — რაც შეიძლება დატკბა შაჰნაზარი.

— ჰო-თქო, უთხარი, შემოგევლე! — ამოიღუღღუღა ადამმა.

— კარგი, ჰო!

— გეყვარება თუ არა, შვილო ჩემო, ეს კაცი კუბოს ფიცრამდე? — კვლავ ჩაეკითხა მოლა.

— რაებს ამბობ? — აწრიალდა ჰაჯი-ბექირი. — ეგ სადაურია? ხვალ ჩემთან უნდა დაბრუნდეს.

— ხელს ნუ მიშლი, ასეა საჭირო! მიპასუხე, შვილო ჩემო!

— არა. ესე იგი, ჰო...

ხევა დაღალა ამ გაჭიანურებულმა ამბავმა.

— კეთილი, შვილო ჩემო! შენ რაღა გქვია? — მიუბრუნდა მოლა დალაქს.

— რაო? — კუზიანი ერთბაშად ვერც მიხვდა, მას თუ ეკითხებოდნენ.

— რა გქვია-მეთქი, გეკითხები.

— მე?

— რაკი შენ გეკითხებიან, რა თქმა უნდა, შენ.

— მე ხომ ძაღლიც კი მიცნობს...

— სახელი, შენი სახელი!

— ადამი. მაგრამ ეგრე არავინ მეძახის.

— მაგას არ გეკითხები. თანახმა ხარ თუ არა გახდე ქმარი ამ ქალისა, გვერდით რომ გიზის და მორჩილად თავი დაუხრია?

— აბა არა!

— გეყვარება თუ არა კუბოს ფიცრამდე?

— დიახ. საიქიოშიც მეყვარება.

— მაშ წინასწარმეტყველი თანახმაა, რომ ცოლ-ქმარი გახდეთ! — განაცხადა მოლამ.

— ო, გმადლობთ შენ, წინასწარმეტყველო! — აღაპყრო ადამმა ხელები გამეურული ჭერისკენ.

შაჰნაზარმა ლოცვა წაიბურტყუნა და ხევას მიუბრუნდა:

— შენ მიატოვებ მას, როგორც კი გეტყვის იმ სიტყვებს, ამ დილით რომ შენმა ყოფილმა ქმარმა გითხრა. გაიგე?

— გავიგე, — მორჩილად მიუგო ხევამ.

— აბა, საქმე მოგვარდა, ვასალამ-ვაქალამ! გზას უნა გავუდგე. შენ კი, ჰაჯი-ბექირ, შინ გასწი.

— ჰო, ჰო! — თქვა ჰაჯი-ბექირმა და წამოდგა. კუზიანს გაუღიმა, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: — აბა, შენ იცი, ადამ! — თან მუქარით თითი დაუქნია.

— ჰაჯი-ბექირ, ძვირფასო, არხეინად იყავ, სანამ სული მიდგას, ამ სიკეთეს არ დაგივიწყებ. გმადლობთ, სიტყვა რომ შეასრულე, ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ!

— რა სიტყვა?! — გაუკვირდა ჰაჯი-ბექირს.

— დღეს რომ მეფიცებოდი, ჩემს გოგოს მოგათხოვებდიო. ჰოდა, რაკი გოგო არა გყავს, შენი ცოლი მომგვარე. მართლაც კეთილი კაცი ხარ! — აღტაცებით უთხრა ადამმა, სტუმრებს რომ აცილებდა. კართან კი ხევას მიუბრუნდა: — შენ

კი, შემოგევლე, ვახშამი მოამზადე, კარგი ვახშამი, ხომ უნდა აღვნიშნოთ ეს დღე!

— რა საზიზღარი ხმა გაქვს, — ჩაიბუტბუტა ხევამ.

— ხმა რა ბედენაა, შემოგევლე! მამალი იხვი უშნოდ ყიყინებს, სიყვარული კი ნაზი იცის.

— ერთი ამას უყურე, როგორ ლაპარაკობს, მართლა ქმარი არ გეგონება! — გაეცინა შაჰნაზარს.

— მერე რა მოხდა? — მხიარულად მიუგო ადამმა.

— მიდი, მიდი! — უთხრა ჰაჯი-ბექირმა. იგი კმაყოფილი იყო, ყველაფერი რომ მოგვარდა. მერე მოიხედა და დაურთო: — აბა შენ იცი, ხევა, თავი არ დაა-ჩაგვრინო.

— ეგლა მაკლია! — ჩაიბუზღუნა ხევამ, თან კერაზე ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა. — მეყოფა ჩაგვრა, ყელთამდე სავსე ვარ...

— რატომ უნდა დავჩაგრო?! — გააბა ადამმა. — სულ ხელისგულზე ვატარებ!

მოლას და მესაფლავეს სიცილი წასკდათ, როცა წარმოიდგინეს ჩია კუზიანის ხელისგულზე წამოსკუპებული ხევა. მოდი და ნუ გაიცინებ ამისთანა ხუმრობაზე.

მხოლოდ ხევა იყო დაღვრემილი. მუდამ ხმაამოუღებლივ, უდრტვინველად ასრულებდა ყველაფერს, რასაც მშობლები უბრძანებდნენ; მერე გათხოვდა და აკეთებდა ყველაფერს, რასაც ქმარი უბრძანებდა და რაც უნდა ეკეთებინა, მისი აზრით, ცოლს: რეცხდა სარეცხს, წველიდა ძროხას, ამზადებდა კერძს, ალაგებდა სახლს, შლიდა ლოგინს, ლესავდა საჭრეთელს, რომ მერე ქმარს ჩუქურთმები და წარწერები ამოეკვეთა საფლავის ქვებზე.

ადამმა სტუმრები ჰაჯი-ბექირის ქოხამდე მიაცილა. შაჰნაზარი ცხენზე აბობღდა; აქ მოლამ პირველად შეამჩნია, რა საუცხოო კრაველის ფაფახი ეხურა დალაქს. სიხარბისაგან ხმაჩახლეჩილმა, მაშინვე სთხოვა, მომყიდეო. მაგრამ მადლიერმა და გულუხვმა კუზიანმა შესთავაზა, გავცვალოთო; თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მოლას ფაფახი იყო მაინცდამაინც გაქუცული.

კმაყოფილი შაჰნაზარი ღამეს შეერია, თან მიღიღინებდა: „კარგია, როცა ყველაფერი კარგადაა, როცა მზე ანათებს; კარგია, როცა ცაზე მთვარეა; კარგია, როცა ჯიბეში ფული გიდევს! ლაღად მიაბიჯებ, ლაღად სუნთქავ, ადვილია ჭკუის გამოჩენაც, როცა ფული გაქვს!..“

დალაქი კი გაეშურა სოფლის მაღაზიისკენ, რათა ვახშმად ეყიდა ისეთივე ბოცა, დღეს ჰაჯი-ბექირს რომ დაუნახა ხელში: გამოუცდელი გახლდათ და ეგონა, კაცმა ცოლს აუცილებლად თეთრი გეჯუხური ღვინო უნდა დაალევინოსო.

ხოლო როცა ბოცით ხელში შინ დაბრუნდა და კარი შეაღო, გახევდა, თვალებს არ დაუჯერა: ოთახი მილაგებული იყო, სისუფთავე, სიმყუდროვე და სითბო სუფევდა, კერაზე მხიარული ტკაცატკუცი გაჰქონდა შეშას, კედლებზე ოქროსფერი ალი ლიცლიცებდა, ცეცხლზე იდგა ქვაბი, ხოლო კერასთან ხევა მიმჯდარიყო და ოსპის შეჭამანდისთვის საკმაზს ამზადებდა. გარეტებული იდგა კუზიანი ზღურბლზე, გადაბიჯება ვერ გაებედნა. „აი თურმე რა ბედნიერება ყოფილა ქალი ოჯახში“, — ფიქრობდა მოჯადოებული.

— რას გაჩერებულხარ? შემოდი! — უთხრა ხევამ.

და ადამი ოთახში შევიდა.

გოდეკანი

ხოლო ჰაჯი-ბექირი, დრო რომ მოეკლა, მაშინვე დასაძინებლად დაწვა. მაგრამ ქოხში უჩვეულო სიჩუმეს დაესადგურებინა, გვერდით აღარ ესმოდა ხევას სუნთქვა, ოთახი ცარიელი იყო და მყუდროება აღარ იგრძნობოდა. მესაფლავემ დიდხანს იტრიალა შამფურივით, მერე ველარ გაძლო, ადგა, ტანთ ჩაიცვა, გულმოსულმა გადააფურთხა, გუნებაში სახვალიოდ ხევას გვარიანი გამათრახება აღუთქვა, მანამდე კი, დროის მოსაკლავად, სოფლის გოდეკანზე გაემართა. ეს ის ადგილი იყო, სადაც სოფლელები სამასლაათოდ თავს იყრიდნენ, აქ უზიარებდნენ ერთმანეთს ახალ ამბებს, ერთად ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა ხდებოდა შუბურუმში, დაღესტანში, მთელ დედამიწის ზურგზე და, ასე გასინჯეთ, კოსმოსშიაც კი.

მიაბიჯებდა ჰაჯი-ბექირი ბნელ შუკებში, აქა-იქ რომ გაენათებინა ქოხების სარკმლებიდან გამოსულ მბჟუტავ შუქს, მიალაჯებდა და ქვებს მიაჩხრიალებდა, ხანდახან ფეხსაც წაჰკრავდა, მაგრამ ეს მისთვის ჩვეული, ნაცნობი რამ იყო; არასოდეს უფიქრია, რომ შეიძლება სხვაგვარი ცხოვრება, რომ სადღაც არის გაჩახჩახებული ქუჩები, მოასფალტებული გზები, ბაღები და პარკები, კინოთეატრები, კონცერტები, გამოფენები. ვიდრე ადამიანმა ფორთოხლის გემო არ იცის, ის სტაფილოსაც სჯერდება. აულში ბევრს ეგონა, კარგად ვცხოვრობთო — ჰქონდათ პური, ეცვათ, ემოსათ, ჰყავდათ თხებიც და ცხვრებიც. საუკუნეებს შეეძლო გადაევლო შუბურუმის თავზე, და მაინც ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა. იმაზე უარესი არაფერია, როცა ადამიანი არხეინადაა, როცა აღარ აქვს ცნობისწადილი, დაეკარგება შემართება და კადნიერება, ფიცხი უკმაყოფილება საკუთარი თავითა და სხვებით, — მაშინ ადამიანი ბერდება, ქონი და სიზანტე ერევა, ნახევრად მცენარეს ემსგავსება, მხოლოდ სითბოსა და საკვებს რომ სჯერდება.

შუბურუმის გოდეკანი მყუდროდ მიყუჟულა სოფლის მონადირის ყარა-ხართუმის ბანის ქვეშ. მოგეხსენებათ, მთიელთა ქოხის მეორე სართულს ბოძებზე შეყენებული ბანი არტყია. აი ამ ბანის ქვეშ კი ქვები და მორები ყრია, სადაც სხდებიან ხოლმე მოსაუბრენი. თუ მონადირე შინაა, პირველი სართულის სარკმელში ნავთის ლამპას შემოდგამს. შუბურუმში ჯერ არაა კლუბი, თუმცა სოფელმა მრავალჯერ გადაწყვიტა, კლუბი ავაგოთო. ჰოდა, სხვა რა გზა აქვთ, ისევ გოდეკანს სჯერდებიან. ხოლო როცა ათასში ერთხელ კინოსეანსს ან ლექციას უტარებენ, ხალხს მეჩეთში შეჰყრიან ხოლმე; თუმცა შუბურუმელები არც ჩივიან: გოდეკანზე იყრიდა თავს მათი მამა-პაპა და ამიტომაც აქ ყველაფერი გულს უხარებდა შვილთაშვილებს.

დღეს აქ ბევრი ხალხი იყო. თოვლიან დიულთი-დაღას ძირას შეყუჟულ მთის აულში საღამოობით ცივა და ხალხი შეფუთნულა, მეტწილად გრძელსახელოებიანი ტყაპუჭები აცვიათ. ყველაზე საპატიო ქვაზე ხმელ-ხმელი მოხუცი ალი-ხოჯა წამოჭიმულა. ძველად ალი-ხოჯა წითელი პარტიზანი ყოფილა. აულ მაჯალისთან თურქებს რომ შეტაკებიან, მარჯვენა ხელის ცერი იქ დაუკარგავს, მაგრამ ზოგჯერ ახლაც ავიწყდება ხოლმე დაკარგული თითი და რომ წამოიძახებს: „აი ასეთიაო!“, უცერო ხელს გამოსწევს. ალი-ხოჯა ახალი ცხოვრების მხურვალე მოქადაგე იყო. პირველი ის გახლდათ, მთა რომ დასტოვა და

საერთო-სახალხო მშენებლობას მიაშურა ბარში, როცა ოქტომბრის არხს თხრიდნენ კასპიის გვალვიანი მიწების მოსარწყავად. მაგრამ დრომ თავისი ჰქნა და ისიც მიყუჩდა, დაცხრა და გამოიფიტა ამ არხეინი, თავისი თავით კმაყოფილი შუბურუმელების გვერდით, სოფლის უბრალო ლაზღანდარა გახდა. ალი-ხოჯას დაუცხრომელი მოქიშპე ბებერი ხოჯა-ალია, ვისი აზრიც, რაც თავი ახსოვს, არასოდეს გაუზიარებია ალი-ხოჯას. ალი-ხოჯამ რომ თქვას, ეს თეთრიაო, ხოჯა-ალი მაშინვე იყვირებს: ტყუილია, შავიაო! და ვერავითარი შუამავალი — მასლიჰათჩი ვერ შესძლებს მათ მორიგებას. თუმცა ხოჯა-ალი გოდეკანზე არ ჩანს და საუბარიც ჩვეულებრივზე უფრო წყნარად და დინჯად მიედინება: ქვევით, ბარში გადასახლებაზე საუბრობენ. ალი-ხოჯას ვერ მოუნელებია, დილით რომ ვერ შესძლო თავყრილობაზე მისვლა.

— მე ვყოფილვარ ბარში, — ამბობს ის, — მინახავს, რა სოფელი გააშენეს ჩვენმა მეზობლებმა. შეიძლება ითქვას: ძლივს იქცნენ ადამიანები ადამიანებად. იმოდენა ვენახები აქვთ, მთელი დღე მანქანით რომ იარო, ვერ შემოივლი. ყველა სახლშია წყალი, კანალიზაცია, სისუფთავე, სიმყუდროვე, ფანჯარაში ხეები იცქირებიან, ჩიტები ნაირ-ნაირ ხმაზე ჭიკჭიკებენ... ყველა ოჯახში კინოა.

— რა კინო? — იკითხა ვიღაცამ და კეფა მოიქექა.

— სახელად ტე-ლე-ვი-ზო-რი. იწექი შენთვის დივანზე და უცქირე, რა ხდება აფრიკაში, ამერიკაში, მახაჩკალაში, მთელ ქვეყნიერებაზე...

— მთელ ქვეყნიერებაზეო?!

— ჰო, მარტო ჩვენს აულს არ აჩვენებენ იქ. ეჰ, აფსუს, კრებაზე არ ვიყავი! ნახავდით, რასაც ვიტყოდი.

— უშენოდაც თქვეს! — მიუგო ცალთვალა რაჯაბმა, საწყობის გამგემ; მან ხელახლა აიშენა ქოხი და ახლა აღარსად არ უნდოდა გადასახლება. — არხეინად იყავი, ყველას ჰკითხეს, გინდათ თუ არაო!

— და შენ უთხარი, არაო?! ჰაი, შე დიდყურა ვირო! აბა რა ყრია ამ ქვებში? — ალი-ხოჯამ ირგვლივ მიმოატარა ხელი. — კი არ უნდა გკითხონ, კინწისკვრით უნდა გაგრეკონ აქედან.

— საბჭოთა ხელისუფლება იმისია, რომ გვკითხოს, — მიუგო რაჯაბმა, გაშალა გაზეთი და ქოხის საკრმლიდან გამოსულ ცრიატ შუქზე შეეცადა წაეკითხა.

— ვირს სამოთხეში ეწეოდნენ — ყურები დააგლიჯეს, უკან რომ მოათრევდნენ — კუდი მოაგლიჯესო. ჭკუა გაკლიათ! — მწარედ დაასრულა ალი-ხოჯამ. — ეჰ, რას გელაპარაკებით, ლიტონი სიტყვებით ქვეყანა ვის აუშენებია! გაზეთი ჩამომიხიე, თამბაქოს შევაბვევ.

სწორედ ამ დროს მოვიდა მესაფლავე ჰაჯი-ბექირი. ყოყოჩად კი მოირწეოდა, მაგრამ თან გული უსკდებოდა: ვაითუ უკვე იციან, რაც დამემართაო. მაგრამ, ეტყობოდა, არავინ არაფერი იცოდა. ჰაჯი-ბექირმაც თავაზიანი სალამი უთხრა იქ მყოფთ და რაჯაბს მიუჯდა გვერდით.

— რას ჩაგირგავს ცხვირი მაგ გაზეთში, როგორც ცხენს თივის თოფრაკში? — გაუმეორა ალი-ხოჯამ. — ქალალდი მომეცი-მეთქი.

— დამაცა, ბატონო! ახალი ამბები წერია, — მოიშორა საწყობის გამგემ.

— ახალი ამბები არა, ის არ გინდა, ყველა ახალი ამბავი ვიცით.

— კიდევ გაფრენილა ადამიანი კოსმოსში, — ჩაურთო ისკენდერმა, სოფსაბჭოს მდივანმა.

— მერე რა, ადვილი შესაძლებელია, — კვერი დაუკრა ალი-ხოჯამ. — ჩემი თვალით მინახავს, იქ, ბარში, რანაირად ჩეკავენ წიწილებს უკრუხოდ. ჩვენს დროში მაგ ამბებით ვეღარავის გააკვირვებ.

ალი-ხოჯამ ქურქი გადაიწია, ჩოხის საქილედან ვაზნა ამოაძრო და ხელისგულზე გადმოიყარა... თქვენა გგონიათ, საფანტი? არა, ჩვეულებრივი თამბაქო. როგორც ხედავთ, ძველ ყალიბებშიც შესაძლო ყოფილა ახალი შინაარსის ჩადება.

— რაც არ უნდა იყოს, ატომის ხანაში ვცხოვრობთ! — დინჯად წარმოთქვა ყარა-ხართუმმა. ყველას გაახსენდა ამას წინ — ხუთი თვის უკან ატომზე ჩატარებული ლექცია, შუბურუმელებმა რომ ვერაფერი გაუგეს, მაგრამ ერთსულოვნად თავი უკანტურეს ლექტორს. მხოლოდ ხოჯა-ალიმ ითხოვა შეკითხვის ნებართვა. „ყველაფერი გასაგებია! — თქვა მან. — ოღონდ ერთი რამ ვერ გამიგია: რანაირად დებენ ბალიშა-კამფეტის გულში ხილფაფას“. ახლაც, ამის გახსენებაზე, ბევრს გაეცინა, ხოლო მოხუცმა ალი-ხოჯამ ყარა-ხართუმს ფაფახი ზედ თვალებზე ჩამოაფხატა და უთხრა: „ჰაიტ, შე ატომის ხანავ!“

სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე კი გოდეკანზე ყოველთვის ხანმოკლე და შფოთიანია, როგორც სამშობიარო სახლში, ვიდრე ახალშობილის პირველ ყვირილს გაიგონებენ.

— ვახ, ვახ, ვახ! — შეშინებულმა წამოიძახა ცალთვალა რაჯაბმა. — რა ამბები ხდება!

— რა გულს უხეთქავ ხალხს? — ალი-ხოჯამ დრო იხელთა და მაინც მოაგლიჯა გაზეთს კარგა დიდი ნახევი. — ისე გიკვირს, თითქოს მეხი დაგეცა თავზე! რა მოხდა?

— ოჰ, ცუდი ამბავია! რა გვეშველება, ხალხო?! — გააბა ცალთვალამ.

— მოიტა, წავიკითხო! — ყარა-ხართუმს უნდოდა გაზეთი გამოეგლიჯა ხელიდან, მაგრამ საწყობის გამგემ არ დაანება.

— აი, აქ, — მან ხელი დაატყაპუნა გაზეთზე, — წერია, რომ ქაფთარის კვალს წააწყდნენ...

— ვის კვალსო? — გაისმა შეშფოთებული ხმები.

— ქაფთარისა.

— ეგ რაღაა?

— რა მოგივიდათ, ხალხო, ქაფთარი აღარ იცით? ეს ხომ თ ო ვ ლ ი ს კ ა ც ი ა. გაზეთში წერია, თურმე პამირსა და ჩვენს მთებში უნახავთ.

— მოიცა, მოიცა, აქ მომეცი! — ყარა-ხართუმმა, როგორც იქნა, გამოგლიჯა გაზეთი ცალთვალა რაჯაბს და სარკმელთან მიჩოჩდა.

— მერე რა, ყველაფერი შესაძლებელია, — ჩაურთო ალი-ხოჯამ და შეხვეული პაპიროსის კიდეს ენა აუსვა. — ჩემი თვალით მინახავს, უკრუხოდ წიწილებს რომ ჩეკენ. გასაკვირი არაფერია.

— ქაფთარიო? ის ხომ არ იყო, წუხელ რომ ყვიროდა? — თქვა ჰაჯი-ბექირმა.

— ჰო-ჰო, მეც გავიგონე ყვირილი, — მხარი აუბა ყარა-ხართუმმა. — ისე ყვიროდა, ვიფიქრე, აქ ზვავი არ ჩამოწვეს-მეთქი!

გოდეკანზე შეკრებილნი შეჩოჩქოლდნენ, შეჯგუფდნენ. ამ ადგილებში, სადაც ხშირია ზვავი და ქვათაცვენა, სადაც ელვა ჰკლავს ადამიანებს, სადაც ყველაზე მცხუნვარე თვეშიაც კი დაუშენს ხოლმე ისეთი არნახული სეტყვა, რომ

მწყემსებს ნაბდებიც კი ვერ იფარავს, ამ ადგილებში იოლად იჯერებენ ყურმოკრულ ამბებს. ხოლო თუ გაზეთში წერია...

— მეც გავიგონე!

— მეც!

— ვითომ ქაფთარი ყვიროდა?! — დაეჭვდა ისკენდერი და ფაფახქვეშ თავი მოიქექა.

— ქაფთარიღა გვაკლდა, — მძიმედ ამოიხვნეშა ჰაჯი-ბექირმა.

— თოვლის ეშმაკი! სასწაულია! — წამოიძახა ცალთვალა რაჯაბმა, თითქოს ახლა გამოფხიზლდაო.

— მამაშენს კარგად ვიცნობდი. პაპაშენსაც ვიცნობდი, შენი პეპერასათვის თავი გადამიხოტრავს — ისეთივე ქაჯები იყვნენ, როგორიც შენა ხარ! — ჩაიცინა ალი-ხოჯამ და მაგრად მოქაჩა თამბაქო, ნესტოებიდან ბოლი გამოუშვა და თვალი გაკვირვებით მოავლო გოდეკანის შეფიქრიანებულ კრებას, ჩემს ხუმრობაზე რატომ არავინ გაიცინაო.

მაგრამ შუბურუმელები სიცილის გუნებაზე არ იყვნენ. პატარაობიდან უამბობდნენ მათ შემზარავ ზღაპრებს ქაფთარებზე, აშინებდნენ მარადიული თოვლის ამ შემაზრზენი ქაჯ-ეშმაკებით, რომლებიც, თუ მოიხელთებდნენ, ცოცხლად შეჭამდნენ მარტოხელა მგზავრს. და თუმცა ქაფთარი თავის დღეში არავის ენახა, შუბურუმელები იმ ძველი ზღაპრების მიხედვით მის გარეგნობასაც აგიწერდნენ. ვერ შეთანხმებულიყვნენ მხოლოდ ერთ რამეში: ადამიანია თუ ცხოველიო?

— ყვიროდაო, ამბობთ? — ახლაღა მოეგო გონს რაჯაბი, ვისაც ძალზე უყვარდა, როგორც მთიელები იტყვიან ხოლმე, ღია ჭრილობაზე მარილის დაყრა.

— მეც გავიგონე, განა! საშინელი ყვირილი იყო! ტანზე სულ ეკლები დამასხა, დილამდე თვალი არ მომიხუჭავს.

— სისულელეა! — შეაწყვეტინა ალი-ხოჯამ. — არაფერიც არ გამიგონია.

— შენ ზარბაზანიც ვერ გაგაღვიძებს, — უთხრა ყარა-ხართუმმა, — შენ თვითონ არ მიამბე, სამოქალაქო ომში მანასის საფეხურზე ცხვირწინ ამაწაპნესო ორთქლმავალი?!

მაგრამ ვერც ამ ხუმრობამ გააცინა ხალხი.

გოდეკანს რაღაცით აღელვებული ჰამზათი მოადგა, ალი-ხოჯას ძმისწული. ჰამზათმა შარშან დაამთავრა ვეტერინარული ინსტიტუტი და შუბურუმში გამოგზავნეს; ისიც ბედს დამორჩილდა, თუმცა სულ არ ეხალისებოდა აქეთ წამოსვლა.

— ადამიანის ფერი არ გადევს, რა მოგივიდა? — ჰკითხა სოფსაბჭოს მდივანმა ისკენდერმა.

— უბედურებაა! — ყრუდ მიუგო ჰამზათმა და ყველამ მისკენ იბრუნა პირი.

— რა მოხდა?!

— მგლებს შეუჭამიათ სანაშენო მოზვერი. წუხელ შეუჭამიათ. ამასაც სიცოცხლე ჰქვია რაღა, არაფერმა არ გამიმართლა აქ. თამბაქოს ვინ მომაწევინებს, მეგობრებო?

აულში პატივსა სცემდნენ ვეტერინარს, ამიტომაც ყოველი მხრიდან გაუწოდეს პაპიროსის გახსნილი კოლოფები. ისკენდერმა თავი ველარ შეიკავა და, ვისი კოლოფიც ახლოს მოხვდა, ერთი პაპიროსი ამოაცალა, თუმცა ჯიბეში სავსე კოლოფი ედო. ასეთი ხასიათი ჰქონდა და რა ექნა!

— ნეტავი შენ, სადარდებელი გაგჩენია, — მიუგო რაჯაბმა. — სულ ერთი

არაა! ბუღა ზორბა იყო, აქაური ძროხა კი ვირზე ცოტათი დიდი თუ იქნება. იმიტომაც ვერ მრავლდებოდნენ და იხოცებოდნენ. აქ, ძმობილო, უარესი უბედურებაა.

— რა მოხდა? რა თავ-პირი ჩამოგტირით ყველას?

— ყური მიგდე, თოვლის კაცი გამოჩენილა, ქაფთარი! მე თვითონ გავიგონე მისი ყვირილი და ჯერაც...

— გონს ვერ მოსულხარ?

— ნუ დამცინი, ჰამზათ, ხუმრობა ამბავია?! ერთიც ვნახოთ და აულში მივიდეს?!

— დიდი ამბავი, თუ ქაფთარმა ფეხისგულზე შეგიღიტინა.

— ჩვენს საწყობში რომ შეძვრეს? იქ კი... იქ კი საბუთები მიწყვია, ანგარიშები, ათასი რამერუმე. ჰა? ამაზე არ გიფიქრია?

— ძალიან კი სჭირდება შენი საბუთები!

— ეჰ, უშნოდ ხუმრობ, ჰამზათ! ერთიც ვნახოთ და საბუთებს ცეცხლი წაუკიდა გასათბობად? იმას რა ენაღვლება, მე კი, საწყობის გამგეს, სამართალში მიმცემენ.

ჰამზათს ჩაეცინა.

— ქაფთარი ცხოველია, მხეცია. ხოლო მხეცს ცეცხლისა ეშინია და არც ასანთის გაკვრა იცის. შენ ის გირჩევნია გვითხრა, რანაირად მოახერხე, შარშან ორი ცენტნერი ბრინჯა ვირთხებს რომ შეაწერე?! ხომ გაგიგონია: ქვაბი კი თავლიაა, მაგრამ კატასაც სინდისი უნდა ჰქონდესო!

— ვაჰ, მე თვითონაც გაშტერებას ვარ, რა ღორმუცელა ცხოველი ყოფილა ვირთხა. გამოგიტყდებით, ვერ მივატანე თვალი. ვაღიარებ, დამნაშავე ვარ...

— რაკი აგრეა, — ისარგებლა ალი-ხოჯამ მოხუცის უფლებით და ჩაერია (გოდეკანში წესი არაა შეპაექრებაში ჩარევა), — მოაგროვე, ძმაო, რაც აულში კატაა, და მოუარე კოლმეურნეობის ყველს.

— განა კატები ბრინჯას არ ჭამენ?! — გაუკვირდა საწყობის გამგეს.

ნიავივით გადაურბინა გოდეკანს სიცილმა.

— ჭამენ, ოღონდ მაგდენს არა, — უთხრა ჰამზათმა და საწყობის გამგეს მხარზე ხელი დაუტყაპუნა. — აი, მე სამეცნიერო ნაშრომისათვის თემას ვეძებ. ეს მსუნაგი შუბურუმელი ვირთხები ხომ არ შემესწავლა? რას იტყვით, ხალხნო?

— ეჰე, განა შეშვენის კაცს, სათვალე ეკეთოს და ეგეთ ცხოველს ყურადღება მიაქციოს?! — თავი ველარ შეიკავა ყარა-ხართუმმა. — შენ ის გერჩივნა, ჰამზათ, ქაფთარისათვის მოგეკიდა ხელი. აგე, გაზეთებშიც წერენ თოვლის კაცზე...

— კაცი არ არის-მეთქი, ცხოველია, — მიუგო ჰამზათმა.

— ვინც არ უნდა იყოს! ხელად საქვეყნოდ გაითქვამ სახელს, — გაიხარა რაჯაბმა, რაკი ხალხმა ყურადღება საწყობიდან სხვა საგანზე გადაიტანა. — მაშმაშ, მეცნიერი ჰამზათიო, ალი-ხოჯას მოდგმის აბდურაჰმანის ძე, აულ შუბურუმის მკვიდრიო! ხომ კარგად ჟღერს?

— მართლა ჟღერს, ხომ იცი! — წამოიძახა ყარა-ხართუმმა.

ხუმრობდნენ და ის კი არ იცოდნენ, რა ზუსტად მოახვედრეს ნიშანში. ჰამზათი კარგა ხანია ეძებდა სადისერტაციო თემას. უბრალო, ჩვეულებრივი თემა დიახაც არ აწყობდა. იგი ისეთ ამბავზე ოცნებობდა, ყველას რომ აალაპარაკებდა, სახელს მოუხვეჭდა და მისი წყალობით სამუდამოდ დააღწევდა თავს ამ მომაბეზრებელ შუბურუმს. მართლა რა დიდებული იქნებოდა დისერტაცია „ქაფ-

თარის, ეგრეთ წოდებული თოვლის ადამიანის წარმოშობის, ბიოლოგიური ფორმებისა და ქცევის თაობაზე“.

„მეცნიერებისათვის ეს ხომ გაუკვალავი გზაა!“ — ფიქრობდა ჰამზათი.

იმ საღამოსვე მოედო მთელ შუბურუმს თავზარდამცემი ამბავი, თოვლის ადამიანი გამოჩნდაო. როგორც ხედავთ, გოდეკანზე მხოლოდ ზღაპრები და ისტორიები კი არ იბადება, მხოლოდ სიმღერები კი არ იქმნება — აქ ჩნდება ხმები, ლეგენდები, ჭორები, მერე რომ ურყევად ირწმუნებენ ხოლმე მიამიტი შუბურუმელები.

ადამი და ხევა

შუბურუმში, როგორც მთის ყველა აულში, ადრე იძინებენ და ადრე დგებიან, მეტადრე შემოდგომით, როცა იმდენი გადაუდებელი საქმეა. აგერ, იყივლა მამალმა, აღმოსავლეთით, ასალამალეიქუმის მთების თავზე ცა აალისფერდა, ვაალაიქუმსალამის მთების თოვლით დაფარულ მწვერვალებს ნაზი მეწამული დაეფინა. აზმუვლდნენ ძროხები, მთიელმა ქალებმა რომ აულის ნახირში გარეკეს, აბღავლდნენ კამეჩები, გამაყრუებელ მოთქმას მოჰყვნენ სახედრები, აყეფდნენ ძაღლები. სვეტებად აღიმართა დილის კვამლი და შეერია გამჭვირვალე ღრუბლებს. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ კარგი დარი უნდა დამდგარიყო.

გამრჯე დიასახლისები ამ სისხამ დილით უკვე შინ ბრუნდებოდნენ ბალახით დატენილი ბოღჩებით, საიდანაც ნამგლებს გამოეყოთ ტარი. ტვირთისაგან წელში მოხრილი ქალები ძლივს მოდიოდნენ, მამაკაცები კი ქოხებთან იდგნენ და ერთმანეთს ეტრაბახებოდნენ: „ჩემსას შეხედე, ჩემსას, ყველაზე მეტი მოუკიდია! ცოლიც ასეთი უნდა!“

დიახ, აქ, მთის აულში, ყველაფერი ქალს აწვა კისერზე. განა იმიტომ, რომ აქ მანქანა ვერ გაივლიდა, ვერ მობრუნდებოდა, საპალნის სახედრებიც ცოტა ჰყავდათ, — არამედ ძველი ადათის გამოც. „სახედარი ოჯახში ზედმეტი საზრუნავია, — ამბობენ მთიელები. — რა საჭიროა? მადლი ალაჰს, ოჯახში გვყვანან ცოლები, დები, რძლები...“ და მთიელი ქალებიც პატარაობიდანვე ეჩვეოდნენ მძიმე შრომას, ფიქრადაც არ მოსდიოდათ აღშფოთებულიყვნენ ან გულისწყრომა გამოეთქვათ, იცოდნენ, „ყველა ასე ცხოვრობსო“. აქ, მთაში, ყველა მუშაობდა, რამდენიც შეეძლო, რამდენადაც ჰყოფნიდა ძალ-ღონე. სხვაგვარად არც შეიძლება: ზაფხული მოკლე იცის, მუშაობით ქანცი თუ არ გაიწყვიტე, ზამთარში გაგიჭირდება და თავბედს დაიწყევლი. სოფლის მაღაზიისა და სოფსაბჭოს, საავადმყოფოსა და სკოლის მოსამსახურეებს და კიდევ დალაქს ჰქონდათ მხოლოდ გარკვეული სამუშაო დღე, — დანარჩენებს ღამით თუ ეღირსებოდათ მოსვენება.

მარტო სოფლის მესაფლავე ცხოვრობდა აულში თავის ნებაზე: როცა მოეპრიანებოდა, მაშინ დაწვებოდა და, როცა მოეგუნებებოდა, მაშინ ადგებოდა. ბოლოს და ბოლოს ყოველდღე ხომ არ იხოცება ხალხი. ხოლო საფლავის ქვის ბლომად დამზადება არ ღირს, შემკვეთები რჩევასა და წუნიაობას დაიწყებენ. ეგ კი არა, იქნებ ცუდადაც ჩამოართვან: დახე, აულისთვის რამდენი სიკვდილი უნატრიაო.

თითქოს იოლი უნდა ყოფილიყო ხევასთვის ადამის ღარიბი ოჯახის მოვლა-პატრონობა: არც ძროხა ჰყავდა, არც ცხვარი, არც ქათამი, არც ძაღლი, კატაც

კი არ ეგლისებოდა ფეხზე დალაქის განმარტოებულ ქოხში. მაგრამ წამდაუწუმ უშეშდება ხელი, კერაზე დასამატებელი შეშა რომ უჭირავს, ან ჩვარი, კედლის თახჩაში მტვერს რომ წმენდს. უშეშდება ხელი და პირსახეზეც უცნაური, მორცხვი ღიმილი დასთამაშებს, თითქოს რაღაც უკვირსო. მხარს შეარხევს, შეკრთება, მიმოიხედავს ცარიელ ოთახში და ყვედრებით იქნევს თავს: ხევა, შენს თავს რაღაც ამბავიაო! და კვლავ ცეცხლი ეკიდება საქმეს მის მარჯვე, ლონიერ ხელებში. მერე ისევ ჩერდება და შეშდება. აი, აიღო სარკის ნამტვრევი (ამბობენ, ხარაზს ჩექმა არ აცვია და დალაქს ხეირიანი სარკე არა აქვსო), აიღო სარკე და შიგ გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით ჩაიხედა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ხევამ სასწრაფოდ დადო სარკე და მოტრიალდა.

— შემოდი, რას აკაკუნებ საკუთარი ქოხის კარზე, — გასძახა ხმამაღლა.

კარი გაიღო, მაგრამ ადამის ნაცვლად სოფლის ექიმმა აიშათმა შემოაბიჯა, ვისაც შუბურუმელთა ჯანმრთელობა აბარია. აიშათი გულმოდგინე, გულისხმიერი, ჭეშმარიტი მთიელი ქალია, ის ამბულატორიაში ექიმობს ავადმყოფებს, მკურნალობს ოთხსაწოლიან საავადმყოფოშიც, დადის ოჯახებში, როცა გამოიძახებენ, გამოუძახებლადაც მოინახულებს ხოლმე სნეულებს შინ. ერთი სიტყვით, მხოლოდ მოვალეობას კი არ ასრულებს, — თავისი საქმით სულდგმულობს და ფეთქავს ქალი. აი ახლაც მოირბინა განცალკევებით მდგარ ქოხში, ვაითუ ადამიანად შეიქნა, შინ კი არავინ ჰყავსო. აკი გუშინ უთხრა, ამბულატორიაში ხვალაც შემოიარეო. კუზიანმა არ შეიარა და შეწუხებულმა ექიმმა თვითონ მოუკაკუნა კარზე.

— ხევა?! — ალმოხდა აიშათს.

— ჰო... — დარცხვენით მიუგო ხევამ. ისინი კარგა ხნის ამხანაგები იყვნენ და ხშირად გაუკეთებიათ ხოლმე საქალებოში ხინკალი. სხვადასხვანაირად წარიმართა მათი ბედი: ხევამ მალე მიატოვა სკოლა, დედას ეხმარებოდა, მერე იმ უცხვირპირო ჰაჯი-ბექირს გაატანეს ცოლად; აიშათი კი მეცნიერებას დაეუფლა, ექიმი გახდა. დღემდე მხოლოდ ოცნებობს საქმროზე, ვინც არაჩვეულებრივი ადამიანი და, რა თქმა უნდა, არაშუბურუმელი იქნება. ჰოდა, ახლა, როცა ამხანაგები ერთმანეთს შეხვდნენ, ხევას გაუბედავად, თან მოკრძალებით ეჭირა თავი, იქნებ იმიტომაც, რომ აიშათი აულში დიდი ქალი გახდა.

— აქა ხარ?

— ჰო...

— აქ საიდან გაჩნდი?!

— დაჯექი, დაიკო, — წყნარად უთხრა ხევამ, გაიღიმა და აიშათს სახელოზე მოქაჩა. — რა ხანია მე და შენ ერთად არ ვმსხდარვართ. — ხევამ შეფაკლულ ლოყებზე მიიდო ხელისგულები. — დღეს ხომ სულ სხვანაირი ვარ? არა?

— ჰო... რა დაგემართა?

— ვაი, თქმისაც კი მრცხვენია. იცი რა... ერთი სიტყვით, გამათხოვეს.

— ვის გაგატანეს?!

— ადამს.

— რას ამბობ?! არაფერი მესმის. აკი ჰაჯი-ბექირის ცოლი იყავი!

— უჰ, ეგ გუშინ იყო! ყური დამიგდე...

ხევამ მოუყვა თავისი ამბავი. აიშათი უსმენდა, თან აღშფოთებას და გულისწყრომას გამოთქვამდა, ამბობდა, თუ ჰაჯი-ბექირმა ყელი დაიწვა, ამბულატორი-

იდან ექიმი უნდა გამოეძახებიაო; ისიც დაურთო — ჩემს სიცოცხლეში არ ვიფიქრებდი, რომ ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი (ჰაჯი-ბექირი მხოლოდ ოცდაათი წლისა იყო) ასეთი ყეყეჩი იქნებოდა, ყველაფერი მესაფლავეობის ბრალიაო; ეგ კარგი, მაგრამ ადამი როგორიღაააო?

ექიმის ხმაში აშკარად გაისმა ცნობისმოყვარეობა.

ხევამ სულ მთლად დაირცხვინა.

— იცი რა, სულ სხვანაირია, სულ სხვანაირი...

— ადამიც სხვანაირია?! შენც?

— იცი რა, სულ არა ჰგავს ჰაჯი-ბექირს, მამაჩემს, ჩვენი აულის სხვა კაცებს.

— აი თურმე რა გინდოდა გეთქვა! რა თქმა უნდა, სხვანაირია. ავადმყოფია ეგ საცოდავი...

— ოჰ, აიშათ, მე სულ სხვას ვამბობ. იქნებ ჯანმრთელზეც უკეთესია! არა, ის სულ სხვანაირია.

— მაინც რანაირია, ხევა? უცნაურია, განა?

— იქნებ ცოტა უცნაურიცაა... იცი, მთელი ღამე, მთელი ეს ღამე სულ მელაპარაკებოდა, მელაპარაკებოდა, მელაპარაკებოდა...

— წარმოგიდგენია! დაიტანჯე ალბათ...

— არა! სრულიადაც არა... ჩამეძინებოდა, გამეღვიძებოდა, ისევ ჩამეძინებოდა, ის კი ჭიკჭიკებდა, ჟღურტულებდა, ღუღუნებდა.

— თუ გაიგონე მაინც, რას გეუბნებოდა?

ხევამ ისევ მიიდო ხელისგულები გავარვარებულ ლოყებზე და თავი დახარა.

— რა ვიცი, ნაირ-ნაირ... სიტყვებს...

— ოჰ, ხევა! — წამოიძახა გულშეღონებულმა აიშათმა. — მშობიარეს უფრო მალე აშობინებს ადამიანი, ვიდრე შენ სიტყვას ამოგათქმევინებდეს. იმ გაქვავებულმა საფრთხობელა ჰაჯი-ბექირმა ხომ სულ გადაგაჩვია ლაპარაკს.

ხევამ გაბრწყინვებული, გაოგნებული თვალები მიაპყრო მეგობარ ქალს.

— ნუ მიწყრები, დაიკო! — წყნარად თქვა მან. — გეტყვი... ისეთ სიტყვებს მეუბნებოდა, ბავშვობაში რომ გამიგონია.

— ბავშვობაში?!

— ჰო, დედაჩემისგან და მეტი არავისგან, გესმის, არავისგან არასოდეს. დამავიწყდა კიდეც. ახლა კი...

ხევა ერთბაშად წამოდგა, გაიმართა, ხელისგულები ჩამოისვა მკერდზე, თეძოებზე და წკრიალა, შეშფოთებული ხმით ჰკითხა:

— აი შენ მითხარი, სიმართლე მითხარი, ხომ არა მიშავს რა? ჯერ ხომ ისევ ლამაზი ვარ? ხომ?

— ძალიან ლამაზი ხარ, ხევა, — მიუგო აიშათმა ყოყმანით; ძალიან უნდოდა გაემხნევებინა, ენუგეშებინა დაქალი. ასეა ხოლმე გაზაფხულზე, როცა გაიფანტება ღრუბლები, მზე გაათბობს ტყისპირას მდგარ ტყის ქლიავს, ერთ ღამეში შეირხევა, ნამძინარევ თვალებს გაახელს კოკრები, გამოაჭიტებს ნაზი, ვარდისფერი ყვავილის ფურცლები. ვინ მოინდომებს გაყინული სუნთქვით მოაშთოს ეს ნაზი სიტურფე? აიშათი შესცქეროდა ხევას და გრძნობდა, მართლაც სხვანაირი გამხდარიყო ქალი: უფრო უშუალო, ლაღი, მხიარული, ამაყი! აიშათის წინ იდგა ქალი, ერთბაშად რომ შეეგრძნო თავისი მომხიბვლელობა და ძალა.

— რა თქმა უნდა, მე არა ვარ შირინი, ვისი გულისთვისაც კლდე გააპო

ფარჰადმა; არც ლეილი, ვისაც ეძებდა და ვერ ჰპოვებდა მეჯნუნი, მაგრამ მე...

— შენ უკეთესი ხარ, შენ ხევა ხარ! — მოეხვია აიშათი, მიიზიდა, კვლავ კვერდით მოისვა ტახტზე.

— ტყუილი გითხარი, აიშათ, — ამბობდა თვალებგაბრწყინებული ხევა. — მარტო იმ სიტყვებს, დედაჩემის სიტყვებს კი არ მეუბნებოდა, ბავშვობაში რომ მსმენია. კიდევ ბევრი, ბევრი სხვა სიტყვა მითხრა, ჩემს დღეში რომ არ გამიგონია. არც კი ვიცოდი, ასეთი სიტყვები თუ არსებობდა...

— მითხარი, დაიკო! აბა გაიხსენე. ერთი-ორი მაინც გაიხსენე.

აიშათს ცნობისწადილი მოერია.

— მე სად შემიძლია ისე ლამაზად ლაპარაკი. თანაც პირველად მოვისმინე! კარგი, კარგი, შევეცდები გავიხსენო. დამაცა, დამაცა! მგონი, ასე იყო... — ხევამ ენის ბორძიკით წარმოთქვა: — იმით კი არ ხარ ჩემთვის ძვირფასი, რომ ტანადი ხარ, მოხდენილი, არამედ იმით, სული რომა გაქვს მშვენიერი და ალერსიან სიტყვებს მეჩურჩულები... — ხევა ჩაფიქრდა და დაასკვნა: — მგონი, ასე იყო.

— ეგ ხომ ლექსია! — წამოიძახა აიშათმა.

— მაშ ლექსი ყოფილა, — დაეთანხმა ხევა. — ერთი მითხარი, დაიკო... შესაძლოა... შესაძლოა, რომ ადამს... ასე ვთქვათ, თვითონ შეეთხზა... ეს ლექსი?

— არა მგონია! — ფრთხილად მიუგო აიშათმა. — თითქოს რომელიღაც წიგნში წამიკითხავს.

— შენ უკეთ იცი, ალბათ ეგრეა, — მყისვე უკან წაიღო ხევამ თავისი სიტყვა. — მაგრამ მე მაინც ვიცი, მჯერა, რომ ადამს თვითონაც შეუძლია ლექსის შეთხზვა! სულაც არაა საწყალი და ავადმყოფი, არაფერიც! ის ყველაზე ჯანმრთელი, ყველაზე მდიდარია შუბურუმში. და ალბათ არა მარტო შუბურუმში! დიახ!

— უი, როგორ დამაგვიანდა მაგ შენი ამბების მოსმენაში! — ხევას სიხარული უცნაურად მოხვდა გულზე ექიმს: მასაც მოუნდა ასეთივე სიხარული. აიშათმა უცებ იგრძნო, რომ შურდა, დიახ, დიახ, შურდა თავისი ამხანაგი ქალისა. — აბა, წავედი.

— მოგეცადა ცოტა ხანს, ისე კარგად ვგრძნობ თავს შენთან. დაიცადე.

— სხვა დროს შემოგივლი. ავადმყოფები მელოდებიან.

დაქალები გაშორდნენ ერთმანეთს. ხევამ ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში, თმა გაისწორა, ოდნავ გამოიჩინა ყელი, მკერდი, ხელები წელზე ჩაისრიალა. ჰოი, რა ლაღად გრძნობდა თავს. ეჩვენებოდა, რომ ადამის ნაზი, ალერსიანი, თოვლის წიწკანას ბუმბულივით ფაფუკი და მსუბუქი სიტყვები მოელვარე მარგალიტების წვიმად აცვიოდა მის ქალურ მხრებს, დღემდე რომ არავის შეუმჩნევია და არავინ მოჰფერებია. ისიც ეგონა, თითქოს შიგნიდან ბრწყინავდა თავად, ვით სადღესასწაულო ფარანი. დღეს ხევამ შირინის, ლეილის, ქვეყნის ულამაზესი ქალების სწორად იგრძნო თავი: მას პირველად შეასხა ქებათაქება მამაკაცმა.

— იმით კი არა ხარ ჩემთვის ძვირფასი... — გაიმეორა და გაიცინა.

ადამის სახლიდან გამოსულ აიშათს თვითონაც ვერ გაერკვია, ასეთ მშფოთვარე და უცნაურ გუნებაზე რად იყო; მის გულში გაიღვიძა მწველმა სურვილმა — თვითონაც შეჰყვარებოდა და ისიც ჰყვარებოდა ვიღაცას; გაიღვიძა წინათგრძნობის სიხარულმა, თითქოს ხევამ სულში აუნთო მთის ძველებური ლამპარი, მოუსვენრად რომ ლიცლიცებდა ნიავის ყოველ შემოქროლვაზე. ადრე, ინსტიტუ-

ტამდე, აიშათი იქნებ სხვა თვალით უყურებდა შუბურუმელ ყმაწვილებს, მაგრამ ახლა ჰგონია, რომ ისე შორსაა მათგან, ვით დიულთი-დაღას მწვერვალი კასპიისპირეთის დაბლობისგან.

არადა, რამდენი შუბურუმელი შეჰყურებს აღტაცებული, ხარბი და იჭვიანი თვალით აიშათს. სხვებზე მეტად ვეტერინარი ჰამზათი. მასზე ამბობენ: ისე ვერ მოაშორებ აიშათს, როგორც მთიელის მიკრულ ნაბადს ვერ ააგლეჯ უნაგირიდანო! მაგრამ ექიმი გაურბის ჰამზათს და, თუ შეხვდება, ცდილობს ცივი წყალი გადაასხას ხოლმე. „აქაურები ყველანი ჰაჯი-ბექირისნაირები არიან“, — ზიზღით ფიქრობს ახლა აიშათი და ოცნებობს შეხვდეს სულ სხვა, არნახულ, საინტერესო ადამიანს, თუნდაც ულამაზოს. დღეს მიხვდა აიშათი, რომ მამაკაცს შეიძლება სხვა სილამაზეც ჰქონდეს.

საავადმყოფოში მიმავალმა გზად შეუხვია ბებია აიბალასთან, აგერ ხუთი დღეა შეუძლოდ რომ იყო. მოხუცი აიბალა — ხოჯა-ალის ცოლი, სოფსაბჭოს თავმჯდომარის ცოლის დედაა, აიშათის დედის დედა...

აიშათს ბებია აიბალა მუდამ ღვიძლ დედაზე მეტად უყვარდა. მოხუცი აიბალა პირს უტკბარუნებდა ხოლმე შვილიშვილს კაკლით, ნაირ-ნაირი ტკბილი ნუგბარით, — სასუსნავი შენახული ჰქონდა სკივრში, ნაზი წკრიალით რომ იღებოდა. ეს საამო წკრიალი დღესაც მზის ათინათივით ციმციმებდა აიშათის გულში. ახლა ის იკითხეთ, რამდენი რამ უამბნია ბებიას ზამთრის გაუთავებელ ღამეებში, როცა გარეთ ღმუოდა და სტვენდა დიულთი-დაღას მარადიული თოვლიდან აწყვეტილი ქარი! აიშათს განსაკუთრებით უყვარდა ზღაპრები ლეგენდარულ ჯიგიტებზე, ზეცაში არწივები რომ ეგებებოდნენ და უდაბნოში ლომები რომ ესალმებოდნენ. ზღაპარს რომ დაასრულებდა, ბებია ყოველთვის ამოიოხრებდა და ეტყოდა:

— აი, როცა გაიზრდები, მოვა ჩვენშიც ასეთი კოხტა ჯიგიტი და წაგიყვანს, ჩემო გოგონი, შორეულ ზღაპრულ მხარეში.

— მერე საიდან ეცოდინება ჩემი ამბავი? — ეკითხებოდა პაწია აიშათი. ბებიის ყოველი სიტყვა სჯეროდა პატარას.

— ო, ჩემო გოგონი, შენ ისეთი მზეთუნახავი ქალი დადგები, რომ მთელ დუნიას მოედება შენი ამბავი და ჯიგიტიც სიზმრად გნახავს.

— სიზმრად?! — უკვირდა აიშათს და ბებიას ეკვროდა.

— და ეტყვის დილით თავის დედ-მამას: „ძვირფასო დედავ, გამომიცხვე შებრაწული შოთი პური, გამივსე ხურჯინის ცალი თვალი ტკბილეულით, ცალი თვალი კი საჩუქრებით; შენ კი, მამაჩემო, შემიკაზმე ლურჯა ცხენი. გზას უნდა გავუდგე“.

— საჩუქრები რალად უნდა?

— იმად, რომ ყელსაბამი გაგიკეთოს მარმარ მკერდზე და ბეჭდები — ბროლის თითებზე.

— მერედა რანაირად მიცნობს?!

— თვითონ მიხვდება.

— მე როგორღა ვიცნობ?

— ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდება, შორიდანვე თვალს წარსტაცებს ხალხს, მოვა შუბურუმში კოხტა ჯიგიტი, საღრა ლურჯაზე ამხედრებული; ტანთ ოქროსმასრებიანი მწვანე ჩოხა ეცმევა, მხრებზე თოვლივით თეთრი ჰინდური ნაბადი ექნება მოგდებული, თავზე ტიტასავით წითელი ყაბალახი წაკრული... ცხე-

— ხალხო, ეგ სადაურია! ვიღაცა დამნაშავეა და ვიღაცა კიდევ — მართალი, — თქვა ყარა-ხართუმმა, ვისაც საპნის ქაფი უკვე შეშრობოდა ნიკაპზე და ახლა თრთვილივით ცვიოდა.

— შენც მართალი ხარ! — უთხრა ალი-ხოჯამ. ახლა კი იქ მყოფებმა თავი ველარ შეიკავეს და ერთხმად გადაიხარხარეს.

მესაფლავე თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ელოდა, ესენი კი მის უბედურებას დასცინოდნენ.

— რა გაცინებთ! — იყვირა გაჭარხლებულმა. — რას დაგიკრეჭიათ კბილები?

— განა სასაცილო არ არის? — შეაწყვეტინა ალი-ხოჯამ. — რა ხანია ყველას ყური გამოგვიჭედეს — მოეშვით შარიათით ქორწინებას, სოფსაბჭოში მოაწერეთ ხელიო. აი ამასთან! — ალი-ხოჯამ ისკენდერზე მიუთითა.

სოფსაბჭოს მდივანი გაიჯგიმა.

— მართალს ამბობ, ალი-ხოჯა!

— კი, მაგრამ რაკიღა ასე შემემთხვა... — სცადა მესაფლავემ შესიტყვება, მაგრამ ალი-ხოჯამ შეაწყვეტინა:

— ძვირფასო ჰაჯი-ბექირ, შენ და ხევას სოფსაბჭოში რომ მოგეწერათ ხელი, შეგეძლო დღეში თუნდაც ასჯერ გეთქვა ის სიტყვები და ცოლი შინ გეყოლებოდა.

— რომ მომეწერა, რომ მომეწერა... — თქვა მესაფლავემ. — რა შეიცვლება, კიდევაც რომ ვინანო? კი ბატონო, ვნანობ, რომ შარიათის წესით შევირთე. კი ბატონო, ახლა მზადა ვარ თითები კი არა, იდაყვები დავიკბინო! მერედა რა? მიმველეთ, პატივცემულნო, აიძულეთ ადამი წარმოთქვას ის სიტყვები.

— იძულება არ შეიძლება! — მიუგო ყარა-ხართუმმა. — იძულება კანონით ისჯება.

— მაშ მე თვითონ ვაიძულებ! — იღრიალა გაცოფებულმა ჰაჯი-ბექირმა.

სადალაქოში ხმაური შეიქნა, კოლმეურნეობის კალოდან ხალხმა მოირბინა, კარ-ფანჯრებს მოაწყდა. მესაფლავეს უნდოდა ხელში მოეგდო ადამი, მაგრამ კუზიანი ხალხს ეფარებოდა, აქეთ-იქით ძვრებოდა და ხალხიც ხალისით ატარებდა, ჰაჯი-ბექირს კი გზას უღობავდნენ. „ეტყვი!“ — ღრიალებდა ჰაჯი-ბექირი. „არ ვეტყვი!“ — გამოსძახებდა ყარა-ხართუმის ან ალი-ხოჯას ზურგს მოფარებული ადამი. ხალხი სიცილით იფხრიწებოდა.

— რა ამბავია, რა ხდება? — სადალაქოში შეშფოთებული, გაფითრებული ხევა შემოვიდა.

— კატა-თაგვობანას ვთამაშობთ! — მხიარულად მიუგო ყარა-ხართუმმა.

— ხინკალი გაცივდება. სადილის დროა! — თქვა ხევამ.

— ახლავე, შემოგევლე, ახლავე! — გაეპასუხა ვიღაცას ამოფარებული ადამი. — ხომ ხედავ, რას უპირებს ეს კაცი შენს ქმარს?

— შენ მისი ქმარი არა ხარ! — იბღავლა ჰაჯი-ბექირმა. — კარგი ჰქენ, რომ მოხვედი, ხევა. ახლა ვაიძულებ ყველას თანდასწრებით გითხრას ის სიტყვები. გაიწით, ხალხო, თორემ ამ გაბრაზებულ გულზე, არ ვიცი, რას ვიზამ...

ჰაჯი-ბექირმა სახელოები აიკაპიწა და ისეთი ჯანიანი მკლავები გამოაჩინა, რაჯაბმა უკან დაიხია და შესძახა: „ქაფთარის ტორებია რაღა, უჰ, შენი!“

— აცალე ამ საცოდავს, წვერი მაინც გამპარსოს! — შეევედრა ყარა-ხართუმი.

— მერე თუნდაც ათას კაცს გაპარსოს წვერი!

— მოკლავს, ხალხო! — ყვიროდნენ ქუჩიდან.

— რას ჯიუტობ, ადამ? მართლა მოგკლავს, — ტკბილად უთხრა ხევამ და მისი ალერსიანი ხმა გულზე ეტაკა ჰაჯი-ბექირს: მას ჯერ ასე არ დალაპარაკებია ხევა! ხევა ეხვეწებოდა (გაუგონარი ამბავი). — ნუთუ სიცოცხლე არ გენანება, ადამ?

— შემოგევლე, ძვირფასო, ჩემო ყველავ, არაფერი არ მენანება. სიცოცხლეზე მეტად შენ მიყვარხარ.

— შენი სიკეთე მინდა და იმიტომ გეუბნები, — ტკბილად განაგრძობდა ხევა.

— მომკალით, ამკუწეთ, მაინც არ ვიტყვი! ხალხო, განა შემიძლია რალაც სულელური სიტყვების გულისთვის დავკარგო ბედის ასეთი საჩუქარი, ასეთი ცოლი!

ბრაზისგან თვალთ დაუბნელდა ჰაჯი-ბექირს, მივარდა კუზიანს, ხელი დასტაცა და მუშტი მოუქნია, მაგრამ ადამმა გამწარებით გაიბრძოლა, ხელიდან დაუსხლტა და ხალხში მიიმალა, მესაფლავის მუშტი კი მხარზე მოხვდა ხევას. ქალმა ფურკამეჩივით იბღავლა. საშინელი, დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. სიცილი შეწყდა. ხალხი გაისუსა.

— არაფერია! — დაიძახა მესაფლავემ. — შენი ბრალია ყველაფერი, შენი!

— ეგრე, ხომ? შენც კაცი გქვია რალა! — ცეცხლი წაეკიდა ხევას. — დამაცა, სანანებლად თუ არ გაგიხადო, ხელი რომ დამარტყი ამ საპატიო ხალხის წინაშე. ჩემს სიცოცხლეში არ გაპატიებ!

განრისხებული ხევა სადალაქოდან გავარდა.

მესაფლავეს უკვე აღარაფერი ესმოდა, გამწარებული დასდევდა ადამს, მაგრამ ადამი ყოველთვის ახერხებდა გასხლტომოდა, ხალხს ეფარებოდა; ისინიც ზურგს უკან მალავდნენ მას. ჰაჯი-ბექირს უფრო და უფრო ერეოდა ბრაზი, გაცეცხლებულს თვალისჩინი წაერთვა, ფეხი რალაცას წაჰკრა, კარის ამყოლს მიარტყა თავი და სულ გადაირია. „გაიქეცი!“ — წასჩურჩულეს ადამს, და დალაქიც გავარდა სადალაქოდან. მაგრამ ჰაჯი-ბექირმა, ვით ქორმა მინდვრის თაგვს, თვალი შეასწრო, გაუსხლტა თანასოფლელებს, მის შეკავებას რომ ცდილობდნენ, და ცოფიანი ხარივით გაიჭრა მოედანზე.

— სად არის? — ღრიალებდა მესაფლავე. — მოვკლავ! დავასახიჩრებ! თავისავე კუზს მივატყეპებ!

ხალხი თავს იქნევდა: ნამდვილად გაცოფდა მესაფლავე, კარგი დღე არ დადგება ადამს, ჰაჯი-ბექირს ხელში თუ ჩაუვარდაო. ბევრს თავის სიცოცხლეში პირველად შეებრალა უბედური კუზიანი.

რა უცნაურ და უსიამოვნო დღეში ჩააგდებს ხოლმე ადამიანს უგუნური, სასაცილო და ბრიყვული ზნე-ჩვეულებანი, საუკუნეთა მანძილზე რომ შემორჩენია. როგორ ვერ ხვდება, რომ ძალით ისულელებს თავს! მაგრამ ვაი რომ ადამიანებს სწამთ თავიანთი სიმართლე, ფიქრობენ, ასეც უნდა იყოს, სხვაგვარად არც შეიძლებაო.

— დაიცათ, — ეუბნებით მათ, — აი იმ აულში, ამაშიც, აგე იქაც...

— იმ აულებში შეიძლება, ჩვენში კი — არა, — გიპასუხებენ და მოგაჩერდებიან ნათელი თვალებით. მტკიცედ სწამთ, რომ შუბურუმისნაირ აულს დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავ და შუბურუმელები არიან ერთადერთი ნამდვილი ადამიანები ამქვეყნად.

ძნელად შეასმენ რაიმეს სმენადახშულ ადამიანს!

ღრიალი შუაღამისას

ვერავინ შეიტყო, თუ სად დაემალა ადამი გამძვინვარებულ ჰაჯი-ბექირს. წლების მანძილზე რომ ემალებოდა აულის ყაჩაღანა ბიჭებს, ალბათ მაშინ დაისწავლა კუზიანმა ყველა გზა, საძრომი, კუთხე-კუნჭული თუ ჭუჭრუტანა, რომელთა არსებობა შუბურუმელებმა ეჭვადაც არ იცოდნენ.

მაგრამ რარიგ დიდ გულზედაც არ უნდა ყოფილიყო ადამი თანასოფლელთა გვერდით, ახლა, როცა მარტოდმარტო იმალებოდა სოფლის განაპირას, ლოდებს უკან, შიშით ლამის გული ამოვარდნოდა ბუდიდან. დალაქი საგონებელს იყო, აწ რა მოვიმოქმედოო, და თვითონვე უკვირდა, მრისხანე ჰაჯი-ბექირს შებრძოლება რომ გაუბედა. რაც თავი ახსოვდა, ჭიანჭველასთვისაც ფეხი არ დაუდგამს, ახლა კი, დახეთ, არც შეშინებულა! ამბობენ, მხდალს ადვილად მოარჩენ, თუკი დაარწმუნებ, გულადი ხარო! მაგრამ ადამი ხომ არავის დაურწმუნებია... „ეჰ, ადამ, ადამ! უიღბლო ხარ იმ აკუშინელ აიშალა ბაგანდივით, ერთ დღეში ცხენიც რომ მოუკვდა, ქოხიც რომ დაენგრა და დედაც მდინარეში დაეხრჩო, — მწარედ ფიქრობდა დალაქი. — ნუთუ მართლა მომკლავდა?! კი, მომკლავდა, ის ხომ მესაფლავეა, მისთვის სიკვდილი რა ბედენაა. ეჰ, ადამ, ადამ! შენი მშობლების მეტს ვერავის დააბრალებ შენს უბედურებას. მაგრამ როგორ უნდა უსაყვედუროს შვილმა დედ-მამას! ეგეც არ იყოს, მათ ხომ არ უნდოდათ, რომ ასეთი დაბადებულიყავი... ალბათ შენმა საცოდაობამ დაატოვებინა შენს მშობლებს სააქაო, შენმა სიბრალულმა ჩაიყვანა მიწაში. ვისი ბრალია, ჰა? იქნებ ამ უბედური ცივი ქვებისა, ამ მიუვალი კლდეებისა, ამ მაღალმთიანი ადგილებისა, სადაც ყოველგვარ ავადმყოფობას ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ სოფლის ბებიაქალები მკურნალობდნენ?!“

ახლაღა შეამჩნია დალაქმა, რომ ბინდბუნდი ჩამოწვა. მთაში კი სკვარამი ღამე იცის: თითს ვერ მიიტან თვალთან, თითქოს შავ ნაბადში გამოგახვიევსო.

ადამის ფიქრები უკვე მის ქოხს დასტრიალებდა, მის ცოლს, ასე მოულოდნელად რომ არგუნა ბედმა. როგორც ზღაპარში კატას დაეცა თავზე ძეხვის ნაჭერი და მართლმორწმუნე კატამ წამოიძახა: დიდება ალაჰს, ხშირად დამეცეს ასეთი მეხიო! — ისე გულმხურვალე მადლიერებით გაიხსენა ადამმა ის ანგელოზი — მოლა შაჰნაზარი. აკი მან დააქორწინა და ჰკითხა, ერთმანეთი გეყვარებათ თუ არაო! განა შეიძლება ასეთი ბედნიერება დაჰკარგოს კაცმა რაღაც სულელური, უაზრო სიტყვების გულისთვის? „მელოდება ალბათ, ზის კერასთან, ვახშამი მოუმზადებია და მელოდება, — ნეტარებით ფიქრობდა ადამი. — ნეტავი მის გვერდით დამსვა, აი ასე მსუბუქად, ნაზად ვუსვამდე ხელს მის გრუზა თმას, კარაქის სუნი რომ ასდის. ალერსიან სიტყვებს ვეტყოდი, რომ პირზე ღიმი მოსვლოდა. მაგრამ, თქმა არ უნდა, ჰაჯი-ბექირი დაწრიალებს ქოხის ახლომახლო. რა ვქნა, რა ვიღონო?! ასე უპატრონო ძაღლივით ხომ არ ვიცხოვრებ... ადამიანებო, რა დამიშავებია თქვენთვის? მაცალეთ, გავიხარო იმით, რაც ბედმა მარგუნა. რატომ არ გამომექომაგებით, არ დამიფარავთ იმ საშინელი ჰაჯი-ბექირისგან? მე ხომ არ მითხოვია, თვითონ მომგვარა ხევა. დავბრუნდე ჩემს ქოხში? მაგრამ ხომ მომკლა ჰაჯი-ბექირმა ანდა მაიძულა ვთქვა ის ტუტუცური სიტყვები; რანაირად შემიძლია თვალებში შევხედო ხევას, გავიმეორო ის სისუ-

ლელე და დავკარგო ცოლი. მირჩევნია მთელი სიცოცხლე ვიწანწალო და ვიცოდე, რომ შინ მელოდება ჩემი ცოლი, ჩემი ხევა. რა ვქნა, რა ვიღონო!“

უცებ უბედურ კუზიანს ძხსნელი ფიქრი მოევლინა: უნდა გაიქცეს, გაიქცეს ხევასთან ერთად სადმე ქალაქში, იმ სამოთხესავით ადგილას, სადაც არის სასადილო, სასტუმრო, ასფალტი, კინო და არ არის ჰაჯი-ბექირი. დალაქი ყველგან სჭირდებათ, თუ კარგი ოსტატია, იცოცხლე, სამუშაო ექნება, დანარჩენი კი ყველაფერი მოგვარდება. ადამს ბედნიერებისაგან კინაღამ ტირილი წასკდა.

ფრთხილად გამოძვრა დალაქი კლდეებიდან და ნელა, უჩუმრად, ქურდულად გაემართა საკუთარი ქოხისკენ. ახლა მარტო ჰაჯი-ბექირი კი არა, ყოველი შემხვდური აფრთხობდა: ემანდ დაფეთებულებს ქაფთარი არ ვეგონო და, თავზარდაცემულებმა, სანადირო თოფიდან ფინდიხი არ დამახალონო! აგრეა, ცრუმორწმუნე ადამიანები მუდამაც მხდალნი ყოფილან! შუბურუმელებს ვერ გააკვირვებთ იმით, რაც მთელი სიცოცხლე უკვირს ალი-ხოჯას — სადღაც წიწილებს უკრუხოდ ჩეკენო; ვერც იმით გააკვირვებ, ადამიანმა ერთ საათში გარს შემოუფრინაო დედამიწას. მაგრამ აბა ერთი უთხარი: აგე, იმ ჩაღამებულ ხეობაში გუშინ ქორწილი გადაიხადა ეშმაკმა იბლისმა, შაითანის ქალი შეირთო, მეც იქ გახლდით და კიდევაც ვიცეკვეო, — გაკვირდებიან, დაგიჯერებენ, დაფეთდებიან...

კარგა ხანს ვერ ბედავდა ადამი ქოხთან მიახლოებას: აყურადებდა, გამვლელის ფეხქვეშ სადმე ქვა ხომ არ გაიჩხრიალებსო. ყოყმანობდა და ელოდა. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ კაიტაგელები ეტყვიან ხოლმე ადამიანს: „ჩუხრა დიქული ჟანრა დიქული აარგარნუ, ათალა, გურჩი, გურჩი!“ რაც თარგმანში ნიშნავს: „იმაზე ფიქრსა და ჭოჭმანს, — ავიდე, არ ავიდე კაკალზე, ვაითუ გადმოვვარდეო, ისევ სჯობია, ახვიდე!“

არა, ადამი არ მისდგომია ჭიშკარს, სადაც ჭასთან ზღაპრულ აჯდაჰა ურჩხულივით, ვინ იცის, ჰაჯი-ბექირი უდარაჯებდა, — ქოხს უკნიდან მოუარა, სადაც სარკმელი ცუდად იკეტებოდა. ჩარჩომ მართლაც ერთი გაიჭრიალა და, როცა ადამმა გამოსწია, გაიღო. ცდილობდა არ ეხმაურა. თავის სიცოცხლეში პირველად გადაძვრა ნამდვილი ქურდივით სარკმელში. ხევა მეორე ოთახში იყო: იატაკზე დაგებულ ნოხზე გაეშალა დიდი საოჯახო ლეიბი და არხეინად ეძინა. მაშინაც კი არ გაუღვიძნია, როცა ადამმა ნავთის ლამპა აანთო. კუზიანი იქვე მიუჯდა და თვალი ვეღარ მოსწყვიტა, ენანებოდა გაღვიძება, მაგრამ რა ექნა, როცა ასე ეწადა თმაზე ხელის შევლება?

ოჰ, ქალის თმავ, ქალის თმავ! რა იდუმალი მიმზიდველი ძალა გქონია! იქნებ იმიტომაც გმალავდნენ საუკუნეთა მანძილზე ქალები თავსაფრებში, რომ საბრალო, გულსუსტი მამაკაცები ეცოდებოდათ?!

ადამის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა სიხარულისგან: „არ წასულა! არ წასულა! არ წასულა!“ და ეს უფრო მეტი ნეტარებით ავსებდა, ვიდრე ოთხსიმიანი ჩუგურის უტკბესი ჟღერა.

ნელა შეეხო ბალიშზე გაშლილ თმას. ხევამ თვალი გაახილა, მოიხედა.

— შენა ხარ? ცოცხალი ხარ?

— ჰო, ჩემო მზეო, როგორც ხედავ, ჯერ ცოცხალი ვარ. გიხარია, რომ მოვედი?

— მომბეზრდა ყველაფერი, — დაამთქნარა ხევამ. — მეძინება. ისიც მეყოფა, სამი საათი ჭიშკართან რომ ვიყავი დარჭობილი.

— მე მელოდი? — წამოიძახა გახარებულმა ადამმა.

— არა, ჰაჯი-ბექირის ბოდიშებს ვისმენდი. ნეტა რას მათამაშებთ? თქვენი თოჯინა კი არა ვარ.

— მე არ გათამაშებ, მხოლოდ ვტკბები შენი ცქერით, — მიუგო შეღონებული ხმით ადამმა. — ჰაჯი-ბექირი, რა თქმა უნდა, გეხვეწებოდა, დაბრუნდიო?

— მუხლმოდრეკილი მთხოვდა. მაგრამ აკი ვთქვი, არასოდეს არ ვაპატიებ-მეთქი: ხალხში დამარტყა!

— უცაბედად მოუვიდა, — ვერ დაძალა სიმართლე ადამმა. — მაშ არ აპატიე?

— რომ მეპატიებინა, აქაც არ ვიქნებოდი.

— რა ჭკვიანი ხარ! ან კი როგორ გაბედა, სხვის ცოლს რომ ეხვეწებოდა წამოდიო? ჩემო კარგო, მინდა სულ შენთან ვიყო, აი ასე შენ გვერდით, ვგრძნობდე შენს სუნთქვას, გხედავდე. შეგხაროდე... — ადამმა ვერ გაბედა ერთბაშად შეეთავაზებინა ხევასთვის, აულიდან გავიქცეთო, დღესვე, ამწუთსავე გავიქცეთო. — მჯერა, კმაყოფილი იქნები, ყველაფერი კარგად მოგვარდება, თვალისჩინო.

ხევას თუმცა ეძინებოდა, მაგრამ უსმენდა და არ აწყვეტინებდა: აქამდე არავისგან სმენია ასეთი ჯადოსნური სიტყვები. ლოყებიც კი აეფაკლა, ბაგე გაეპო.

— ნახავ, სულაც არა ვარ უმწეო. მე ადამიანი ვარ. ადამიანად შენ მაქციე, ხევა. სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ შენკენ გამოვიჩქარებ, საჩუქარს მოგიტან ხოლმე, თბილ, ვარდებმოხატულ ფოჩიან თავშალს გიყიდი...

— ბუ ხომ ცუდი ვარ, — გული აუჩვილდა უცებ ხევას.

— მაგას ნუ იტყვი! შენ კეთილი ხარ, კარგი ხარ. შენ კი არა, მე ვარ ცუდი.

— არა, მე ვარ ცუდი.

— არა, შენ კარგი ხარ, მე ვარ ცუდი.

— არა, მე ვარ ცუდი.

— არა, შენ კარგი ხარ, მე ვარ ცუდი.

— არა, მე ვარ ცუდი.

— რატომ?

— არ ვიცი.

— მაშ კარგი ხარ. იქ კიდევ უფრო უკეთესი გახდები. ნახავ, რა ცხოვრება გაქვს იქ!

— სად? — ჰკითხა ხევამ ისე, რომ არც მოტრიალებულა: ნასიამოვნები, გატრუნული ისმენდა ამ გასაოცარ სიტყვებს.

— იქ, იქ, შემოგევლე, სადაც ყველაფერი ახლოსაა, იქვეა. იქ არც სადილის გაკეთება მოგიწევს, არც ცეცხლის დანთება კერაზე, არც წივის დამზადება ზამთრისათვის, არც მეზობლებთან ჩხუბი ქუჩაში დაყრილი ნეხვის გამო..

— მაშ რა უნდა ვაკეთო?! — ახლა კი მოტრიალდა გაოცებული ხევა.

— არაფერი. სულ არაფერი.

— რას ნიშნავს არაფერი? — აღშფოთდა ხევა. — ხომ მომკლა მოწყენამ!

თავის სიცოცხლეში პირველად იყო ხევა ასე ენამრავალი და მოურიდებელი.

— არ მოგწყინდება, ნახავ, თუ მოგწყინდეს. ვისეირნოთ ბაღში, ვიაროთ კინოში, თეატრში.

— მე მიყვარს კინო. თეატრში კი ერთხელაც არ ვყოფილვარ. არ ვიცი, რანაირია ეგ თეატრი.

— ყველაფერიც გეცოდინება, ჩემო მზეო. ყველაფერი. ოღონდ...

— რა „ოღონდ“?

— უნდა გავიქცეთ.

— გავიქცეთ? რა კარგია! — წამოხტა ხევა. — ხალხი იფიქრებს, რომ მომიტაცე.

ოდესღაც, ბავშვობაში, ხევას ამხანაგი გოგოები ფიქრობდნენ, რომ მოტაცება დიდი ბედნიერებაა ქალისათვის — ეს ხომ უჩვეულო რამ იყო მათ ერთფეროვან ცხოვრებაში.

— ადექი. ახლავე გავიქცეთ! აქ სიცოცხლე გამწარებული გვექნება.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ?! შენ გგონია, ჰაჯი-ბექირი მოგვეშვება? ხომ მომკლა! ტყუილად კი არ დამექადნა, — ადამმა ხმას დაუწია. — განა არ გესმის, ქოხთან რომ ვიღაც დააბიჯებს და ახველებს? ისაა.

— სამუდამოდ უნდა გავიქცეთ?

— ჰო. აქ კარგი რა ყრია?

— კი, მაგრამ... რანაირად ვიყო მშობლების, ამხანაგების გარეშე.. არა, არ შემიძლია!

— საჭიროა, ხევა!

— არა, ადამ, ეგრე არ შემიძლია — იქ სულ მარტოკა ვიქნები!

— რადა, მეც იქ არ გეყოლები!

— მაინც არ შემიძლია.

— მე კი აქ დარჩენა არ შემიძლია და არც შენი დაკარგვა მინდა, — ძღვლვარებისგან ადამს ხმა ჩაუწყდა — უნდა გავიქცეთ ერთად, უნდა გავიქცეთ!

— არა, არა! ასე უცებ? არც დედა მეყოლება, არც ამხანაგები. თითქოს ამოწყვეტილი ვიღაც ვიყო. აბა, დაფიქრდი!

— გეხვეწები, გენაცვალე, შემოგევლე, ნუ ჯიუტობ!

ადამის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ხევას როგორ გაჯავრებოდა.

— თუკი არ მინდა?!

ხევას გაკერპება აბრაზებდა ადამს, ხაფანგში გამომწყვდეული თაგვივით აქეთ-იქით აწყდებოდა, თითებს იმტვრევდა. ბრაზობდა არა მარტო ხევაზე, არამედ შუბურუმელებზეც, ასე ჯიუტად რომ ჩაბღაუჭებოდნენ ამ ძველ ქოხებსა და ამ უნაყოფო მიწას, ამ ვიწრო ქვის ტომარას, სადაც ვერ გაინძრევა კაცი. თუ სიმართლე გინდათ, ადამს გულში პატარაობიდანვე დაგროვებოდა ბოლმა აქაურ ლრეჭიებსა და ყაჩაღანებზე, ასე რომ ჩაგრავდნენ და აწვალებდნენ.

კიდევ კარგა ხანს ეხვეწა ადამი, მაგრამ ხევა ისევ დაწვა, გადაბრუნდა, საბანი წაიხურა და თქვა:

— გეყოფა ხვეწნა! გული გამიწყალდა! ხან ერთი შემომიჩნდება, ხან მეორე. აწ ისე მოვიქცევი, როგორც მე თვითონ გადავწყვეტ.

უცებ ისეთი გააფთრებული რახუნი გაისმა ჭიშკარზე, კაცს ეგონებოდა, შიგ ქოხში მეხი გავარდაო. ადამმა შეშფოთებით შემოუკეცა საბანი ხევას და

აჩქარებით გავიდა ბანზე. ვარსკვლავიანი ღამე იყო და ჭიშკართან ლანდს მოჰკრა თვალი. ეჭვი არაა, ჰაჯი-ბექირი იყო.

ადამმა სწრაფად გადაჭრა ბანი და ოღროჩოღრო უკანა კედელზე აფორთხდა, იქიდან ქვემოთ ჩახტა და მოკურცხლა, თან უფსკრულზე გადაკიდებულ კაჭარსა და კლდეებს ეფარებოდა. დაღესტანში იტყვიან ხოლმე: თუ გინდა თავი შეგრჩეს — ფეხს აუჩქარეო! და უცებ შემოდგომის უკუნი ღამე, ვით ჭექა-ქუხილმა, ვით გასროლამ, ისე გააპო უფსკრულში გადაჩეხილი ადამიანის შემზარავმა ყვირილმა.

მაშინვე ვიღაცამ აჩქარებით ჩაურბინა ქოხს.

ნაწილი მეოთხე

კვალი თოვლზე

აული შუბურუმი ღრუბლებს მაღლა მიჰკვრია კლდეებს ზედ დიულთი-და ღას მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალებთან. ქვის რუხი, უშნო ქოხები ყოველი მხრიდან აუჭრელებია ლავაშივით მიტყეპებულ წივას; სახლები ისე ჩაჰხუტებია ერთმანეთს, თითქოს ერთი მთლიანი შენობაა, რომლის აგება ჯერაც არ დაუმთავრებიათო, ან ძველისძველი დაბაა, არქეოლოგებს გათხრებისას რომ აღმოუჩენიათო. გადაკარგული და მიყრუებული მთის აული ჩვენს დროში ადამიანის საცხოვრებლად ვაი რომ არ გამოდგება. ძველად მთის ქვეყნის მკვიდრნი ამ უნაყოფო კლდეებზე იმიტომ სახლდებოდნენ, რომ გადამთიელი ურდოების დაუსრულებელ შემოსევასა და თარეშს გადარჩენოდნენ. რა ხანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, მაგრამ მთის აულების მცხოვრებნი ისევ ისე სხედან თავიანთ არწივის ბუდეებში. თუმცა არწივის ბუდეები სულ უფრო და უფრო მცირდება დაღესტნის რუკაზე.

უბადრუკია მაღალ მთებში მცენარეებიც: დაფენილი ბუჩქნარი, დაბალი, თუმცა ცვრიანი ბალახი, ასე რომ უყვარს ცხვარს. ოღონდ ეგ არის, ზამთარში ცხვარი მშიერია და მწყემსები დაბლა, ნოლაის ველზე მიერეკებიან ფარას. კოლმეურნეობა „მიწას“ (დიახ, ასე ეწოდება აულ შუბურუმის კოლმეურნეობას და, ღმერთმანი, ეს იმგვარადვე ჟღერს, ვით წყურვილით გაწამებული ადამიანის კივილი: „წყალიო!“) ცოტა აქვს სახნავი ადგილი და პატარ-პატარა მინდვრები აულის ქვემო ფერდობებზეა შეფენილი. ეს მინდვრებიც შრომისმოყვარე მიწათმოქმედთა ხელითაა შექმნილი, მათ ამოზიდეს აქ კალათებით მიწა ხეობიდან თუ მდინარისპირა ჭალებიდან. აქ მხოლოდ მთის თეთრი ბოლოკი — კეხო, საშემოდგომო ქერი და აქა-იქ, ისიც მზისგულზე, საადრეო სიმინდი ასწრებს მოწევას. ძალზე მოკლე ზაფხული იცის მთაში! ბოლო წლებში, მთიელთა შრომისმოყვარეობის მიუხედავად, კოლმეურნეობა „მიწა“ თითქოს ერთ დონეზე გაიყინა: ან კი როგორ უნდა განვითარდეს, როცა გასაქანი არსაითა აქვს! ვერსად იყენებენ მექანიზაციას, ვერ მოჰყავთ ზედმეტი საკვები... ტყუილად ახლიან თავს კლდე-

ებს, მაინც ხეირს ვერ ხედავენ, მხოლოდ შუბლს ილილავებენ და კოპები აჯდებათ. აი რატომაა, ასე ხშირად რომ გაისმის მთაში სიტყვა „გადასახლება“.

ვისაც ბარში ახალი სოფლები უნახავს, ისინი აღრევე მიხვდნენ: კარგი ცხოვრების მისაღწევად მთიელს ერთი გზა აქვს-— ქვემოთ, ბარისა და ველისკენ რომ მიემართება. ძალზე უჭირს ახალ ყოფას ამ ღრუბლებს მიღმა აღწევა! სხვა რომ არაფერი, ვერც მანქანები ადიან ამ გზებზე, ხოლო სახედარსა და საპალნის ცხენს სადა აქვს იმდენი ძალა, აულში მძიმე ტვირთი აათრიოს. ესეც არ იყოს, შუბურუმთან ერთადერთ მისასვლელს ხშირად ანგრევს ზვავი თუ თოვლის შვავი და წელიწადში რამდენიმე თვე აული მხოლოდ ტელეფონით და რადიოთი თუ უკავშირდება გარე სამყაროს.

აქ მხოლოდ ორ სახლს აქვს რკინის სახურავი — სკოლას და სოფსაბჭოს, არც ისე დიდი ხნის, ასე ათი-ოცდაოდე წლის უკან რომ ააგეს. ქუჩები და შუკები ჩაიხრებულია, დანაგვიანებული, არც ქოხებშია სისუფთავე და სიმყუდროვე, სულ უბრალო საცხოვრებელი პირობებიც კი არა აქვს ადამიანს! თუმცა აქ ღარიბად არ ცხოვრობენ და სკივრებიც სავსე აქვთ დოვლათით, მაგრამ ეს დოვლათი მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაში და სიხარული არ მოაქვს ადამიანებისათვის. კაცმა რომ თქვას, ან კი რა დოვლათია: უამრავი უშნოდ, ულაზათოდ შეკერილი ტანსაცმელი და ქალის რამდენიმე სამკაული, ოდესღაც ცეცხლის ფასად რომ უყიდიათ ხელოსნებისგან. მთიელებს თალხი ფერის ხამი ტანსაცმელი აცვიათ, ღარიბულადაც იკვებებიან, კერძს სახელდახელოდ ამზადებენ, ან არადა სულაც ხმელა საჭმელზე გადადიან; ბრინჯა, ნაცარში გამომცხვარი ხმიადი, ჩაი, მაწონი და კვირაში ორიოდეჯერ ხინკალი — მორჩა და გათავდა. ისეთ კერძებს კი, როგორიცაა კურზე-ხინკალი, ჩუდუ-ღვეზელი და მწვადი, ახლა სულ უფრო და უფრო იშვიათად შეექცევიან.

ამიტომ ხომ არაა, რომ ქალაქში სასწავლებლად წასული ან ჯარში ნამყოფი ახალგაზრდობა უხალისოდ ბრუნდება უკან? შუბურუმში ცეკვითაც მხოლოდ ქორწილში ცეკვავენ, ისიც ამინდმა თუ გაუმართლათ, — წელიწადში ერთი-ორჯერ, ამაზე ხშირად კი — ვერა.

ასე მიედინებოდა ცხოვრება შუბურუმში და არც ხალხი ემდუროდა ბედს. მიეჩვივნენ, როგორც ეჩვევა ბებერი ხარი უღელს.

და უცებ სოფლის მესაფლავის ჰაჯი-ბექირის ქოხში გავარდა მეხი, ითქვა გაუგებარი სიტყვები: „თალაქ-თალაქ, თალმი-თალაქ!“. მომიტევეთ, არ მინდოდა ამ წყეული სიტყვების გამეორება, უნებურად წამომცდა...

მას აქეთ აულში უცნაური ამბები დატრიალდა. ნათქვამია, ჭირი მარტო არ მოგადგება კარზე, შვიდი დაც თან მოსდევსო. ახლა ჰაჯი-ბექირზე მიდგა ჯერი: ძროხა ხევში გადაეჩეხა, მწყემსმა ისიც კი ვერ მოასწრო, რომ ამოეყვანა და დაეკლა, — საამისოდ თვითონაც უნდა გადამხტარიყო ქვევით; იმ მუშტმა, სადალაქოში ჩხუბისას ადამისათვის რომ უნდა ჩაერტყა და უცაბედად ხევას მოხვდა, ისე შეურაცხყო ხევა, რომ საქვეყნოდ განაცხადა (ხევას ცხოვრებაში ეს გახლდათ პირველი და ერთადერთი ხმამაღალი აღშფოთება): ადამის ცოლი ვარ და მას დაველოდებიო. ცხადია, ხალხს სიცილადაც არ ეყო ეს ამბავი, მაგრამ გინდა იცინე, გინდა იტირე, ჰაჯი-ბექირი კი მარტო დარჩა თავის ქოხში.

მოულოდნელად ადრე დაიწყო მთებში წვიმები და თან მოჰყვა ზვავი და მეწყერი. ინგრეოდა კლდეები, დიულთი-დალას მწვევრვალებიდან ეშვებოდა ყინულისა და თოვლის ზვავები; გეგონებოდათ, ვიღაც დაუდგრომელი და ძალო-

ვანი თავს იქცევსო. ცრუმორწმუნე შუბურუმელებმაც ყველა ეს უბედურება თოვლის კაცს, ქაფთარს მიაწერეს. ზოგიერთმა ადამის გაუჩინარებაც კი უბრალოდ და საზარლად ახსნა: კუზიანი ქაფთარმა შესანსლა, აი ნახავთ, მისი დახრული ძვლები თუ არ იპოვონო.

საწყობის გამგე რაჯაბს, აულში რომ „ცალთვალას“ ეძახდნენ (თუ შუბურუმელს ცალფარიანი მანქანა შეხვდა, აუცილებლად იტყვის: ჩვენი რაჯაბი მოდისო!), უყვარს მხიარულება და ამიტომაც ხშირად ყლურწავს ხოლმე სასმელს ნივრიანების უბანში ცხოვრობს და, თუ ქვემო აულიდან ზემო აულში, შინისკენ მიდის, გზად ძველ სასაფლაოს ჩაუვლის ხოლმე. ხოლო მთის სასაფლაოები თქვენც მოგეხსენებათ, ადამიანის სიმაღლე საფლავის ქვებითაა დაფარული. ჰოდა, ამას წინათ კარგა გემოზე შეზარხოშებული რაჯაბი შინ ბრუნდებოდა ქვემო აულიდან. ერთი შორეული ნათესავისას წაექეიფა, ვისაც ბოლოს მაინც გადაეწყვიტა სამუდამოდ მიეტოვებინა შუბურუმი და ოჯახიანად ბარში გადასახლებულიყო. მიბარბაცებდა რაჯაბი ძველ სასაფლაოზე და აკი შუბლით არ შეასკდა საფლავის ქვას! „რას მეჩხუბები?! — იყვირა გაგულადებულმა საწყობის გამგემ. — შენა გგონია, რაკი მთვრალი ვარ, ხელს ვერ შემოგიბრუნებ?!“ რაჯაბმა სახელოები აიკაპიწა, უკან დაიხია, რომ ერთი გემოზე ეხეთქა, და ახლა კეფა რეხვა მეორე საფლავის ქვას. „ეგრე ხომ, ორნი ხართ?!“ — აღშფოთდა საწყობის გამგე. მარცხნივ დაიხია — მხარი მიარტყა, მარჯვნივ გადახტა, ისევ მოხვდა. „თქვენც ვაჟკაცები ხართ რალა! — იღრიალა რაჯაბმა. — ყველანი ერთს წამესიეთ! უბადრუკო ლაჩრებო! სათითაოდ გამოდით! აჰ, არ გინდათ, გეშინიათ? არა უშავს, ყველას გაჩვენებთ სეირს...“ დაუშინა, მაგრამ რა დაუშინა მთვრალმა მუშტები საფლავის ქვებს; დაეცემოდა, წამოდგებოდა, ისევ დაეცემოდა, ხან შუბლს ახლიდა ქვას, ხან კეფას, ხან მხარს, ღრიალებდა, იგინებოდა... როგორც იქნა გამოაღწია ჩხუბიდან, ტკივილმა ცოტათი გამოუნელა სასმელი, და უცებ გაიფიქრა: „ძაან ღონიერი ბიჭები კი იყვნენ, მე და ჩემმა ღმერთმა! განა ადამიანის სხეული ეგეთია? რკინისა ხომ არ იყვნენ, რა ვქნა?!“ და უცებ საზარელმა შიშმა მოიცვა ცალთვალა. რაჯაბი ქოხში შევარდა დალურჯებული, დასისხლიანებული, მუშტებდახეთქილი და კარებშივე ამოიხრიალა: „ლოგინი დამიგე, დედაკაცო. ახლა მოვკვდები. თ ო ვ ლ ი ს კ ა ც ე ბ მ ა მიმბეგვეს!“

კვლავ თავზარდამცემი მითქმა-მოთქმა მოედო შუბურუმს. ხალხი მოდიოდა საწყობის გამგის სანახავად, ისიც აჩვენებდა დალურჯებულ და დაბეგვილ ადგილებს, სულ უფრო და უფრო დაწვრილებით, უფრო და უფრო შემაზრზენად და მეტყველად ჰყვებოდა, თუ რა ვაი-ვაგლახით დააღწია თავი ღამით ქაფთართა ხროვას. პოეტური შთაგონება ეწვია ცალთვალა რაჯაბს!

ხომ თითქოს გონიერი კაცი იყო ვეტექიმი ჰამზათი, მაგრამ იმანაც კი, როცა დალილავებული საწყობის გამგე იხილა და მისი ნაამბობი მოისმინა, მომავალ დისერტაციას ასე დააწერა სათაურად: „წინაისტორიული მაღალმთიანი ცხოველის, შეცდომით „თოვლის კაცად“ წოდებულის — ადამიანებზე თავდასხმის გამო“.

ერთხელ გოდეკანზე, სადაც შემთხვევით სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარიც ესწრებოდა, ჰამზათი მოჰყვა თავისი დისერტაციის ამბავს: დიულთი-დალას მარადიულ თოვლში როგორ იპოვნა და გაზომა ქაფთარის კვალი, და რომ ეს უეჭველად ცხოველისა და არა ადამიანის კვალი იყო.

— იქნებ მთის ჯიხვის კვალი იყო? — იკითხა ვიღაცამ.

— რას ამბობ, ხუთთითა ფეხის ნატერფალი იყო, — მიუგო ვეტერინარმა.

— დათვსაც ხუთთითა კვალი აქვს! — ჩაერია კოლმეურნეობის მონადირე ყარა-ხართუმი.

— დათვი რატომ უნდა აფოფხებულიყო მყინვარზე, იმ მარადიულ თოვლში? — მხრები აიჩეჩა ჰამზათმა. — რაჯაბივით მთვრალი კი არ იქნებოდა.

სიცილმა გადაურბინა გოდეკანს.

— მაშ გადაწყვიტე, ქაფთარის შემწეობით შეაბიჯო მეცნიერებაში, ჰამზათ, ჰა? — სიცილით წამოიძახა სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარმა. — იქნებ გერჩია თვითონ თოვლის კაცი დაგეჭირა?

— ადამიანის არ არის-მეთქი, ცხო-ვე-ლია, წინაისტორიული ცხოველი.

— ცხოველის დაჭერა უფრო იოლია.

— რაში მესაჭიროება ცხოველის ფიტული — სამუზეუმო ექსპონატია და არა დისერტაცია. ფიტულის გამო არავინ იძლევა მეცნიერებათა კანდიდატის წოდებას.

— მე თუ მკითხავთ, ფიტული სჯობია, — წაიბურტყუნა მუხთარმა. — ათასგვარი სისულელის ჩმახვას მაინც მოეშვებით.

ძრწოლამ აიტანა მთელი აული. ყველაზე საშინელი განა ის იყო, რაც საწყობის გამგეს შეემთხვა — თუმცა დალურჯებული, მაინც ცოცხალი იყო, ლოგინში იწვა და ხალხს ზღაპრებს უამბობდა, — აგერ უკვე ორი კვირა სრულდებოდა, რაც ადამი არსად ჩანდა! გაჰქრა სოფლიდან, თითქოს აორთქლდა, თითქოს არც ეშობოს მთიელ დედას. ამან კი მართლა შეაშფოთა მუხთარი და პარტკომი ჩამსულა, სოფლის მაღაზიის გამგე, ხმელ-ხმელი, მაღალი კაცი, ავადმყოფური ფერი რომ ედო სახეზე. ყველაფრის ატანა შეიძლებოდა, მაგრამ აულის მცხოვრების უგზოუკვლოდ დაკარგვა უკვე მეტისმეტი იყო! ცხადია, ჭკვიანი ადამიანი არ დაიჯერებს ზღაპრებს, თითქოს დალაქი ქაფთარს შეეჭამოს! იმასაც ამბობდნენ, მესაფლავის მუქარით დამფრთხალი დალაქი ბარში გაიქცაო, — მუქარა ხომ ყველამ თავისი ყურით გაიგონა. მაგრამ განა შეეძლო საცოდავ კუზიანს ასე იოლად მიეტოვებინა მშობლიური ქოხი, ყმაწვილი ცოლი, ვისზეც ამდენი წელი უოცნებია? და ბოლოს რატომ არ აიღო სოფსაბჭოში ცნობა? თუნდაც იმის თაობაზე, რომ ის ნამდვილად კუზიანია და შუბურუმში დაიბადა? უცნობი კაცი ხომ კაცი არ არის!

თავმჯდომარე მუხთარმა მოსვენება დაკარგა. დღენიადაგ გულმოდგინედ იძიებდა და ეკითხებოდა ყველას, ვისაც კი უკანასკნელად ენახა ადამი; ტელეფონით რეკავდა ყველგან, სადაც კი შეიძლება გამოჩენილიყო დალაქი. პასუხი ერთი იყო: „არ გამოჩენილა!“. ბოლოს მუხთარმა ჩამოურეკა იმ აულებს, სადაც ბარში მიმავალი გზა გადიოდა: ადამი თვალში მოსახვედრი კაცია, იქნებ ნახესო. მაგრამ იმათაც უპასუხეს: არა, ჩვენს აულებში კუზიანს არ გამოუვლიაო. სოფსაბჭოს თავმჯდომარის მღელვარებამ და უცნაურმა მითქმა-მოთქმამ ცნობისმოყვარეობა აღუძრა მთელ რაიონს. წამდაუწუმ რეკავდნენ და ეკითხებოდნენ, კიდევ ვინმე ხომ არ დაგეკარგათ შუბურუმში, ან თქვენი თოვლის კაცი რასა იქმსო, — ეკითხებოდნენ და იცინოდნენ.

აი ახლაც გაგულისებულმა მუხთარმა ვიღაცას მიუგო: „ყველა ცნობისათვის ქაფთარის თაობაზე მიმართეთ ჩვენს ვეტერინარ ჰამზათს. დიახ, დიახ, ვეტერინარს!“ — და ყურმილი ჩამოჰკიდა.

— დასწყევლოს ღმერთმა! მალე მთელი დაღესტნის სასაცილო შევიქნებით.

ჩამსულას ხელები უკან შემოეწყო და მოუსვენრად ბოლთას სცემდა ოთახში.

— აჰ, შაითან! ვაქკაცები ვართ თუ არა? — გაბრაზებით თქვა მან. — რაც უნდა იყოს, ფაფახი გვხურავს. მაინც რა ხალხია! ყველა სისულელე ხომ არ უნდა დაიჯერო ადამიანმა.

— დაიჯერებ თუ არ დაიჯერებ — შენი საქმეა. იტყვიან: შუბურუმში პარტიული მუშაობის საქმე ცუდად მიდისო. პასუხიც შენ უნდა აგო. მე სხვა რამ მაწუხებს: ადამის საქმე ვერაა კარგად. რა ვიღონოთ?

— არ ვიცი.

— მაშ ვინ იცის, ამხანაგო პარტკომო?

— არ ვიცი.

— ჰმ. რას იტყვი, ნუთუ ჰაჯი-ბექირს შეეძლო ადამის მოკვლა?

— არ ვიცი.

— რა ყვავივით ერთსა და იმავეს დამჩხავი: ყვაა! ყვაა! მაშ რაღა იცი, ჩამსულა?

— რა და ჩვენი რომ გაგვეტანა და ბარში გადავსახლებულიყავით, ამ სულელურ ამბავში არ გავეხვეოდით.

— მეც მანდა ვარ! მერედა ვინ გეუბნებოდა: ნუ ელოლიავები, ნუ ეხვეწები ბერიკაცებს, ერთბაშად გადაწყვიტე-თქო; თუ საჭირო შეიქნა — ძალითაც გასახლე, მამაშვილურად აიძულე, როგორც აიძულებენ ხოლმე ბავშვს ფაფის ჭამას-თქო.

— ხომ არ შეიშალე, თავმჯდომარევ! ხალხი უნდა დაარწმუნო და არა აიძულო!

— ჰოდა, კარგადაც დაარწმუნე! უმალ ესენი დაგარწმუნებენ, რომ მართლაც არიან ქვეყნად თოვლის ადამიანები. აჰ, შაითანს წაუღია იმ ქაფთარების თავი! მესაფლავეს რა ვუყოთ? პროკურატურისათვის ხომ არ გვეცნობებინა? ჰა? გამოიძიონ.

— განა უკვე ელაპარაკე ჰაჯი-ბექირს?

— რა უნდა ველაპარაკო, ხომ არ იტყვის, გამკოჭეთ, მე მოვკალიო!

— არა, თავმჯდომარევ! შენ თვითონ დარწმუნებული არ ყოფილხარ და ადამიანი კი გინდა ციხეში ჩასვა! ჯერ თავად დარწმუნდი, გამოელაპარაკე, გამოჰკითხე, დაუკვირდი.

— ოჰ, არ მიყვარს ეგ მუქთახორა, — ჩაიბუზღუნა მუხთარმა. — ახალგაზრდაა, ჯანით სავსე, რომ მოინდომოს, ხარს წააქცევს, ყორანივით კი მძორით იკვებება.

— ეჰეი, მუხთარ, გონს მოდი! — აღშფოთდა ჩამსულა. — მძორი რას მიქვია, განა შენი თანასოფლელები არ არიან, პატივსაცემი მოქალაქენი?

— ჰო, ჰო, სწორია, პატივსაცემი მიცვალებულები. არც ის არის მუქთახორა, მესაფლავეა. ისკენდერ, მანდა ხარ? — გასძახა მუხთარმა.

— აქა ვარ, — გამოეპასუხა მეორე ოთახიდან სოფსაბჭოს მდივანი.

— სახვალიოდ ჰაჯი-ბექირი გამომიძახე, მესაფლავე.

და მაინც არ უნდოდათ დაეჯერებინათ, რომ შუბურუმში მკვლელობა მოხდა. შავ ლაქად დააჩნდებოდა ეს ამბავი მთელ აულს, მათაც მკაცრად მოსთხოვდნენ პასუხს, ხელმძღვანელებს გადმონაშთებთან ბრძოლა შეგისუსტებიათ, ისევ ხანჯლებს ატრიალებენ თქვენში და სხვა ასეთებიო...

არადა რატომაა ჰაჯი-ბექირი ასე გულდამძიმებული? დღითიდღე რად ეკარგება ფერი, რადაა დაბნეული, აჩრდილივით რად დაიარება? ამბობენ, საფლავის

ქვას უფრო ოოლად ამოაღებინებ ხმას, ვიდრე მასაო. იქნება სინდისი ქენჯნის.

ამ ერთი კვირის უკან მუხთარმა და ჩამსულამ ყარა-ხართუმს დაავალეს — მოევლო ახლომახლო ხრამები, უფსკრულები, კლდეები, ხეობები, მდინარის პირები: იქნებ მკვლელობის ან უბედური შემთხვევის კვალს წააწყდეო. ცხვარი ან კამეჩი ხომ არ დაკარგულა, — ადამიანი გაქრა! დ- ყარა-ხართუმიც ეძებდა და ეძებდა.

ეს ხევაც რაღა გახდა! უცნაური ქალია: ახლა ყოველდღე მოდის სოფსაბჭოში და ადამის ამბავს კითხულობს, თითქოს მისი ნამდვილი და დიდი ხნის ქმარი ყოფილიყო. ხევას თავზარი დასცა ადამის გაუჩინარებამ. „ნუთუ მოჰკლა? იქნებ უფსკრულში გადაჩეხა, ან დაახრჩო? — ფიქრობდა შეწუხებული. — რისი გულისთვის? ხომ თვითონ იყო დამნაშავე! ნუთუ შეეძლო ასეთი ავკაცობის ჩადენა? თუმცა კარგს რას უნდა ელოდე მესაფლავისგან? თურმე რა მხეცთან მიცხოვრია აქამდე!“ გუნებაში ხევა სულ ერთთავად თავის თავს საყვედურობდა, იმ ღამეს რად ვუთხარი უარი უბედურს აულიდან გაქცევაზეო. მაშ მანაც შეუწყო ხელი ადამის სიკვდილს. არადა მხოლოდ ადამთან იგრძნო თავი ლაღად და მსუბუქად, იგრძნო თავი ადამიანად, ოცნებაც კი სცადა!

დაბოლოს შუბურუმს ჭირის იმ შვიდ დათაგან უფროსი დაც ეწვია.

შაითან-ულელტეხილის გადალმა, დიახ, სწორედ იმ ულელტეხილის გადალმა, სადაც მრავალი წლის უკან წყაროსთან ერთმანეთს შეხვდნენ ალი-ხოჯა და ხოჯა-ალი და დასანაყრებლად ჩაიმუხლეს, — ხმელა პურს აწობდნენ წყალში, ჭამდნენ და თან საუბრობდნენ: „გულახდილად მითხარი, — ჰკითხა ხოჯა-ალიმ, — რას იზამდი, მთელი დაღესტნის მთავრად რომ აერჩიეთ, ჰა?“ — „მე? — გაელიმა ალი-ხოჯას. — რა თქმა უნდა, თუ ამირჩევდნენ... ამ პურს მაშინ წყალში კი არა, თაფლში ჩავაწობდი! შენ რაღას იზამდი?“ ჩაფიქრდა ხოჯა-ალი, მერე უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა: „რაღა უნდა მექნა, როცა ყველა სიკეთე შენთვის გინდა?“— ჰოდა, აი სწორედ ამ შაითან-ულელტეხილის გადალმა სასტიკმა ზვავებმა რამდენიმე ადგილას დააზიანა ერთადერთი სავალი გზა, შუბურუმს რომ დანარჩენ სამყაროსთან აკავშირებდა. ცხადია, ცრუმორწმუნე შუბურუმელებმა ესეც თოვლის კაცის ოინებს მიაწერეს. თუმცა მითქმა-მოთქმა და ზღაპრები როდი იყო უბედურება, უბედურება ის იყო, რომ სოფლის მაღაზიას ველარ უზიდავდნენ საქონელს და უწინარეს ყოვლისა ნავთს. აულში აღარც კანფეტი გააჩნდათ, აღარც შაქარი, აღარც გეჯუხური ღვინო, აღარც თამბაქო, ყველაზე მეტად რომ დაადარდიანა დარბაისელი ხალხი, ვისაც ჩიბუხი სულ ერთთავად პირში ჰქონდა გაჩრილი.

შაითან — ულელტეხილზე

ცხვრის რუხ ფარასავით მიილტვიან და ერთმანეთს ეხლებიან ღრუბლები, აგერ ძირს ჩამოვიდნენ და ხეობაში გაწვნენ ლეგა, თვალგაუტანბურუსად. მთიელი ქალიშვილის მანდილივით გრძელი და თეთრი, მსუბუქი ფთილა-ფთილა ღრუბლები თუ გამოაჩენენ ხანდახან მზეს შუბურუმის თავზე და მერე ისევ ზედ გადაეფარებიან. ირგვლივ კი თეთრჩალმიანი აღუშფოთველი კლდოვანი გოლიათები აღმართულან. აულმა კარგა ხანია გაიღვიძა, ხალხმა თავი მოიყარა სოფსაბჭოსთან, რომელიც წითელი აგურითაა ნაგები (საგანგებოდ რომ ამოზიდეს ქვემოდან). ღია ფანჯრებიდან ისმის ლაპარაკი, საბეჭდი მანქანის კაკაკუკი, ტე-

ლეფონის წკრიალი. ვინც თავი მოიყარა მოედანზე, ყველას უჭირავს ნიჩბები, წერაქვები, საგზალი, დოქები და დგანან, როგორც იდგნენ მათი მამები ამავე მოედანზე შაშხანებითა და საგზლით ხელში და ელოდნენ, როდის გამოვიდოდა მეთაური და წაუძღვებოდა წითელ პარტიზანებს, რათა თეთრების ხელიდან გამოეგლიჯათ აული მაჯალისი.

ხალისიან, ლოყაწითელა და შავთვალა აიშათს თეთრი ხალათი აცვია, ფრთხილად მიიკვლევს ხალხში გზას ჯოხზე დაყრდნობილ მოხუცისკენ: ეს ხოჯა-ალი გახლავთ, აიშათის პაპა, სოფსაბჭოს თავმჯდომარე მუხთარის სიმამრი. აიშათმა ხელში მისცა საგზალი და დოქი.

— პაპა, აქ ცოტა პური და კბვრის ყველია, დოქში კი...

— გმადლობთ, გმადლობთ, შვილო! — მხიარულად უთხრა ბერიკაცმა. — ისეთი ქმარი შეგხვედროდეს, ქვეყნად იმაზე კეთილი არავინ დადიოდეს. ნეტავ გაცოდინა, როგორ მიხარია, ამ დღეს რომ მოვესწარ! ჩემი შვილიშვილი ექიმია!

ხოჯა-ალი სიამაყითა და გრძნობამორევით შესცქეროდა ახალგაზრდა ექიმს.

— რა არის, პაპა, ხალხში ამაზე ლაპარაკი... — პირისახე აეფაკლა აიშათს.

— მაშ ვისთან მოვიწონო თავი?! — გაუკვირდა ხოჯა-ალის. — თეთრი ხალათი რომ გაცვია, ზედგამოჭრილი ალაჰის ანგელოზი ხარ. წამალი თუ ჩამიდე?

— დიახ.

— ტკბილია თუ მწარე?

— ტკბილია.

— ტკბილადამც დაგაბეროს ალაჰმა, შვილო! გინდა საქმროს ამოგირჩევ?

— მე თვითონ ამოვირჩევ.

— აბა შენ იცი! ახალგაზრდა თვალი ადვილად ტყუვდება. ის ჩვენი ცხენის ექიმბაში რაღაც ძალზე ხშირად ახველებს შენს ფანჯრებთან, ხველამც შეჰყაროს ალაჰმა! ცუდი სენია ხველა!

ხოჯა-ალიმ ქათიბის კალთით გადაწმინდა ქვა და ჩამოჯდა, დოქიც ფერხთით მიიდგა.

— არა უშავს, პაპა, მოვარჩენთ!

— თავისი ფაფახი ხომ არ შემოუგდია შენს ფანჯარაში?

— ჯერჯერობით არა, — გაელიმა აიშათს.

— იცოდე, შვილო, ის ცხენის ექიმბაში მტრის გვარისაა.

— რაო?! — განცვიფრდა აიშათი.

— დიახ, დიახ.

— ეგ რანაირად? რატომ მეუბნები მაგას? მაშ იმათაც მტრად მივაჩნივართ. რისთვის?

— ეგ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, — დინჯად წარმოთქვა ხოჯა-ალიმ. — მათ გვიანდერძეს, ამ გვარს ერიდეთო, მორჩა და გათავდა. დამოყვრებაზე ხომ...

— განა ღირს, პაპა, ძველი დროის გახსენება?

— ღირს თუ არა ღირს, შენ ისე ჩათვალე, რომ გაგაფრთხილეს. მიხვდი?

— კარგი, პაპა. ახლა წავალ, ავადმყოფები მელიან.

აიშათი საავადმყოფოში დაბრუნდა, სადაც სულ ორი ოთახი და ოთხი საწოლი იყო. კაცმა რომ თქვას, ავადმყოფიც ცოტაა აულში. ამსიმაღლეზე ჰაერი წყაროს წყალივით კამკამაა და გრილი; აქ არ იციან არც გრიპი, არც სურდო, არ უფრთხიან გამკრავ ქარს. ნიჩაბმა და ნამგალმა, წერაქვმა, ცელმა, ჩაქუჩმა და სალმა კლდემ გააკაჟა ადამიანები; ზოგჯერ გაშტერებას ხარ: ისეთ ხრამში ჩა-

იჩეხება კაცი, დანახვაც კი გზარავს, ერთი კვირა კი ჩაწვება ლოგინში და გაიხედავ — დადის ისევ აულში, ოდნავ მიათრევს მხოლოდ ცალ ფეხს. აბა ქალაქელი გადავარდნილიყო იმ ხრამში — ძვლებსაც ვერ აკრეფდა კაცი!

სადაც ხალხია, იქ გნიასიცაა. ზუზუნი, ჟრიამული დგას მოედანზე. ყური მიუგდეთ, მეტწილად თოვლის კაცზე, ქაფთარზე ლაპარაკობენ...

ალი-ხოჯამ შორიდან მოჰკრა თვალი ხოჯა-ალის და მტკიცედ გაემართა მისკენ, გზადაგზა ხელს ართმევდა, ვისაც მისალმების ღირსად მიიჩნევდა. ხოჯა-ალიმაც დაინახა იგი, წარბი შეიკრა და ზურგი აქცია, მაგრამ ალი-ხოჯას ყურიც არ გაუპარტყუნებია, ბეჭზე ხელი დაჰკრა მოხუცს:

— იცი, წვერცანცარა, რა არ მომწონს ამ ჩვენი ხელისუფლებისა?

— შენ ხომ შენი დღე და მოსწრება სულ უკმაყოფილო ხარ, — ჩაიბურტყუნა ხოჯა-ალიმ.

— ხმამაღლა თქვი! აქ ისეთი გნიასია, თითქოს ქარმა ქალების აბანოს სახურავი გადააძრო. რა დაგემართა, არ გინდა ხმა გამცე?

— რას გადამეკიდე, რა გინდა?

— რა მინდა და მელაპარაკე, მედავე, იყვირე, მლანძღე — მაშ რატომღა ვცოცხლობთ ამქვეყნად?

— რათაო? რა გვაქვს სადავო?

— სადავოს ვიშოვნით, მონდომება იყოს თორე, — ალი-ხოჯამ დოქი აიღო და ტუჩზე უსუნა; ხოჯა-ალიმ გამოართვა, ისევ ფეხებთან დაიდგა და ზურგი აქცია. მაგრამ ალი-ხოჯამ მხრებში ჩაავლო ხელი და მოახედა. — ეი, შენ გელაპარაკები, შე ფეხუცას შვილო!

— ჰო, რა გინდა?

— იცი, რა არ მომწონს ამ ჩვენი ხელისუფლებისა... — გაიმეორა ისევ ალი-ხოჯამ და სოფსაბჭოსკენ გაიშვირა თითი.

— რას მომეწებე, როგორც მუხის ფოთოლი ზღარბს! ჰო, კარგი, თქვი, რა არ მოგწონს ჩვენი ხელისუფლებისა, — დანებდა ბოლოს ხოჯა-ალი.

— ლაქლაქა ხალხი მომრავლდა! წერა-კითხვა ყველამ იცის, ყველამ ისწავლა ლაპარაკი, თაფლის ჭამა, ენაზე ერბოს წასმა. სიტყვებით ისეთ ქამანდს დაგიგებენ, კვიცს კი არა, ქაფთარსაც დაიჭერ. საქმე კი არ იძვრის!

— რა საქმე?

— აი, ის, რისი გულისთვისაც ვყრივართ აქ მე და შენ ნიჩბებითა და წერაქვებით... მამაშენს შენი დაბადების ამბავი რომ მივუტანე, გგონია, გაიხარა? მამა გიცხონდა! პანღური ამომკრა ერთ ალაგას. ნაღდად გული ეუბნებოდა, რა შვილიც იქნებოდი... ეჰ, ბებერი კი ბევრია აულში, მაგრამ ახალგაზრდობა არა ჩანს, სიცოცხლე არა დუღს! არ ვიცი, ბებრები აღარ იხოცებიან, თუ ახალგაზრდები ბერდებიან ადრე. აი, მაგალითად, იმ კვირას ავად შევიქენ, ვიფიქრე, ახლა კი აღსასრული მეწვია-მეთქი! ამ დროს მობრძანდა ჩემი ძმისწული ჰამზათი და...

— რა გიქნა?

— ხომ ხედავ, აგერ ვარ! საღ-სალამათი! ჰამზათი ძაან ექიმია!

— შენი ჰამზათი ვერ მოვა ჩემს შვილიშვილთან, აიშათთან!

— შეადარა თავშალი ფაფახს! ჰამზათი თავისი საქმის ოქრომჭედელია. მალე მეცნიერიც შეიქნება: დი... დი... დე... სერტ... აქციას წერს...

— ის ხომ ვე-ტე-რი-ნარია! ძროხებისა და ცხვრების მკურნალი!

და ჟეპასკენ დაეშვა და ის ადგილი მონახა, სადაც მოზიდული ქვა უნდა დაეყარათ. შემდეგ ვეზირის სანდო კაცთაგან ერთი გაანგარიშებებითა და ნახაზებით სტამბოლში დააბრუნა.

ხუროთმოძღვარი იქვე დარჩა და ვეზირის ბრძანებას დაელოდა, ეს კია, არც ვიშეგრადში და არც ჟეპას სახელგანთქმულ სახლებში ცხოვრება არ ინდომა. ხუროთმოძღვარმა დრინასა და ჟეპას შესართავთან მაღალ კონცხზე ააგებინა ძელური ქოხი და მალე კიდეც შიგ ჩასახლდა. ვეზირის მეორე სანდო პირი და ვიშეგრადელი კანცელარიის მწერალი მას თარჯიმნებად დაუდგნენ. ხუროთმოძღვარი საჭმელს თვითონ იმზადებდა. იგი გლეხებისაგან ყიდულობდა კვერცხს, ნადურს, ხახვსა და ხმელ ხილს, ხორცს კი, ამბობენ, საერთოდ არ ყიდულობდაო. იგი მთელი დღეების განმავლობაში თლიდა ქვებს, ხაზავდა, ცდიდა სხვადასხვა ხარისხის კირქვის ტუფს ანდა სწავლობდა მდინარის დინებას.

მალე სტამბოლიდან ჩამოვიდა კაცი, ჩამოიტანა ვეზირის დასტური და ხიდის მშენებლობისათვის საჭირო თანხის მესამედი.

გაჩაღდა მუშაობა. ხალხს აოცებდა სასწაულებრივი ნაგებობა, მათ თვალწინ რომ შენდებოდა. ხიდი მას არც ეთქმოდა. უპირველესად, მდინარის გადასწვრივ ჩაარჭვეს ფიჭვის დიდ-დიდი ხიმინჯები, მათ შუა კი ორ მწკრივად ჩაასვეს წნელებით გადახლართული მარგილები და მერე ის ადგილი აყალო მიწით ამოავსეს. მდინარე გადახერგეს, წყალს გეზი უცვალეს და ნახევარი კალაპოტი მშრალზე დატოვეს.

კალაპოტის გადახურვას ამთავრებდნენ, როცა მოულოდნელად სადღაც მთებში კოკისპირული წვიმები დაიწყო. ჟეპას წყალი აიმღვრა და აქაფდა. იმავე ღამეს მდინარემ თითქმის მზა კაშხალი შუაზე გაარღვია. დილით წყალმა იკლო და მდინარე კვლავ მიყუჩდა, მაგრამ კაშხალი უკვე გაპარტახებული იყო, მარგილები ამოგლეჯილი, ხიმინჯები წალეკილი. მუშებსა და ხალხში ხმა დაირხა: აღარ იგუებსო ჟეპა ხიდს, მაგრამ უკვე მესამე დღეს ხუროთმოძღვარმა ბრძანა ხიმინჯები კვლავ ჩაერჭოთ, ოღონდ ახლა უფრო ღრმად და აღედგინათ დანგრეული კაშხალი. ქვიანი კალაპოტი კვლავ აახმაურა მუშათა შეძახილებმა და მძიმე ურიების გრუხუნმა.

როცა ბანიიდან ქვები მოიტანეს და მოსამზადებელი სამუშაოები დაამთავრეს, ჰერცოგინიიდან და დალმაციიდან მოვიდნენ კალატოზები და ქვისმთლელები. მათთვის სახელდახელო საცხოვრებლები ააშენეს. ზღურბლის წინ მსხდარი, მტვრისაგან მეწისქვილეებივით გათეთრებული ქვისმთლელები დილიდან საღამომდე უკაკუნებდნენ ქვებს. ხუროთმოძღვარი კი თავს დასტრიალებდა მათ, წარამარა ზომავდა ქვის ფილებს სპილენძის სამკუთხედითა და მწვანეზონრიანი შვეულით. და აი, უკვე მდინარის ორივე მხარეზე მშენებლებმა გამოთხარეს კლდოვანი დახრამული სანაპიროები, მაგრამ ამ დროს თანხა ამოიწურა. მუშები აბუზღუნდნენ, ხალხიც ალაპარაკდა, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო. სტამბოლიდან ჩამოსულმა ვიღაც კაცებმა ხმა დააგდეს, მშენებლობაზე ვეზირმა გული აიყარაო. ავადმყოფობა იყო ამის მიზეზი, თუ რაიმე სხვა საზრუნავი გაუჩნდა, არავინ იცოდა, ვეზირი კი ისე გართულიყო თავის ფიქრებში, რომ სტამბოლში დაწყებული სამუშაოებიც მიატოვა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა ვეზირის კაცი, ჩამოიტანა ფული და მშენებლობაც განახლდა.

დიმიტროობამდე სამიოდე კვირით ადრე, როცა ხიდზე გადადიოდნენ, ადამიანებმა პირველად შეამჩნიეს, რომ მდინარის ორივე მხარეზე მუქი რუხი ფიქალის კლდეებიდან გამოდის თლილი ქვის თეთრი და სწორი კედელი, აბლაბუდასავით რომ შემოხლართვოდა ხარაჩოები. იმ დღიდან კედელი ყოველდღიურად იზრდებოდა. მაგრამ იმხანად სწორედ ადრეული ყინვები დაიჭირა და მუშაობა შეწყდა. მშენებლები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, ხუროთმოძღვარი კი გამოსაზამთრებლად თავის პაწია ქოხში დარჩა, საიდანაც თითქმის არსად არ გადიოდა, რუდუნებით ჩაჰკირკიტებდა თავის ნახაზებსა და გაანგარიშებებს და მხოლოდ მშენებლობას თუ მოინახულებდა ხოლმე. გაზაფხულზე, როცა ყინული გაიბზარა, ჩაფიქრებული ხუროთმოძღვარი ხარაჩოებსა და მიწაყრილს დღეში რამდენჯერმე შემოივლიდა, ზოგჯერ კი — ღამითაც, ფარნით ხელში.

მუშები გიორგობამდე დაბრუნდნენ და მუშაობაც კვლავ გახურდა. სწორედ შუა ზაფხულში დამთავრდა მშენებლობა. მუშები მხიარულად ხსნიდნენ ხარაჩოებს და აი, ნელ-ნელა წამოიმართა ხიდი, — გამოკვეთილი, თეთრი, მოშვილდული თაღით მდინარეზე გადაკიდული.

ყველაზე დიდი მეოცნებეც ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ გატიალებულ, მივარდნილ ადგილზე გაჩნდებოდა ასეთი მშვენიერი ნაგებობა. გეგონებოდა, თითქოს მდინარის ნაპირებს ერთმანეთისთვის უტყორცნიათ წყლის ქაფქაფა ჭავლები, უმალ რომ გაყინულან უფსკრულის თავზე და მოლივლივე თაღად შეკრულანო. თაღის ღიობიდან ჩანდა ლურჯად მოციალე დრინა, ხოლო ძირს, სიღრმეში გაშმაგებით მიბობოქრობდა შებოჭილი ჟეპა. თვალი ვერ ძღებოდა ადამიანის ამ ნახელავის სილამაზითა და მსუბუქი მორკალური ხაზებით, თითქოს გაფრენისას რომ უნებურად ჩასჭიდებოდნენ კატაბარდითა და უსურვაზით შემობურდულ პირქუშ, ციცაბო კლდეებს და იმუქრებოდნენ, სიოს პირველსავე წამოქროლვაზე ავფრთხიალდებით და გავუჩინარდებითო.

ხიდის სანახავად მეზობელი სოფლებიდან მოაწყდა ხალხი. ვიშეგრადიდან და როგატიციდან მოდიოდნენ ქალაქელები. ხიდით აღფრთოვანებულებს გული სწყდებოდათ, ასეთი მშვენიერება ამ მიყრუებულ ადგილს რომ შეამკობდა და არა მათ მშობლიურ ქალაქებს.

— აბა რა გეგონათ, თქვენც დაგებადათ თქვენი ვეზირი, — პასუხობდნენ მათ ჟეპას მცხოვრებნი და ხელს უტყაპუნებდნენ ქვის მოაჯირს. მისი კედლები ისე თანაბრად და სწორად იყო ამოყვანილი, რომ ქვისგან გამოკვეთილი კი არა, ყველისაგან ამოჭრილი გეგონებოდათ.

პირველმა აღტაცებულმა მგზავრებმა ხიდზე გასვლა ვერც მოასწრეს, რომ ხუროთმოძღვარმა მუშებს ანგარიში გაუსწორა, შეკრა ხელსაწყოებითა და ქაღალდებით გატენილი სკივრები და ვეზირის სანდო პირთან ერთად სტამბოლს მიაშურა.

ქალაქებსა და სოფლებში მხოლოდ მაშინ ალაპარაკდნენ ხუროთმოძღვარზე. ბოშა სელიმი, ვიშეგრადიდან ხუროთმოძღვრის ბარგი თავისი ცხენით რომ გადაიტანა და ერთადერთი კაცი იყო, მის ქოხში ნამყოფი, დუქნიდან დუქანში გადადიოდა და, ღმერთმა უწყის, მერამდენედ ჰყვებოდა იმას, რაც კი იმ უცხოელზე იცოდა:

— მე მაინც მგონია, რომ იგი სხვებისაგან განსხვავებული კაცია. ზამთარში, როგორც კი სამუშაოები შეწყდებოდა, ხანდახან მთელი ორი კვირა ვერ

შევივლიდი მასთან. მერე მივიდოდი და ვხედავ, ყველაფერი ისევ ხელუხლებლად უწყვია, როგორც დავტოვე. ქოხში სუსხი მძვინვარებს, ის კი ზის თავისთვის, დათვის ტყავის ქუდი ჩამოუფხატავს, ნიკაპამდე შეფუთნულა, მხოლოდ სიცივისაგან გალურჯებული ხელები მოუჩანს, თლის ქვას და სულ რაღაცას წერს. თლის და წერს. ისეც ხდებოდა, კარს გავაღებდი, ის თავის მწვანე თვალებს შემომაკვესებდა, წარბებს შეჭმუხნიდა, თითქოს აგერ-აგერ უნდა შემჭამოსო, მაგრამ თვითონ კრინტს არ დაძრავდა. რაც დავიბადე, ასეთი ვინმე არ მინახავს. და აი, ჩემო ძვირფასებო, ასე წვალობდა მთელი წელიწადნახევარი და, როგორც კი მშენებლობა დაამთავრა, სტამბოლისაკენ გაუტია. ჩვენ იგი გალმა ნაპირზე ბორნით გადავიყვანეთ. შეჯდა თუ არა უნაგირზე, ცხენი გააფიცხა. ერთხელ მაინც შემოეხედა ან ჩვენთვის, ანდა ხიდისათვის!

მედუქნეები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ბოშას ეკითხებოდნენ ხუროთმოძღვარზე, მის ყოფა-ცხოვრებაზე და სულ უფრო და უფრო განცვიფრებულნი წუხდნენ, რომ თავის დროზე ვერ მოიფიქრეს, მაშინ დაკვირვებოდნენ ამ უცნაურ კაცს, როცა იგი ვიშეგრადის ქუჩებში დადიოდა.

ამასობაში ხუროთმოძღვარი თავის გზას განაგრძობდა. მაგრამ სტამბოლიდან ორ გადასარბენზე მყოფს შავი ჭირი შეეყარა. სიცხისაგან გათანგულმა ძლივს მიაღწია ქალაქს და მაშინვე იტალიელი ფრანცისკელების საავადმყოფოს მიადგა. ერთი დღე და ერთი ღამე იტანჯა და მერე ერთ-ერთი ბერის ხელში დალია სული.

მეორე დღეს, დილით, ვეზირს ხუროთმოძღვრის სიკვდილი აუწყეს და ხიდის გაანგარიშებები და ნახაზები მიართვეს. ხუროთმოძღვარმა მისთვის განკუთვნილი ჯილდოს მხოლოდ მეოთხედი მიიღო. სიკვდილის შემდეგ მას არც ვალი დარჩენია, არც ანდერძი და არც მემკვიდრეობა. დიდხანს იფიქრა ვეზირმა და ბოლოს ბრძანა, რომ განსვენებულის ქონების ერთი ნაწილი საავადმყოფოსათვის გადაეცათ, ხოლო ორი დანარჩენი შეეწირათ უპატრონოთა თავშესაფრებისათვის.

სწორედ მაშინ, როცა დიდმა ვეზირმა განსვენებულის ქონება ასე რიგად გაანაწილა — ეს მოხდა ზაფხულის მიწურულს, ერთ წყნარ დილას, — მას მიართვეს თხოვნა ახალგაზრდა, განათლებული სტამბოლელი მოძღვრისა. იგი წარმოშობით ბოსნიიდან იყო, მშვენიერ ლექსებს თხზავდა და დროდადრო ვეზირის წყალობითა და უხვი საბოძვარით სარგებლობდა. მოძღვარი წერდა, ჩემამდე მოაღწია თქვენი ბრძანებით ბოსნიაში აგებული ხიდის ამბავმა და ვიმედოვნებ, როგორც ყოველგვარ საზოგადოებრივ ნაგებობებს, ამ ხიდსაც გაუკეთდება წარწერა, რათა ყველამ იცოდეს, როდის და ვინ აგოო იგი. ჰოდა, ჩვეულებისამებრ ახლაც თავაზობდა დიდ ვეზირს თავის სამსახურს და სთხოვდა ღირსი გაეხადა იმისა, რომ მიეღო იქვე დართული ტექსტი სამახსოვრო წარწერისა, დიდი რუდუნებით რომ შეედგინა. სქელ ფურცელზე წითელი და ოქროს მთავრული ასოებით გულმოდგინედ გამოყვანილი იყო წარწერა:

როცა კარგი ხელისუფლება და კეთილშობილი ხელოვნება
ერთმანეთს ხელს გაუწვდიან,
იქმნება ასეთი მშვენიერი ხიდი,
საბედნიეროდ ქვეშევრდომთა და სადიდებლად იუსუფისა
უკუნითი უკუნისამდე.

ქვემოთ ეხატა ვეზირის ბეჭედი, ფურცელს რომ ორ არათანაბარ ნაწილად ჰყოფდა. ერთ მხარეს, უფრო დიდზე, ეწერა: „იუსუფ იბრაჰიმი, ერთგული მონა ღვთისა“, მეორეზე კი — ვეზირის დევიზი: „მდუმარებაში ჰპოვე იმედი“.

დიდხანს უჯდა ვეზირი ამ თხოვნას, ცალი ხელი წერილზე ედო, მეორე — ხუროთმოძღვრის გაანგარიშებებსა და ნახაზებზე. ბოლო ხანებში რატომღაც სულ უფრო მეტად აფიქრებდა ვეზირს ყოველი თხოვნა და წერილი.

იმ ზაფხულს ორი წელი მიიწურა ვეზირის შერისხვისა და პატიმრობის დროიდან. ხელისუფლებას რომ დაუბრუნდა, პირველ თვეებში ვეზირი საკუთარ თავს ვერავითარ ცვლილებას ვერ ამჩნევდა. მან მიაღწია იმ ასაკს, როცა ყველაზე უფრო მკვეთრად შეიგრძნობს კაცი სიცოცხლის ფასდაუდებელ სიტკბოებას: მან დაამარცხა თავისი მტრები და ახლა უფრო ძლევამოსილი გახდა, ვიდრე ოდესმე; თავისი ამასწინდელი დამდაბლებით იუსუფს შეეძლო გაეზომა სიმაღლე ამჟამინდელი სიდიადისა. მაგრამ რაც უფრო შორს იყურებოდა, მით უფრო მეტად აღელვებდა დილეგის მოგონება. თუ ხანდახან შავი ფიქრების გაფანტვას მოახერხებდა, სიზმრის აღკვეთა მის ძალას აღემატებოდა. გრძელ ღამეებში ვეზირს სტანჯავდა პატიმრობის კოშმარები, რაც უნებლიე შიშის ლანდად ასდევნებოდა ცხადშიც და სიცოცხლეს უწამლავდა.

დიდი ვეზირი როგორღაც უფრო მგრძნობიარე გახდა ირგვლივ მყოფ საგნებისადმი. აქამდე შეუმჩნეველი საგნები ახლა აღიზიანებდნენ. მან ბრძანა თავის სასახლეში შეეცვალათ მთელი ხავერდი ღია ფერის შალის ქსოვილით, ხაო რომ არ ჰქონდა და არც შარიშურობდა ხელის შეხებაზე. მან შეიძულა სადაფი, რადგან მისი წარმოდგენით იგი სიცარიელესა და მარტოობას გამოხატავდა. სადაფს თვალს შეავლებდა თუ შეეხებოდა, ვეზირი კბილს კბილზე დააჭერდა და მთელ ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა. ყოველგვარი მოსადაფებული ავეჯი თუ იარაღი გაიტანეს და მის თვალს მოაშორეს.

იუსუფმა ყველაფერს ფარული ეჭვით დაუწყო ცქერა. ეს რამდენიმე ხანია საშინელი ფიქრი აეკვიატა: ადამიანის ყოველგვარ საქციელსა და ყოველგვარ სიტყვას შეუძლია ბოროტება მოუტანოს მას. ბოროტების ეს ფარული ეჭვი სდევდა ყოველივეს, რასაც კი იუსუფი ისმენდა, ხედავდა, ლაპარაკობდა თუ ფიქრობდა. გამარჯვებულმა ვეზირმა ცხოვრების წინაშე შიში იგრძნო. ასე, თავისდა შეუმჩნევლად მიუახლოვდა ვეზირი სიკვდილის სამანს, — როცა ადამიანის ყურადღებას უფრო საგანთა ჩრდილები იპყრობს, ვიდრე თვით საგნები.

ამ მტკიცედ ჩაბუდებულმა სენმა ვეზირს გული და ტვინი ამოუჭამა, და არც იყო არავინ, რომ მინდობოდა, რომ გულახდილობით სული განეტვირთა. მომაკვდინებელმა საწამლავმა გინდაც ბოლომდე გამოავლინოს თავისი გამანადგურებელი ძალა, მაშინაც კი ვერავინ ვერაფერს უგებს მას და ადამიანები უბრალოდ ამბობენ — ეს არის სიკვდილი. ხომ არც არავის ჰგონია, რამდენი დიდი და ძლიერი ამა ქვეყნისა თან დაატარებს თვალით უხილველ, მაგრამ გარდაუვალ სიკვდილს.

როგორც ყოველი უძილო ღამის შემდეგ, იმ დილითაც ვეზირი დაღლილი იყო, თუმცა გონება მშვიდი და ნათელი ჰქონდა. ქუთუთოები დამძიმებოდა, პირსახეს კი თითქოს დილის სუსხი უჭმუხნიდა. ვეზირი ფიქრობდა უცხო მიწა-წყლის გარდაცვლილ ხუროთმოძღვარსა და იმ ღარიბ-ღატაკებზე, ვისაც ხუროთმოძღვარმა ლუკმა გაუჩინა. ფიქრობდა პირქუშ მთიან ბოსნიაზე (წარმოსახვა ბოს-

ნიას ყოველთვის პირქუშ ფერებში უხატავდა!), სადაც თვით ისლამის წმინდა სინათლეც უძლურია გაფანტოს წყვდიადი, სადაც შუბლშეკრული ღარიბი ხალხი სიბნელესა და უმეცრებაში ატარებს ცხოვრებას. და რამდენია ასეთი მივარდნილი კუთხე ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში? რამდენი შმაგი მდინარეა უხიდოდ, ფონი კი არა აქვს. რამდენი სოფელია, სასმელი წყალი და მეჩეთები, სიხარული და მშვენიერება რომ არ უხილავს.

დიდი ვეზირი გონების თვალით ჭვრეტდა სამყაროს, უსაზღვრო სიდუხჭირით, მრავალგვარი შიშითა და ძრწოლით აღსავსეს.

მზის ათინათი დაცქრიალებდა ბაღის ტალავრის მწვანე კრამიტის სახურავზე. ვეზირს თვალში მოხვდა მოძღვრის ლექსი. მან ხელი ასწია და ორჯერ გაუსვა ხაზი. ცოტაოდენი შეყოვნების შემდეგ გადახაზა თავისი ბეჭდის მარჯვენა მხარეც, სადაც მისი სახელი ეწერა. დარჩა დევიზი: „მდუმარებაში ჰპოვე იმედი“. ეს დევიზიც სწრაფად წაშალა.

ასე უსახელოდ დარჩა ხიდი.

იქ, შორეულ ბოსნიაში, იგი ძველებურად ბრწყინავდა მზეზე, ციმციმებდა მთვარის მაცდუნებელ შუქზე და ხალხი თუ ნახირი ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავდა. გაფაშრებული მიწა და მშენებლობის ნაყარნუყარი გადასწორდა. მორებისა და ფიცრების ნარჩენები ზოგი ხალხმა დაიტაცა და ზოგი წყალმა წაიღო. წვიმამ კირითხუროების ნაჯაფარი გადარეცხა. მაგრამ ბუნებამ მაინც ვერ შეითვისა ეს ხიდი, ისევე როგორც იგი ვერ შეერწყმოდა ბუნებას. შორიდან თოვლივით მოქათქათე, ამაყად მორკალური თაღი მგზავრის თვალს ეული და უცხო ეჩვენებოდა ყველაფრისადმი, რაც გარს ერტყა. იგი მას აოცებდა, როგორც ნათელი აზრი, უცაბედად შემოფრენილი და გამომწყვდეული ირგვლივ შემოჯარულ ამ კუშტსა და მაღალ მთებს შორის.

ამ ლეგენდის მომთხრობელი პირველი კაცი იყო, ვინაც მოიწადინა ამოეცნო უსახელო ხიდის ამბავი. ერთხელ, საღამო ხანს, იგი დაღლილი ბრუნდებოდა მთებიდან და დასასვენებლად ქვის მოაჯირთან ჩამოჯდა. ზაფხულის ცხელ დღეებს გრილი საღამოები ცვლიდა. ზურგით მოაჯირის ფილებს მიყრდნობილმა იგრძნო დღის მოალერსე სითბო, ქვას რომ შეენარჩუნებინა. კაცი ოფლიანი იყო, დრინადან კი ცივი სიო ქროდა. ჰოდა, მზით გახურებული თბილი ქვის შეხებამ უცნაური ჟრჟოლა მოჰგვარა. კაცმა და ქვამ უცებ გაუგეს ერთმანეთს და კაცმა მაშინვე გადაწყვიტა ეს ისტორია დაეწერა.

რობერტ ბერნსი

ორი ძაღლი

პოემა

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ერისთავმა

●

შოტლანდიაში, სწორედ იმ ადგილს,
რომელსაც ძველი თქმულების ყადრით
მეფე კოილის სახელს ეძახის
ამ ჩვენს კუნძულზე მცხოვრები ხალხი,
ივნისის მზეში წანწალით დაღლილს
ერთ ძაღლს შემოხვდა მეორე ძაღლი.

ცეზარი ლორდის სახლიდან გახლდათ,
ჩვენებურ ჯიშის არ იყო, ნაღდად, —
მისი ყურები, დრუნჩი და ბეწვი
განირჩეოდა უცხოურ პეწით;
ჩანდა, შობილი უცხო ქვეყანას,
აქ მეზღვაურებს ჩამოეყვანათ.

სახელი დიდი და სასახელო,
წარწერიანი თითბრის საყელო —
კლიტით შეკრული ლამაზ ყურებთან
მაღალ წოდებას ადასტურებდა.
მაგრამ წოდების მიუხედავად
მას თავმდაბლობა ჩვეოდა თავად:
ბაზარს თუ წისქვილს, სამჭედლოს, საყდარს
მისი სტუმრობა არასდროს აკლდა;

არ თაკილობდა სასახლის გარეთ
მდაბიო ძაღლთან კუნტრუშს და ალერსს, —
ვინმე მკალავი ბოშას კარავთან
გალურწკულ ნაგაზს ლოშნით ფარავდა;
სხვებივით, სადაც მოახელებდა.
ქვებს და კოლბოხებს მოასველებდა.

ლუათი იყო გარეთ და შიგნით,
შოტლანდიური ჯიშის და ჯიგრის,
მისი პატრონი სახნისს ეკიდა
და სიღარიბე ფეხზე ეკიდა;
არც უფიქრია ბედთან დაობა,
უყვარდა ლხინი და ლექსაობა;
გარდასულ დროთა მინსტრელის მსგავსად,
მანაც ლუათი დაარქვა ძაღლსა;
მეგობარივით ჰყავდა შეზრდილი,
მოსწონდა მისი შნო და გერგილი.
ზედ შუა შუბლზე ქათქათა ზოლი
დაუყვებოდა ლამაზად კოლის;
ყველა ძაღლს სჯობდა ძაღლი ლუათი
გამბედაობით, ჭკუით, ყუათით,
მისი სიმკვირცხლე და მარიფათი,
სანდომიანი, სათნო სიფათი,
მაღალ ყორეზე თავს გადავლება,
თეთრი მკერდი და ზურგი შავლეგა,
ბომბორა კუდი, აწვდილი მაღლა,
ეს კუდი ღირდა მარტო ერთ ძაღლად.

შეიყრებოდნენ ასე ძაღლები,
როგორც ერთგული ამხანაგები,
ჰქონდათ საერთო გულისნადები, —
ერთად უყვარდათ დევნა თაგვების,
მათ სოროებთან თხრა და ფხაკური.
ოინი სხარტი და ეშმაკური.

დაწანწალებდნენ ხან უკან, ხან წინ,
გაუწყდებოდათ ვიდრემდე ქანცი;
მიყუჩდებოდნენ მერე სრულებით
და სადმე დინჯად დაყუნცულები
ზურგს შეაქცევდნენ ფუქსავატ თამაშს
და კაცის ბედზე იწყებდნენ კამათს.

ცეზარი

— მიკვირს, — ეტყოდა ცეზარი ლუათს, —
და რომ გავერკვე, არ მყოფნის ჭკუა,
ან როგორ ცხოვრობს შენგვარი ძაღლი,
ან რით არსებობს საწყალი ხალხი.
ჩემი ბატონი შენს პატრონს ახრჩობს,
რადგან ქვანახშირს, პურსა და სარჩოს,
ფრინველს და ცხოველს და რაგინდარას,
გლეხი-კაცისგან იღებს იჯარად.
არასდროს არსად ეგვიანება,
იღვიძებს, როცა ეპრიანება,
ზარს დარეკავს და მოვა ლაქია,
ეტლი და ცხენიც წამში აქვეა;
ფულს თუ იკითხავ, მოგეცა ლხენა, —
ქისა ექნება ამ კუდისხელა,
ქისაში ბრწყინავს ოქროს გინეა, —
ზედ მეფე ჯორჯის თავ-გვირგვინია.
გათენებიდან მწუხრის ბინდამდე
მოახლეები ხორაგს ზიდავენ,
ხარშავენ, წვავენ, აცხობენ, დღვებენ,
შემწვარ-მოხრაკულს სინებზე დებენ
და ჯერ ბატონის სუფრაზე დგამენ,
მერე ნასუფრალს თვითონვე ჭამენ;
და სუქდებიან უქმად მცხოვრები
ნაირ-ნაირი მუქთახორები.
ჩვენი მგეშავი, ლენჩი და მქისე,
რაგუს და სოუსს მიირთმევს ისეთს,
არა მგონია, ყელზე დაადგეს
ყველაზე მდიდარ მოიჯარადრეს;
გლეხს კი რა რჩება ჩასაკვნეტავი,
მშიერ კუჭს რითი ივსებს ნეტავი!

ლუათი

შენ რასაც ამბობ, მართლა ეგრეა, —
შრომის სიმწარე გლეხის ხვედრია,
ყველა ჯებირი და ყველა თარჯი
შენდება, ძმაო, გლეხკაცის გარჯით;
ის უნდა იყოს პურის მცეხველი,
მიწის მთხრელი და ქვების მტეხველი, —
რომ არ შეუდგეს ვაი და ვიში
ბაჭიებივით მოსეულ წვრილშვილს,

რომ ჰქონდეს ლუკმა, ღარიბი მისი
და მის სახურავს ფარავდეს ისლი.
იმისი ცოდვით აგეწვის კანი,
როცა უეცრად უმტყუნებს ჯანი,
ან რომ დაკარგავს მიწას და ბატონს
და იმ ღარიბულ ლუკმასაც ნატრობს.
ველარ გაუძლებს სიცივეს, შიმშილს...
ცოტაც და... სული გასძვრება პირში,
მაგრამ არ ვიცი, ეს როგორ ხდება,
მაინც უძლებს და, ცოცხალი რჩება,
თან ზრდის ჟიშიან ვაჟებს და ქალებს,
ისეთს, რომ მტერსაც უყენებს თვალებს.

ცეზარი

ვაი, მაგ გაზრდას და მაგ გაძლებას,
გლეხის ბატონი როდის გაძლება, —
ყვლეფავს, აწვალებს, კაცად არ აგდებს
მიწის მუშას და მოიჯარადრეს;
ისე უყურებს ზიზღით და უნდოდ,
ჩვენ რომ შევხედავთ მაჩვსა და მუდოს.
ახლა, სამსჯავროს დღეს რომ გამართავს
და რომ განაგებს ხალხის სამართალს!..
რომ ვხედავ გული ბოლმით მისკდება,
როგორ თელავენ კაცის ღირსებას.
როგორ დგას გლეხი, მცირე, საწყალი
და შებრალებას ითხოვს კანკალით,
მოურავი კი, ვის შეიბრალებს,
ითხოვს გლეხისგან იჯარას, ვალებს,
უყვირის, ლანძღავს, აშინებს, აფრთხობს,
რომ სულ ვალებში წაართმევს სარჩოს.
არ შეუბრუნებს გლეხკაცი სიტყვას,
ამდენ ვაებას მორჩილად იტანს.

ლუათი

ეჰ, ბევრს ჰგონია, რომ გლეხის ბედი
არაფერია წვალების მეტი...
სიღარიბე კი, გაგიხარია,
დღემუდამ მისი თანამგზავრია,
მაგრამ რაც არი, ძველი ჭირია, —
შეეჩვივნენ და აღარ ტირიან.

არც მათი ბედი ტრიალებს უქმად,
არც მათ აკლიათ ყოველთვის ლუკმა,
თუმცა სიცოცხლე ჯაფაში გასდით,
მაგრამ იციან განცხრომის ყადრიც.
მაღლა დგას მათი ბუხრების ბოლი
და სიყვარული შვილის და ცოლის;
გლეხი ბალღების ტიტინს რომ ისმენს,
არა მგონია, შენატროს ვისმე.
ბალღის ტიტინი კერასაც უყვარს
და სითბოს მატებს ანთებულ ბუხარს.

ან ის მოლხენა რით არის ცუდი,
რომ ჩამოივლის კათხებით ლუდი,
გლეხი გადაჰკრავს და ხელებს გაშლის,
ბედნიერება უდგება ტანში,
ივიწყებს თავის უიმედობას
და ღრმა მუსაიფს უბამს მეგობარს;
მაშინ კი ბევრი მათრახი უწევს
შენს ეკლესიას, მღვდელსა და ხუცესს,
გადასახადებს, იმათ ამღებებს,
ლონდონში მცხოვრებ ქვეყნის გამგებლებს.

ყველა წმინდის დღე როცა კარს ადგათ,
მაშინაც მისდით საქმე ფარსაგად, —
ერთიანდება მთელი სოფელი
და არის ლხინი განუყოფელი;
ვერ დაუდგები სიყვარულს მწყემსად,
ენა კვიმატობს, ხუმრობა კვესავს,
და ამ სიხარულს ყველა თან ატანს
თავის დარდსა და დავიდარაბას.

ახალი წელი როდესაც მოვა,
ვინღა დაგიდევს ქარსა და თოვას, —
აბა, ჯამები ასწიონ სწრაფად,
არ დაიღვაროს ეს ლუდი ქაფად!
ბოლავს ჩიბუხი, ძველი ადათით
ხელიდან ხელში სწრაფად გადადის,
აქეთ ხალისით და გატაცებით
მუსაიფობენ ბერიკაცები.
იქით, ანცობენ ახალგაზრდები,
მეც მათ ფეხებში ცქვიტად დავძვრები,
გალაღებული მათი ყურებით
მხიარულ ყეფით ვეხმაურები.

თუმცა, რაც შენ სთქვი, ისიც სწორია,
განა ერთი და განა ორია,
რომ არ მოგივა თავში აზრადაც
ისეთი ბილწი და არამზადა, —
უგვან საქმეს რომ ადვილად იზამს,
ოღონდ ეწიოს თავის ბნელ მიზანს.
რამდენი გლეხი აჰყარეს ასე,
ამოუძირკვეს ოჯახი სავსე,
მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონს სურდა,
ჯიბეში მეტი ჰქონოდა ხურდა;
ან მოინდომა, შენთან ბოდიში, —
კუდის ალოკვა ვინმე ლორდისთვის,
ვინც პარლამენტის წევრია, იცის,
და სასიკეთო საქმისთვის იღწვის.

ცეზარი

— სასიკეთოო?! ეს რა თქვი, ლუათ,
ჰმ, არამზადა ეგაა, თუა!
სამშობლოს ბედი ფეხზე ჰკიდია,
პრემიერის კი დიდი რიდი აქვს, —
მისი რჩევით და კარნახით ამბობს
ყველა საქმეში ან „არას“, ან „ჰოს“.
და მერე, როცა მორჩება ამას,
წავა, ეწვევა ოპერას, დრამას;
ბანქო და დოლი, ლხინის განგაში,
ვინ შეედრება ფულის ფლანგვაში.
წამიერ ჟინით ნიავს წააგავს, —
უცებ გაჩნდება კალეს, ჰაგას,
ეცნობა ქვეყნებს, სწავლობს მანერებს,
მის გატაცებას დრო ვერ ანელებს;
მერე ჩაუვლის ვენას თუ ვერსალს,
მამის ქონებას გზადაგზა თესავს,
მოსწონს მადრიდში ბრძოლა ხარების
და ვნებიანი ხმა გიტარების;
იტალიაში გასდევს ნაპირებს,
ლამაზმანებზე წაინადირებს;
გერმანიაში გაივლის მერე
და სამკურნალო ტალახში შერევს,
რაც მოაყოლეს ბინძურ ზმანებას
ვენეციელმა ლამაზმანებმა.
ერთხანს დარჩება კურორტზე აქაც,
ჩამოირეცხავს სასირცხვო ლაქას,

და მერე, მშვიდი, სათნო იერით
შინ დაბრუნდება სვებედნიერი.
შენ ამბობ, — „იღწვის სასიკეთოდო“,
მეორედ არ თქვა, ღმერთს არ შესცოდო!

ლუათი

ფუი, ეშმაკს და, ღმერთო, იდიდე!
მაშ, ასე მიდის მათი სიმდიდრე?
ვაი, ჩვენს ნაღვაწს და ჩვენს მონაგარს
რომ ვაფანტვინებთ ვიღაც ონავარს!
ის არ ერჩიათ, მითხარი, ლორდებს,
არ აჰყოლოდნენ სასახლის მოდებს,
გარიდებოდნენ ქვეყნის სიავეს,
დაბრუნებოდნენ სოფლურ სიამეს...
ეს ხომ თანაბრად არგებდა მერე
მოიჯარადრეს, ლორდსა და ფერმერს.
ზოგი სოფლის ხალხს უყურებს ცერად,
მისი აუგი ადვილად სჯერა;
რას დააშავებს გლეხკაცი ისეთს,
რომ ბატონს დიდი ზარალი მისცეს;
ტყეში დატოვებს პატარა ნაკაფს,
თოფს ესვრის კურდღელს, როჭოს ან კაკაბს,
გააქილიკებს ბატონის ხასას,
თვითონ იცინებს, აცინებს სხვასაც.
უყვარს სიცოცხლის ტკბილიც და მწარეც,
ზოგი ხუშტურიც სჩვევია ბარემ,
მაგრამ ურიგო კაცი არ არი,
გულით მხნეა და საქმით ალალი.
მართალს ამბობენ ცეზარ, ძვირფასო,
დიდკაცს ცხოვრება სულ ტკბილი აქვსო?
არ გრძნობს სიცივეს, წყურვილს და შიმშილს,
გულში არ აქვსო ცხოვრების შიში?!

ცეზარი

რომ ნახავ მათი ცხოვრების სურათს,
ალარ შენატრებ დიდკაცებს სულაც;
თუმც, მართალია, ლუკმის საშოვრად
შრომა და გარჯა ბედმა აშორათ
და არც სიმწარე არსებობს მათთვის
ზამთრის სუსხის და ზაფხულის ხვატის;

არ ეძაბებათ კუნთები გარჯით,
არც ფერდი სტკივათ მარცხნით თუ მარჯვნით,
და არც სახსრების ტკივილი მოხრით
ხანში შესულებს კვნესით და ოხვრით.
მაგრამ, ძმობილო, როგორც იტყვიან,
ადამიანი მართლაც ბრიყვია.
რაღაცა მიზეზს გაიჩენს თარსად
და აიტკიებს უტკივარ თავსა.
სოფლელი ბიჭი რომ მოხნავს მიწას,
ბედნიერ კაცად თავს იგრძნობს იმ წამს;
სოფლელი გოგო, ჯარას რომ მართავს,
თავისი ნართით ამაყობს მართლაც;
მაგრამ ჯენტლმენებს და ქალბატონებს
ქვეყნად ვერაფერს ვერ მოაწონებ.
ამ მაღალი წრის ქალებს და კაცებს
სტანჯავთ სიზანტე და სიზარმაცე;
უქმად სხედან და უქმად დადიან,
ვერ იტყვი, რისი ხვაშიადი აქვთ,
მიეცემიან უსაგნო წუხილს,
მათთვის არ არის დილა და მწუხრი,
დღე უგემურად დროს ჰკლავენ მხოლოდ,
უძილო ღამეს არ უჩანს ბოლო;
გული არ უთრთის მათ სიხარულით,
როცა მიჰქრიან დოღში მარულით;
იმათ მეჯლისებს და მასკარადებს
უფრო დავარქმევ პირქუშ პარადებს,
ვიდრე ლხინსა და დროის ტარებას;
სიამე გულთან არ ეკარებათ,
სანახაობაც ნაკლებად ართობთ,
სხვის დასანახად ბრწყინავენ მარტო.
წაითამაშებს ჯენტლმენი ბანქოს,
ლოთობს, ცუნდრუკობს, უხამსად ანცობს
და მეძავებთან ღამენათევი
დღეებს მიჰყვება ფეხის ათრევით.
ქალბატონები რომ შეგხვდებიან,
იფიქრებ — ყველა ღვიძლი დებია: —
ხელმკლავგაყრილი დადიან წყვილად,
მასლაათობენ ნაზად და ტკბილად.
მაგრამ მათ გულში რომ ჩაიხედო,
რა ღვარძლი ბუდობს, მაღალო ღმერთო!
ერთად ჭირდება იმის ატანას
ქუჩის კახპა და ბილწი სატანა.
ყავას ან ჩაის წრუპავენ ნელა,
სიამტკბილობით იღიმის ყველა,

მაგრამ შხამად და დოზანად ჩასდით,
იბერებიან შურით და ღვარძლით.
ღამ-ღამე ბანქოს ჩაუჯდებიან, —
ქალალდს, ეშმაკის ნახატებიანს,
იშკილბაზობენ ისე ქალები,
როგორც გაქნილი ნაძირალები, —
უცებ ერთ კარტზე დასვან, იქნება
ერთი ფერმერის ავლადიდება.
მათშიც შეგხვდება კეთილზნიანი
და ღირსეული ადამიანი,
მაგრამ რაა და რისი მაქნისი
თითო-ოროლა გამონაკლისი...

მზე გადავიდა, თვალს მოეფარა,
ქვეყანას ბინდი წამოეპარა,
ბლავილით გაჰყვა ნახირი შარას,
ბუზანკალებმა მისდიეს ჯარად,
ადგნენ ძაღლებიც, დაქანცულები,
ჩამოიბერტყეს თათით ყურები,
როგორც წესია, შესიტყვდნენ აქვე
და მომავალი შეხვედრა დათქვეს.
განშორების წინ იმედიანად
ერთი მეორეს შეეხმიანა,
— კიდევ კარგი, რომ ძაღლებად გავჩნდით
და არ გავჩნდითო ადამიანად.

□